ისტ. К 86579
2

ხელნაწერის უფლებით

შ. გვათუა

საერთაშორისო საჯარო სამართალი

ნაკვეთი II

1. ომი და საერთაშორისო
სამართალი

სასწავლო დამხმარე მასალა

სტალინის სახელობის
თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი — 1946

341
8 ...

ხელნაწერის უფლებით

შ. გვათუა

საერთაშორისო საჯარო სამართალი

ნაკვეთი II

ომი და საერთაშორისო სამართალი

K 86.3ბ
15302

სტალინის სახელობის
ბ. ...ის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი — 1946

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ომი და საერთაშორისო სამართალი 3
2. ომის კანონები და ადათები 19
3. ომის დაწყება და მისი შედეგები 23
4. ომის სამართლის საერთო საწყისები 27
5. ომის საშუალებანი 32
6 სამხედრო ტყვეების საკითხი 34
7. დაჭრილთა და ავადმყოფთა რეჟიმი 38
8. სამხედრო ოკუპაცია 39
9. საზღვაო ომის სამართალი 42
10. საჰაერო ომის სამართალი 47
11. ნეიტრალიტეტი 49
12. საომარი მოქმედების შეწყვეტა და ომის დამთავრების საკითხი . 56
13. ომის დამთავრება 61
14. სსრ კავშირის დამოკიდებულება ომის კანონებსა და ადათებისადმი 65
15. პასუხისმგებლობის საკითხი საერთაშორისო სამართლის მეცნიერებაში 68
16. საერთაშორისო შეიარაღებული ძალები 75
17. საპროგრამო საკითხები 90
18. გამოყენებული ლიტერატურა 91

ომი და საერთაშორისო სამართალი

ომი კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. იგი ძველი საუკუნეების გამოუვალ ბუნებრივ მდგომარეობად ითვლებოდა. ომი საშუალო საუკუნეების ფეოდალიზმისათვის კანონს ნიშნავდა. ახალი დროის ისტორია, ჯერ კიდევ თავის ბავშვობის ასაკში, ხანძართა უდიდესი დაფიონებით აღინიშნა, რომელთა ტალღები ანგრევდნენ ტილის, მანსველდის ურდოებს, სიყმაწვილის ასაკში კი მან ფრიდრიხის, ნაპოლეონის და სხვათა ომები გამოიარა.

ისტორიის მთელ მანძილზე, მას აქეთ, რაც კლასები იჩენენ თავს, კაცობრიობა განუწყვეტელ და დაუმთავრებელ ომებს აწარმოებდა. სწორედ ამიტომ არის, რომ ომმა ამ ხნის განმავლობაში მოაზროვნეთა ყურადღება მიიპყრო.

თითქოის ყველა იმდროინდელი მოაზრენი ერთ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ ომი საყოველთაო ბრძოლის ერთ-ერთ გამოსახულებას წარმოადგენს სამყაროსათვის. „ომი მამა და მეფეა ყველაფრისა“,—ამბობდა სოფისტების ბურჯი ჰერაკლიტე (544—484 წწ. ჩ. წ. ა.).

XVII საუკუნეში ამავე აზრს ავითარებდნენ ჰოფსი და სპინოზა. კაცობრიობა მგლის ჯიშის მატარებელია, ადამიანები მუდამ მზად არიან დაგლიჯონ ერთმანეთი. ბუნება ცოცხალ არსებას ბიძგს აძლევს განუწყვეტელი ბრძოლისათვის. ცოტა უფრო გვიან დარვინი კვლავ უბრუნდება ამ დებულებას. სამხედრო მწერალი, შვეიცარიელი პოლკოვნიკი რუსტოვი წერდა: ომი არსებითად სხვა არაფერია, თუ არა განსაკუთრებული სახე არსებობისათვის ბრძოლისა, რასაც კაცობრიობა ეწევა, ე. ი. რასაც ჩვენ ვამჩნევთ მთელ სამყაროში [1].

უძველესი დროისათვის,—ამბობდა ტაციტი,—ომს თავისი გამართლება ჰქონდა; ეს უკანასკნელი კულტურის როლს ას-

---

[1] Г. Парфенов, Э. С., С-Петербург, 1901 г., стр. 2234.

რულებდა; ომი აუცილებლობას წარმოადგენდა მეფეთათვის. ხალხი,—განაგრძობს იგი,—ცალ-ცალკე ცხოვრობდა; ომი აახლოებდა მათ; ზოგიერთი ხალხები ომის შედეგად კულტურისა და ცივილიზაციის განვითარებას აღწევდა.

განუწყვეტელი ომების პროცესში ადამიანები მშვიდობიანობაზე ოცნებობდნენ, კერძოდ, ფილოსოფოსი პლატონი ომს არასასურველ მოვლენად სთვლიდა. რომაელებს თავიანთი თავი მსოფლიოში მშვიდობიანობის დაცვის მამამთავრებად მიაჩნდათ. რომის იმპერია თავის თავს მშვიდობიანობას (pax romana) უწოდებდა.

საფრანგეთის მეფე ჰენრიხ IV-ის მინისტრმა სულიმ შეადგინა ევროპულ სახელმწიფოთა გაერთიანების პროექტი, რომლის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ ქრისტიანულ ხალხთა შორის ყოველგვარი დავა მშვიდობიანი გზით, იარაღის დაუხმარებლად უნდა გადაჭრილიყო.

ცნობილია აგრეთვე, რომ მშვიდობიანობის საკითხი განხილვის საგანს წარმოადგენდა კანტისათვის.

1816 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I ქვეყნების განიარაღების საკითხი აღძრა. იგი თავის თავს ვალდებულად სთვლიდა ებრძოლა მსოფლიოში მშვიდობიანობისათვის. მაგრამ ეს ზრახვები არ უმართლდებოდა და იმპერატორ ალექსანდრე I წინადადება არც იქნა სერიოზულად განხილული.

1898 წელს განმეორებით დაისვა განიარაღების საკითხი, მაგრამ ვერც ამან მოიტანა სასურველი შედეგი.

ომი უდიდეს უარყოფით მოვლენას წარმოადგენს კაცობრიობისათვის; საყოველთაო მკაცრი პროტესტების მიუხედავად, რაც გამუდმებით გაისმის ომიანობის წინააღმდეგ, იგი მაინც ვერ აღმოიფხვრა. ჯერ კიდევ ბლუნჩლი ამბობდა, რომ „საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული ჰუმანიზმი, ომიანობის საკითხთან დაკავშირებით, მხოლოდ იქ გაიმარჯვებს, სადაც პატივისცემით მოეპყრობიან ომის კანონებსა და ადათებს“ [1].

ომისა და არმიების მარქსისტულ-ლენინური გაგება განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის,

[1] Г. Парфенов, Э. С., С-Петербург, 1901 г., стр. 2235.

პროლეტარული რევოლუციის და მეცნიერული სოციალიზმის თეორიისას.

ძირითადი დებულებები ომისა და არმიების შესახებ, რომლებიც სამრეწველო კაპიტალიზმის პერიოდისათვის დამუშავებულ იქნა მარქსისა და ენგელსის მიერ, ლენინმა განავითარა და გაამდიდრა იმპერიალიზმისა და პროლეტარულ რევოლუციის პირობებში.

ბურჟუაზიული თეორეტიკოსები ცდილობენ წარმოიდგინონ ომი როგორც მარადიული მოვლენა. როგორც ბურჟუაზიული თეორეტიკოსების ერთი ჯგუფი ამტკიცებს, ომი ისეთი მოვლენაა, რომელიც ორგანულად არის დაკავშირებული საზოგადოების განვითარებასთან. ეს არის ინსტინქტი,—ამბობენ ისინი,—რომელიც ფარულ ფორმებშია მოცემული თვით ადამიანების ბუნებაში და მუდმივად აძლევს მათ (ადამიანებს) ბიძგს ომის დაწყებისათვის, ომის წარმოებისათვის. ამ თეორეტიკოსთა მეორე ჯგუფის აზრით, ომი აუცილებელ მოვლენას წარმოადგენს, რომელსაც ადამიანი ვერასოდეს ვერ გაექცევა; იგი უშუალოდ სახელმწიფოს ბუნების არსიდან გამომდინარეობს, რადგან ყველა სახელმწიფოს უხდება დაიცვას თავისი უფლებები და თავისი სახელმწიფოებრიობა.

ომი,—გვასწავლის ლენინი,—ისტორიულად გარდამავალ მოვლენას წარმოადგენს, იგი ისტორიის განვითარების გარკვეულ საფეხურზე წარმოიშვა, ე. ი. ბქ, სადაც თავს იჩენს კერძო საკუთრება, ექსპლოატაცია და კლასები. ჯერ კიდევ ენგელსი „ანტი-დიურინგში“ წერდა, რომ პირველყოფილი საზოგადოების გამოკვლევამ და მისმა შესწავლამ დაგვიმტკიცა, რომ ექსპლოატაცია, ძალადობა და მათ შორის სამხედრო ძალადობაც დამახასიათებელი არ იყო ამ საზოგადოებისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველგვარი ძალადობა სხვისი შრომისა და სხვისი პროდუქტების მითვისების შედეგს, კერძო საკუთრებისა და საზოგადოების კლასებად დაყოფის შედეგს წარმოადგენს. ამრიგად, ომი და არმია კლასობრივ საზოგადოებაში წარმოიშვა და, ცხადია, მხოლოდ მაშინ მოისპობა, როდესაც მოისპობა კერძო საკუთრება და ექსპლოატატორული კლასები.

ამა თუ იმ ომის არსი რომ სწორად გავიგოთ, როგორც გვასწავლის ლენინი, ომი უნდა განვიხილოთ იმ სა-

ზოგადოების, კლასებისა და ისტორიულ პირობებთან შეფარდებით, რომლებშიაც იგი თავს იჩენს.

გავარკვიოთ, რა ისტორიული პირობები უსწრებს წინ ომებს, რომელი კლასები აწარმოებდნენ მათ და რისთვის [1]. ყოველივე ომი წარმოადგენს გაბატონებული კლასების იმ პოლიტიკის გაგრძელებას, რომელმაც შესცვალა „მოქმედების ფორმა". „ომი მთელის ნაწილია", „ეს მთელი პოლიტიკაა",— შენიშნავდა ლენინი იმ წიგნის ცალკეულ ფურცლებზე, რომელიც შეადგინა პრუსიის გენერალმა კლაუზევიცმა „ომის შესახებ" [2].

ლენინი ლექციაში „ომი და რევოლუცია" მკაფიოდ გვიჩვენებს ომის კლასობრივ არსს. ის ამბობს: ომი არის პოლიტიკის გაგრძელება სხვა საშუალებებით. ყოველივე ომი განუყოფლად არის დაკავშირებული იმ პოლიტიკურ სისტემასთან, რომლიდანაც იგი წარმოიშვება. იმ პოლიტიკახ, რომელსაც გარკვეული კლასები ამა თუ იმ სახელმწიფოში ატარებდნენ ომის დაწყების წინ, უეჭველია, იგივე კლასები ომიანობის დროსაც განაგრძობენ, მხოლოდ მოქმედების ფორმას სცვლიან [3].

ომი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც უბრალო ბრძოლა ორ სახელმწიფოს შორის, როგორც უმიზნო თავდასხმა, მშვიდობიანობის დარღვევა და შემდეგ ამ მშვიდობიანობის აღდგენა ზავით.

1914—18 წწ. იმპერიალისტური ომი უდიდესი ისტორიული კრიზისის შედეგს წარმოადგენდა. იგი გამოწვეული იყო იმ დაუძლეველი წინააღმდეგობებით, რომლებიც საერთოდ დამახასიათებელია კაპიტალისტური სისტემისათვის. ამ წინააღმდეგობათა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

1. შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობა. იმპერიალიზმი— სამრეწველო ქვეყნების ტრესტებისა და სინდიკატების, ბანკებისა და საფინანსო ოლიგარქიის სრულ ბატონობას წარმოადგენს.

2. წინააღმდეგობა სხვადასხვა საფინანსო ჯგუფთა და იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის. ეს წინააღმდეგობა აღმოცენებულია სხვა ქვეყნების ნედლეულის რესურსების ხელში ჩაგდებისა და ტერიტორიების დაპყრობის მისწრაფების ნია-

[1] Ленин, Соч., т. XXX, стр. 333.

[2] ლენინს ეს შენიშვნები გაკეთებული აქვს კლაუზევიცის წიგნზე „О войне", т. III.

[3] Ленин, Соч., т. XXX, стр. 333.

დაგზე. იმპერიალიზმი წარმოადგენს გაშმაგებულ ბრძოლას უკვე დანაწილებული ტერიტორიების ხელახალი გადანაწილებისათვის და ნედლეულის წყაროებზე მონოპოლიის შენარჩუნებისათვის. ეს ბრძოლა, რომელიც შეუნელებლად წარმოებს კაპიტალისტების სხვადასხვა ჯგუფთა შორის, იმით არის შესანიშნავი, რომ აუცილებლად იწვევს იმპერიალისტურ ომებს ახალი ტერიტორიების დასაპყრობად.

3. წინააღმდეგობა ერთი მუჭა გაბატონებულ „მოწინავე" ერებსა და ასეულ მილიონიან დამორჩილებულ კოლონიურ ხალხთა შორის.

ცხადია, რომ იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელი ყველა ეს ჩამოთვლილი მთავარი ნიშნები თვით კაპიტალიზმის შიგნით არსებულ წინააღმდეგობათა საფუძველზე აღმოცენებულ თვისებებს შეადგენენ, რომლებიც გამოსახულებას პოვებენ ამ სახელმწიფოთა საგარეო დაპყრობითს პოლიტიკაში.

საერთაშორისო ურთიერთობა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოები არ იყენებენ არამცთუ მათ შორის არსებულ მთავარ წინააღმდეგობათა მშვიდობიანობის წესით დაძლევის შესაძლებლობას, არამედ მთელი რიგი მეორეხარისხოვანი საკითხების გადაჭრაც კი ხშირად იწვევს შეიარაღებულ ძალადობას, — დასახული მიზნების მიღწევას ომის გზით. ლენინმა გამოარკვია, რომ კაპიტალისტური ჩაგვრა იმპერიალიზმის ეპოქაში სულ უფრო და უფრო ძლიერდება, იმპერიალიზმის პირობებში იზრდება პროლეტარიატის აღშფოთება კაპიტალიზმის საფუძვლების წინააღმდეგ, მზადდება რევოლუციური აფეთქების პირობები კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ლენინმა თავის შრომებში ცხადჰყო, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში მწვავდება რევოლუციური კრიზისი კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, ძლიერდება აღშფოთება იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ძლიერდება მოძრაობა, რომელსაც მიზნად აქვს დასახული გამათავისუფლებელი ომი იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

იმპერიალიზმის პირობებში კაპიტალიზმის განვითარების წინააღმდეგობანი განსაკუთრებით გამწვავდნენ, გამწვავდა ბრძოლა საქონლის გასაღებისა და კაპიტალის გატანისა ბაზრების დაპყრობისათვის, ბრძოლა კოლონიებისათვის, ნედლე-

ულის წყაროებისათვის, რაც გარდაუვალს ხდის ჰერიოდულ იმპერიალისტურ ომებს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის.

კაპიტალიზმის განვითარების სწორედ ამ ბუნების შედეგად ხდება იმპერიალისტური ომები, რომლებიც ასუსტებენ იმპერიალიზმის ძალებს.

ლენინურ-სტალინური მოძღვრების შესაბამისად კომუნისტური პარტია პირველი მსოფლიო ომის შემდგომ მუდამ უხსნიდა ჩვენს მშრომელებს, რომ კაპიტალიზმი თავისი ბუნების მიხედვით, ომების წარმოშობის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს, რომ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის არსებული წინააღმდეგობა აღმოფხვრილი არ არის არც ვერსალის ხელშეკრულებით და არც სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით; პირიქით, წინააღმდეგობა რამდენიმე ხნის შემდეგ აუცილებლად გამოიწვევს ახალ აფეთქებას, მასთან ერთად, გაცილებით უფრო მეტი ძალით.

ლენინი გვასწავლიდა, რომ ომი იმპერიალიზმის თანდაყოლილი თვისებაა, მისი თანდაყოლილი მისწრაფება, რომელიც მიმართულია სხვისი მიწების მითვისების, კოლონიების დაპყრობისა და დამონავებისაკენ, ბაზრების ხელში ჩაგდებისაკენ, რაც აუცილებლად იწვევს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის ომებს.

ამხანაგი სტალინი გამუდმებით გვაფრთხილებდა, რომ არსებობს ახალი ომის დაწყების საშიშროება, ამასთან გვიხსნიდა ყველა იმ მიზეზს, რომლებიც მას წარმოშობენ.

ჯერ კიდევ საკ. კ.პ. (ბ) XVI ყრილობაზე ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„ბურჟუაზიული სახელმწიფოები გააფთრებით იარაღდებიან და აწარმოებენ ხელახალ შეიარაღებას. რისთვის? რა თქმა უნდა, არა მასლაათისათვის, არამედ ომისათვის. ხოლო ომი იმპერიალისტებისათვის საჭიროა, ვინაიდან იგი არის ერთადერთი საშუალება მსოფლიოს ხელახალი დაყოფისა, საქონლის გამსაღებელი ბაზრების დაყოფისა, ნედლეულის წყაროებისა და კაპიტალის გამოყენების სფეროების დაყოფისა“ [1].

1936 წლის 1 მარტს ამხანაგმა სტალინმა როი-ჰოვარდთან საუბარში ხაზგასმით აღნიშნა, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის ომების ძირითად მიზეზს წარმოადგენს მათი იმპერიალისტური ზრახვები. ის ამბობდა:

---

[1] ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, გამ. მე-2, გვ. 657.

„თქვენ გახსოვთ, როგორ წარმოიშვა პირველი მსოფლიო ომი. იგი წარმოიშვა მსოფლიოს ხელახალი განაწილების სურვილის გამო. ახლა იგივე სარჩული არსებობს. არიან კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომლებიც მოტყუებულათ სთვლიან თავს გავლენის სფეროების, ტერიტორიების, ნედლეულის წყაროების, ბაზრებისა და სხვათა წინანდელი ხელახალი განაწილების დროს და რომლებსაც სურთ ისევ ხელახლა გაანაწილონ ისინი თავის სასარგებლოთ. კაპიტალიზმი თავის იმპერიალისტურ ფაზაში ისეთი სისტემაა, რომელსაც ომი მიაჩნია საერთაშორისო წინააღმდეგობათა გადაჭრის კანონიერ მეთოდად, კანონიერ მეთოდად თუ იურიდიულად არა, არსებითად მაინც“ [1].

პირველი მსოფლიო ომის შემდგომმა პერიოდმა ნათლად დაგვანახვა, რომ კაპიტალისტური სამყაროს შეიარაღების ხასიათი და ტემპები განუყრელად არის დაკავშირებული კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობათა ზრდასთან.

ბურჟუაზიული არმიების განვითარებისათვის დამახასიათებელი იყო სასროლო და საარტილერიო შეიარაღების გაძლიერება, ზურგის მოტორიზაცია, სამხედრო ერთეულების მოტომექანიზაცია, საბრძოლო საშუალებათა გაუმჯობესება,—პირველ რიგში ავიაციის, ტანკების და სამხედრო-ქიმიურ საშუალებათა გაუმჯობესება; ამავე დროს რიცხობრივად იზრდებოდა შეიარაღებულ ძალთა შემადგენლობა, კერძოდ, გაწვრთნილი სათადარიგო საბრძოლო ნაწილების კონტინგენტებისა „პატრიოტული“ ორგანიზაციების გაფართოების და ფაშისტური ქვეყნების ფართო გასამხედროების გზით და სხვ.

კაპიტალიზმის შეიარაღების ხარისხობრივი ზრდა მკვეთრად მჟღავნდებოდა სამხედრო ტექნიკის განვითარებაში. სამხედრო ტექნიკის ყველა დარგს განუწყვეტელი და სწრაფი წინსვლა ემჩნევა. გაუმჯობესდა ხელის ტყვიამფრქვევები და ავტომატური შაშხანები, შემოღებულ იქნა დამბაჩა-ტყვიამფრქვევები და დიდი ყალიბის ტყვიამფრქვევები, კერძოდ, ტყვიამფრქვევ-საზენიტო დანადგარები. სხვადასხვა სახის სასროლო იარაღმა სრულიად ახალი პერსპექტივები შექმნა ფაშისტურ ქვეყნებში.

საარტილერიო შეიარაღების დარგში კაპიტალისტური ქვეყნების ტექნიკის ყოველი ღონისძიება მიმართული იყო იმისა-

---

[1] ს ტ ა ლ ი ნ ი, საუბარი როი-ჰოვარდთან, პარტგამომცემლობა, 1936 წ., გვ. 10—11.

კენ, რომ უფრო მეტად გადიდებულიყო ქვემეხების შორსმსროლელობა, განადგურების ძალა და სროლის სისწრაფე.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სროლის ავტომატიზაციას და ელექტრობის დახმარებით არტილერიის ცეცხლის ცენტრალიზებული მართვისათვის საჭირო ხელსაწყოს შექმნას. ერთ-ერთი ფრანგი არტილერისტი ავტომატიზაციის წარმატებათა საფუძველზე უკვე სახავდა 1940 წლის არტილერიის მოქმედების სურათს: მისი აზრით, ბატარეათა მართვა შესაძლებელი იქნება ღილის დაჭერით, ხელსაწყოები ავტომატურად მომართავენ ქვემეხებს თვითმფრინავებისაკენ, ყუმბარების გადაცემა კი კონვეიერების საშუალებით მოხდება.

კაპიტალისტურმა ქვეყნებმა დიდი წარმატებით მიაღწიეს ტანკების ტექნიკურ გაუმჯობესებას, დიდად გააძლიერეს მათი შეიარაღება და ჯავშან-დაცვა, მაგრამ, რაც მთავარია, მიაღწიეს მათი სისწრაფის გიგანტურ ზრდას. თუ 1914—1918 წწ. ტანკები საათში 4—8კმ. სისწრაფით მოძრაობდნენ, თანამედროვე სწრაფმავალი ტანკები საათში უკვე 50—100 კმ. გადიან.

მთელ რიგ ქვეყნებში (ინგლისი, საფრანგეთი, იაპონია) სერიოზული ყურადღება მიიქცია მცურავი ტანკების გამოჩენამ, რომლებიც ადვილად სძლევენ წყლის დაბრკოლებებს, რის გადალახვაც არ შეეძლოთ წინათარსებულ ტანკებს. ამ მიმართულებით შემდეგი ეტაპი იყო ეგრეთ წოდებული მფრინავი ტანკები; შესაძლებელი გახდა ტანკების სწრაფად მიწოდება ძლიერ თვითმფრინავებზე მიბმის საშუალებით.

სატანკო ტექნიკის გაუმჯობესების ასეთი ტემპები ფართო პერსპექტივებს შლიდა ბრძოლაში მისი გამოყენებისათვის.

უცხოეთის საავიაციო ტექნიკის მიღწევები იმდენად ცნობილია, რომ ამაზე სპეციალურად შეჩერება აუცილებლობას არ წარმოადგენს.

ომის ქიმიური მომზადების შესახებ ბურჟუაზიას ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. მაგრამ ის ცალკე ცნობებიც, რომლებიც ქვეყნდებოდა, ქიმიური ომისათვის გრანდიოზული მზადების მაჩვენებელი იყო.

ბურჟუაზია არავითარ საშუალებას არ იშურებდა იმისათვის, რომ ძლიერი საწარმოო ბაზა შეექმნა ომის ქიმიურ საშუალებათა დამზადებისათვის. იგი ქიმიური მრეწველობის გან-

ვითარებაში კრიზისის დროსაც კი განაგრძობდა ქიმიური ქარხნების მშენებლობას, რომლებსაც არავითარი სხვა დანიშნულება არა ჰქონდა, გარდა სამხედრო მიზნებისა.

დიდი გარდატეხა მოხდა კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ფლოტის განვითარებაშიც. აქ აღსანიშნავია ყველა კლასის გემების, განსაკუთრებით კი ახალი კრეისერებისა და საესკადრო ნაღმოსნების სვლის სისწრაფის დიდი ზრდა. 1920 წ. შედარებით, კრეისერების სვლის სისწრაფე საშუალოდ 25 პროც. გაიზარდა, ხოლო საესკადრო ნაღმოსნებისა — 30 პროც. ამის შესაბამისადვე დიდად გაიზარდა გემების მექანიზმის სიმძლავრეც. „ვაშინგტონის“ ტიპის უახლესი კრეისერების სიმძლავრე, რაც 1918 წ. 40.000 ც. ძ. შეადგენდა, ამჟამად 15.000 ც. ძ. აღწევს. სახაზო გემების სიმძლავრე 36.000 ც. ძ-დან გადიდებულ იქნა 60.000 ც. ძ-მდე; წყალქვეშა ნავების მექანიზმების სიმძლავრე 5—6 ჯერ გაიზარდა. დიდი წარმატებაა მიღწეული გემთა არტილერიის გაძლიერების დარგში. ქვემეხთა შორსმსროლელობა 50-ჯერ და უფრო მეტადაც გაიზარდა, თუმცა მათი ყალიბი არ შეცვლილა. ერთდროულად იმავე პროპორციით გაიზარდა საბაზო გემებიდან დაშენის ხვედრითი წონა. ამავე დროს არტილერიის ცეცხლის მართვის უახლესმა ხელსაწყოებმა საარტილერიო სროლის დიდ სიზუსტეს მიიღწიეს.

ომისათვის კაპიტალისტური ქვეყნების მზადება მარტო შეიარაღებულ ძალთა მომზადებით არ განისაზღვრებოდა. იგი შეიცავდა სახელმწიფოში არსებულ ადამიანთა და მატერიალური რესურსების ე. წ. „ნაციონალური მობილიზაციის მომზადებას“ ომისათვის.

ცნობილი იყო საფრანგეთის კანონი „ომისათვის ერის საყოველთაო ორგანიზაციის შესახებ“ (ე. წ. პოლ ბონკურის კანონი), რომელიც სამხედრო-მოსამზადებელ ღონისძიებათა ფართო სისტემას სახავდა ადმინისტრაციულ, პოლიტიკურ და ეკონომიურ დარგში, კერძოდ, კანონი ითვალისწინებდა სპეციალურ სამობილიზაციო ორგანოების ქსელის შექმნას საწარმოთა და გაერთიანებათა ყველა ცენტრალურ და ადგილობრივ სამმართველოებთან. პოლ ბონკურის კანონი ითვალისწინებდა, რომ ყოველი ფრანგი მოქალაქე, სქესისა და ასაკის მიუხედავად, ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს „ქვეყნის თავ-

დაცვაში". ამგვარად, მობილიზაციის მომენტიდან შემოღებული უნდა ყოფილიყო საყოველთაო შრომითი ბეგარა.

ყველა იმპერიალისტურ სახელმწიფოში ტარდებოდა მრეწველობის მომზადება ომისათვის.

„უკლებლივ ყველა სახელმწიფოთათვის მთავარ სამუშაოს წარმოადგენს მრეწველობის მომზადება ომისათვის",—აშკარად წერდა ფრანგი გენერალი რეფერი.

ეს „მუშაობა" უაღრესად ფართოდ გაიშალა შეერთებულ შტატებში, სადაც სამობილიზაციო მომზადებაში ჩაბმულ იქნა ათიათასობით სამრეწველო საწარმო. არანაკლები ინტენსიობით ტარდებოდა მრეწველობის მობილიზაცია სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც, განსაკუთრებით გერმანიაში, იტალიასა და იაპონიაში. დამახასიათებელია, რომ იაპონია პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც 1929 წელს სამხედრო მრეწველობის საცდელი მობილიზაცია მოაწყო ფართო მასშტაბით. მის მაგალითს სხვა ქვეყნებმა წაბაძეს, ისინი სისტემატურად მართავდნენ „ომის რეპეტიციებს".

ომისათვის მთელი სამოქალაქო მრეწველობის მზადების ამ ვითარებაში, სამრეწველო წარმოების საერთო შემცირების ფონზე მხოლოდ ერთი დარგი დარჩა, რომელსაც არ შეხებია კრიზისი.

> „მე ვლაპარაკობდი კრიზისზე, რომელმაც მოიცვა წარმოების ყველა დარგი. მაგრამ არის ერთი დარგი, რომელიც კრიზისით არაა შეპყრობილი. ეს დარგია სამხედრო მრეწველობა. იგი მიუხედავად კრიზისისა, გამუდმებით იზრდება",... [1]

გაძლიერებული ტემპები, რომლითაც კაპიტალიზმი ემზადებოდა ომისათვის, თავის გამოხატულებას სამხედრო ბიუჯეტების ზრდაში პოულობდა, მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზია ყოველგვარად ცდილობდა მიეჩქმალა და დაემალა ეს სამხედრო ხარჯები.

* * *

ბოლშევიკები არ არიან ყოველგვარი ომის წინააღმდეგნი. უნდა გვახსოვდეს, რომ ომისადმი ჩვენი დამოკიდებულება გა-

---

[1] ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, გამ. მე-2, გვ. 657.

მოშდინარეობს ამ ომის შინაარსიდან და მისი ისტორიული მნიშვნელობიდან. ჩვენ ვართ მტაცებლური ომის წინააღმდეგნი, იმპერიალისტური ომის წინააღმდეგნი.

ომი ორნაირია:

„ა). ომი სამართლიანი, არამტაცებლური, განმათავისუფლებელი, რომელიც მიზნად ისახავს ან ხალხის დაცვას გარეშე თავდასხმისაგან და მისი დამონების ცდისაგან, ან ხალხის განთავისუფლებას კაპიტალიზმის მონობისაგან, ანდა, ბოლოს, კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების განთავისუფლებას იმპერიალიზმის მხრივ ჩაგვრისაგან, და

ბ). ომი უსამართლო, მტაცებლური, რომელიც მიზნად ისახავს სხვა ქვეყნების, სხვა ხალხების დაპყრობასა და დამონებას“ [1]

ქართველი ხალხი არა ერთხელ ყოფილა აგრესიულ სახელმწიფოთა მხრივ თავდასხმის ობიექტი, არა ერთხელ უხდებოდა მას თავისი თავისუფლების და ღირსების დაცვა.

ქართველმა ხალხმა ყველაზე უფრო სამართლიანი ომი დიდ რუს ხალხთან და სხვა მოძმე ერებთან ერთად აწარმოვა ფაშისტ მტაცებელთა წინააღმდეგ. ამხანაგი სტალინი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 27 წლის თავზე ამბობდა: „ახლა ყველამ აღიარა, რომ საბჭოთა ხალხმა თავისი თავგანწირული ბრძოლით ევროპის ცივილიზაცია იხსნა ფაშისტ გამანადგურებლებისაგან“.

* * *

ფეოდალური წყობილების და მასთან ერთად რაინდობის დაცემამ, ვაჭრობისა და ქალაქების განვითარებამ, სახელმწიფო ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად, ცივი იარაღის განდევნამ და მუდმივი ჯარების დაარსებამ მნიშვნელოვნად შესცვალა ომის ხასიათი, რამაც თავისი დაღი დაასვა ომის კანონებს. უკვე ძლიერმა სახელმწიფომ, რომელმაც შერყეული საეკლესიო ხელისუფლების ავტორიტეტი შესცვალა, თავს იდო მსოფლიოს დაცვისათვის მზრუნველობა.

სამეფოებმა იკისრეს ღმერთების მოწოდების შესაბამისად დაეგვირგვინებინათ საყოველთაო მშვიდობიანობა. მაგრამ ეს

[1] საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, სახელგამი, 1938 წ., გვ. 203.

ნაკისრი ვალდებულება მათ მთელ მსოფლიოში ვერ განახორციელეს. ამიტომ ისინი მშვიდობიანობას ცალკეულ შემთხვევებში ურთიერთშორის ამყარებდნენ.

მეფეები, რომლებიც ზღუდავდნენ ვასალური ომის კანონებს, მოითხოვდნენ, რომ დროებით, გარკვეული პერიოდით შეწყვეტილიყო მათ შორის საომარი მოქმედება—მეფეთა ომები (შინაურ მტრებთან), ხოლო შემდეგ ცალკეული მეფეები ომის წამომწყებ სახელმწიფოებს აიძულებდნენ, რომ ყოველგვარი სადავო საკითხი, რაც საფუძვლად ედებოდა ომს, სასამართლოს საშუალებით გადაეწყვიტათ.

ომებს სახელმწიფოთა შიგნით, ცალკეულ საკარმიდამოთა შორის კერძო ხასიათის ომებს უწოდებდნენ, ხოლო ცალკეულ სახელმწიფოთა შორის ომებს შერეულს უწოდებდნენ. ამ დროიდან ომად ითვლება მხოლოდ ცალკეულ სახელმწიფოთა შორის შეიარაღებული შეჯახება, რომელმაც დროთა განმავლობაში საჯარო ომის სახელწოდება მიიღო. ასეთი სახელწოდება XVII საუკუნის ბოლოს დამკვიდრდა. ჯერ კიდევ ჰუგო გროციი განასხვავებდა ერთმანეთისაგან კერძო, საჯარო და შერეულ ომებს.

მეფეები, რომლებიც მშვიდობიანობას ამყარებდნენ თავიანთ სახელმწიფოებში, მუდმივ ჯარს ეყრდნობოდნენ, რადგან შეიარაღებული ნაწილების შემთხვევითი შემადგენლობა საკმარისი არ იყო მშვიდობიანობის დასამყარებლად, დაქირავებული ჯარი კი გაცილებით დისციპლინირებული და მორჩილი იყო. ამიტომ პირველი სამხედრო ხასიათის რეგლამენტები უმთავრესად ეხებოდა ჯარის ნაწილებში დისციპლინის შექმნას მშვიდობიანობის დროისათვის.

დისციპლინაზე ზედამხედველობისა და საამისოდ არსებული რეგლამენტაციის შესასრულებლად, იმ იურიდიული საკითხების გადასაჭრელად, რაც სამხედრო სამსახურთან იყო დაკავშირებული, დაარსებულ იქნა აუდიტორების—სამხედრო იურისტების თანამდებობა.

ეს აუდიტორები ჯარის ნაწილებს მისდევდნენ ლაშქრობაში, მონაწილეობას იღებდნენ ხელშეკრულებათა დადების დროს; გარდა ამისა, მათ მინიჭებული ჰქონდათ საერთაშორისო სამართლის საკითხებზე მსჯელობის უფლება.

ისტორიას ახსოვს არაერთი გამოჩენილი აუდიტორი, მაგ., პიერინო ბელი, რომელიც იტალიის მეფის კარლოს V-ის ჯარებს ახლდა, შემდეგ კი ესპანეთის მეფე ფილიპე II სამხედრო მრჩეველი იყო, ბალტაზარ აიალა გენერალური აუდიტორი ბელგიის მეფე ფილიპე II ჯარებისა.

იმ შრომებს, რომელიც მათ მიერ იქნა გამოცემული ომის კანონების შესახებ, აღორძინების დროინდელი ანტიკური ლიტერატურის გავლენა ემჩნევა.

ომის სამართალი მათ მიერ დაფუძნებულია უფლებრივ შეხედულებებზე და რომაელთა მკაცრ სამხედრო პრაქტიკაზე. ამ უკანასკნელთა შეხედულება ომში გამარჯვებული სახელმწიფოს განუსაზღვრელი უფლებების შესახებ ახალი დროის ომის კანონების ლიტერატურაშიაც დამკვიდრდა. ამ დროის საერთო რწმენა იმაში მდგომარეობდა, რომ გამარჯვებული სახელმწიფო ანგარიშს არ უწევდა არავითარ ომის კანონებს, თავისუფლად თარეშობდა დამარცხებულ სახელმწიფოს ტერიტორიაზე და, რაც კი იქ მოიპოვებოდა, ყველაფერი მისი იყო. ასეთ პირობებში, ცხადია, რაიმე იურიდიული საზღვრების დაწესება შეუძლებელი იყო.

ჰუგო გროციი იმით კმაყოფილდებოდა, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ზომიერ საწყისებს (tempeamenta) აწესებდა; ეს საწყისები ხშირად ზნეობრივი ხასიათისა იყო და ადამიანთა გრძნობებიდან გამომდინარეობდა. ამ შეხედულებას მისდევდნენ XVIII საუკუნეში (კორნელისი, ბეინკერშგუკი).

ხშირი იყო შემთხვევები, რომ ჯარის წარმომადგენლები მოლაპარაკებას იწყებდნენ ომის შემდგომ შექმნილი აუტანელი პირობების შესამსუბუქებლად; მყარდება ომის ახალი ადათები, რომლებიც ამართლებენ ომს და სამხედრო აუცილებლობად სთვლიან მას.

ომის კანონების განვითარებას ხელს უწყობდა ომის ადათების დარღვევის საკითხების ირგვლივ სახელმწიფოთა შორის ატეხილი დავა, პროტესტები, სპეციალური მიმართვები, რითაც სახელმწიფოები ცდილობდნენ თავი დაეღწიათ ომის დაწყების პასუხისმგებლობისათვის. ასეთი სახის დოკუმენტი მრავლად მოიპოვება მოზერის მიერ ჯერ კიდევ 1780 წელს გამოცემულ წიგნში.

მშვიდობიან მცხოვრებთა ქონება ჯერ კიდევ გამარჯვებული სახელმწიფოს კანონიერ ნადავლად ითვლება, ხოლო ეკონომიური ინტერესები სახელმწიფოებს აიძულებდა გარკვეული გარიგებები დაედოთ ერთმანეთთან, რის საფუძველზედაც ხშირად გამარჯვებული სახელმწიფო ნადავლის ნაწილს სტოვებდა, ხოლო სამაგიეროდ მოსახლეობას ახდევინებდა მის ფულად ღირებულებას. ხდებოდა აგრეთვე ტყვეების გამოსყიდვა. ომში დაჭრილებსა და ავადმყოფებს პირობები უმსუბუქდებოდათ სათანადო შეთანხმებათა საფუძველზე. თავს იჩენს ნეიტრალურ სახელმწიფოთა უფლებრივი რეგლამენტაცია ომიანობის დროს (შეიარაღებული ნეიტრალიტეტი, რომელზედაც ლაპარაკი გვქონდა პირველ წიგნში); მყარდება რეკვიზიციის წესები. ომის გამოცხადება საომარ მოქმედებათა დაწყებამდე ხდება და სხვა.

* * *

ომის სამართალი საერთაშორისო საზართლის ერთ ნაწილს წარმოადგენს; იგი შეიცავს იურიდიულ ნორმათა ისეთ გარკვეულ ფორმებს, რომლებიც აღმოცენდებიან ხოლმე ომში მონაწილე სახელმწიფოთა შორის. უნდა გვახსოვდეს, რომ ომი წარმოადგენს საერთაშორისო დავის გადაწყვეტის ყველაზე უკიდურეს საშუალებას. ამის მიუხედავად, ყველა სახელმწიფო, ე. ი. ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც უშუალოდ არიან ჩაბმული საომარ მოქმედებაში და ისეთებიც, რომელნიც ნეიტრალური რჩებიან, ვალდებული არიან ზუსტად დაიცვან საერთაშორისო სამართლის სფეროში მოქმედი გარკვეული წესები; ეს წესები საკმარისი რაოდენობით არსებობენ და მნიშვნელობაც აქვთ მოწინავე ადამიანთა ცხოვრებაში.

იურიდიული თვალსაზრისით, როდესაც ომის სამართალზე ვლაპარაკობთ, უნდა ვგულისხმობდეთ ქცევათა იმ ერთობლიობას, რომელიც აწესრიგებს, ერთი მხრივ, მეომარ სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულებას, ხოლო, მეორე მხრივ, მეომარ და ნეიტრალურ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას. ასეთი წესები ომში მონაწილე სახელმწიფოებს გარკვეულად ზღუდავენ.

ბურჟუაზიული საერთაშორისო სამართლის მცოდნენი ფიქრობდნენ, რომ „ომის სამართალი“ არ შეიცავს ისეთ ნ ო რ მ ე ბ ს, რომელთა მიხედვითაც ჩვენ შეგვეძლოს გამოვიტანოთ

დასკვნა ომის შესახებ, თუ რომელია ომში მონაწილე სახელმწიფოთაგან „მართალი“ და რომელია „მტყუანი“.

ბუნებითი სკოლის საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლები, მაგ., გროცი, ომს ისილავს, როგორც სამართლის ირგვლივ წამოჭრილი დავის გადაწყვეტის საშუალებას. ომის დაწყებისათვის,—ამბობს გროცი,—იმდენიმე საბაბი არსებობს, რამდენიც შეიძლება არსებობდეს სასამართლოსათვის სარჩელის აღსაძრავად. უახლესი დროის საერთაშორისო სამართლის მცოდნენი (ბლუნჩლი, ბულმერინკი, კალტენბორი) უარჰყოფენ ომის განსაზღვრას, როგორც უფლებრივი დაცვის საშუალებას.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა არსებობამ დაგვანახვა, რომ ის ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები, რომლებიც საფუძვლად ედება მათ შორის საერთაშორისო კონფლიქტებს, ძალიან ხშირად გვევლინება როგორც ომის წამოწყების უშუალო მიზეზები.

ამრიგად, ბურჟუაზიულ მეცნიერთა თვალსაზრისით, ყოველივე ომი კანონზომიერი და მართებულია, რადგანაც ომს ერთ-ერთი სახელმწიფო გაძლიერებისაკენ მიჰყავს.

ასეთსავე თვალთმაქცურ გზას ადგია ბურჟუაზიული პაციფიზმი. მოვიგონოთ, რას ამბობდა ამხანაგი სტალინი ბურჟუაზიული პაციფიზმის შესახებ საკ. კ.პ. (ბ) XVII ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში.

> „გასაკვირველი არ არის, რომ ბურჟუაზიული პაციფიზმი ახლა უმწეო მდგომარეობაშია, ხოლო განიარაღების შესახებ ლაყბობას სცვლის „საქმიანი“ ლაპარაკი შეიარაღებისა და დამატებით შეიარაღების შესახებ“.

თანამედროვე პირობებში ომის სამართალი ბურჟუაზიული საზოგადოების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. ომის სამართალი, თავისი ძირითადი გაგებით, ისტორიულად იქმნებოდა ფეოდალური არმიების წინააღმდეგ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ბრძოლის პროცესში. მაგრამ ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ომის სამართალს ჯერ კიდევ ფეოდალიზმის ეპოქაში ეჭირა გარკვეული ადგილი, რამდენადაც იმ დროს სახელმწიფოებს ერთნაირი კლასობრივი შინაარსი ჰქონდათ, აქედან ამ საზოგადოების გარკვეული თანაბარი კლასობრივი

ინტერესები ხელს უწყობდა განსაკუთრებული რაინდული წესების კოდექსის შექმნას.

მაგრამ ეს წესები მარტო კეთილშობილ ხალხს ეხებოდა. რაინდები თავის ხელობას აკეთილშობილებდნენ რაინდული ჩვევებით, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ მხეცურ ჟლეტას. რაინდების ასეთი თვითშეზღუდვა მხოლოდ გაბატონებულ კლასებზე ვრცელდებოდა. ამას ადასტურებს ისტორიული მაგალითები. გლეხთა ომების დროს, მაგალითად, თვით რაინდები ყოველგვარი ბრძოლის ფორმებს ხმარობდნენ აჯანყებულთა წინააღმდეგ. ასეთივე მდგომარეობაა თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, რომელნიც არავითარ ომის სამართალს, საომარი მოქმედების წესებს, ადათებს და ჩვეულებებს არ მისდევენ, სულერთია წარმოებს ეს ბრძოლა სახელმწიფოს შიგნით, თუ სახელმწიფოთა შორის.

მაგრამ, ცხადია, ეს ბრძოლა უფრო გაშმაგებულ ხასიათს იღებს მაშინ, როდესაც იგი მიმართულია ჩაგრული კლასების წინააღმდეგ.

ამის უამრავ მაგალითს იძლევა სახელმწიფოში გაბატონებული კლასის წინააღმდეგ პროლეტარული კლასის აჯანყებათა ჩახშობის პრაქტიკა, რომელიც ჯერ კიდევ 1848 წ. ივლისის დღეებითა და პარიზის კომუნით იწყება, თვითრგვარდიელთა საომარი მოქმედება სამოქალაქო ომში ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ და სხვა თანამედროვე მოვლენები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ომის სამართლის ძირითადი პრინციპების შექმნაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის XVIII საუკუნის საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას.

ჯერ კიდევ ლენინი აღნიშნავდა, რომ საფრანგეთის რევოლუციურმა ხალხმა პირველმა გამოიჩინა რევოლუციური ენერგიის მაქსიმუმი; მანვე გამოიჩინა XVIII საუკუნის დამლევს (ე. ი. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს) გიგანტური რევოლუციური შემოქმედებითი უნარი, რითაც სახე შეუცვალა სტრატეგიის მთელ სისტემას, დაარღვია ომის წარმოების ყველა ძველი კანონი და ადათები, ძველი არმიების ნაცვლად შექმნა ახალი, რევოლუციური სახალხო არმიები, ომის წარმოების ახალი წესები.

ომის სამართლის ნორმები და პრინციპები XIX საუკუნეს და XX საუკუნის დასაწყისში წარმოებულ საომარ მოქმედებათა განვითარების გამოცდილებაზეა დამყარებული.

ომის კანონები და ადათები

ომში მონაწილე სახელმწიფოთა დამოკიდებულების იურიდიული რეგლამენტაცია ეყრდნობა: 1. საერთაშორისო ადათებს, 2. საერთაშორისო შეთანხმებებს, 3. სახელმწიფოს შინაგან კანონებს (მაგ., საველე წესდება, სისხლის სამართლის ქოდექსი).

აღვნიშნოთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმებები ომიანობის წარმოების წესების შესახებ.

I. 1856 წლის 16 აპრილის პარიზის დეკლარაცია ზღვაზე საომარი მოქმედების წარმოების შესახებ.

II. 1868 წლის 11 დეკემბრის პეტერბურგის დეკლარაცია, რომელიც კრძალავს სკდომადი და ცეცხლწამკიდი ტყვიების გამოყენებას.

III. 1899 წლის ჰააგის დეკლარაცია, რომელიც კრძალავს ადამიანის ტანში მლხოვადი და მკუმშავი ტყვიების ხმარებას.

IV. 1904 წლის ჰააგის კონფერენცია, რომლის საფუძველზედაც საჰოსპიტლო გემები (მოცურავე ლაზარეთები) თავისუფლდება სანავსადგურო გადასახადებისაგან.

V. 1907 წლის ჰააგის შეთანხმებანი:

1. კონვენცია საომარი მოქმედების დაწყების წესებზე.

2. კონვენცია ხმელეთზე ომის წარმოების კანონებისა და ადათების შესახებ.

3. კონვენცია ხმელეთზე ომის დაწყების შემთხვევაში ხელისუფლებათა და მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობის შესახებ.

4. კონვენცია მტრის სავაჭრო გემების მდგომარეობის საკითხებზე საომარი მოქმედების დაწყების დროს.

5. კონვენცია სავაჭრო გემების სამხედრო მნიშვნელობის გემებად გადაკეთების შესახებ.

6. კონვენცია წყალქვეშა ავტომატურად ამაფეთქებელ ნივთიერებათა შესახებ.

7. კონვენცია საზღვაო სამხედრო ძალებით ბომბარდირების საკითხებზე.

8. კონვენცია ზღვაზე საომარი მოქმედების წარმოების შემთხვევაში ჟენევის კონვენციის საწყისების გამოყენებაზე.

9. კონვენცია ზღვაზე ომიანობის დროს დაპყრობის ზოგიერთი უფლების შეზღუდვაზე.

10. კონვენცია ნადავლის მიმკუთვნებელი საერთაშორისო პალატის დაარსების შესახებ.

11. კონვენცია ზღვაზე საომარი მოქმედების წარმოების შემთხვევაში ნეიტრალურ სახელმწიფოთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

12. დეკლარაცია ფეთქებადი ყუმბარებით დაბომბვის აკრძალვის შესახებ (რომელიც არ შესულა ძალაში).

VI. ზღვაზე ომის წარმოების უფლების დეკლარაცია, დადებული 1909 წელს ქალ. ლონდონში. (ხსენებული დეკლარაცია არც ერთი მისი შემდგენი სახელმწიფოს მიერ არ იყო რატიფიცირებული).

VII. 1925 წლის ჟენევის ოქმი, რომელიც კრძალავს ქიმიურ მომწამლველ და ბაქტერიოლოგიურ ნივთიერებათა გამოყენებას ომიანობის დროს.

VIII. 1929 წლის ჟენევის კონვენცია ომში მოქმედ არმიებში დაჭრილთა და ავადმყოფთა პირობების გაუმჯობესების საკითხებზე.

IX. 1929 წლის ჟენევის კონვენცია ტყვეების რეჟიმის შესახებ.

X. 1936 წლის 6 ნოემბერს ლონდონში ხელმოწერილი ოქმის დანართი სავაჭრო გემების მიმართ წყალქვეშა ნავების მოქმედების შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება არც ომის წარმოების შესახებ დაწერილი კანონების და არც ომის ადათების მნიშვნელობის მაინცდამაინც გადაფასება. კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის წარმოებულ ომების პრაქტიკამ დაგვანახა, რომ მეტწილად ყველა კონვენციები უხეშად ირღვევა. ასევეა კოლონიური ომების დროსაც. ბურჟუაზიული სახელმწიფოები არ იცავენ არც ომიანობისათვის დაწერილ კანონებს და არც ადათებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ყველაზე უფრო ხშირ და დიდ დარღვევებს ჯერ კიდევ ადგილი ჰქონდა პირველ მსოფლიო ომის დროს.

ომის წარმოების შესახებ დაწერილ ნორმათა შექმნაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ინსტრუქციამ ამერიკის ჯარებისადმი, რომელიც გამოიცა 1863 წელს, როდესაც წარმოებდა

ადგილობრივი მნიშვნელობის ომი ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოთა შორის. სწორედ ამ ინსტრუქციაში მოხსენებული დადგენილებანი დაედო საფუძვლად ე. წ. 1874 წლის ბრიუსელის დეკლარაციას (რომელმაც ვერ მიიღო სახელმწიფოთა მხრივ ოფიციალური ცნობა) და 1899 წელს ჰაგაში მოწვეულ საერთაშორისო კონფერენციას, სადაც მიღებულ იქნა დეკლარაცია ხმელეთზე ომის წარმოების წესების შესახებ.

ამ დეკლარაციის ძირითადი შინაარსი შემდეგით გამოიხატება: აკრძალულია მოწინააღმდეგის საკუთრების მითვისება, გარდა იმ საგნებისა, რომლებიც სამხედრო აუცილებლობას წარმოადგენენ (9), აკრძალულია ძარცვა იმ ადგილებისა, რომლებსაც იკავებენ სახელმწიფოები იერიშით (28), ადამიანის ღირსება, საოჯახო პირობები, ცალკეული ადამიანების კერძო საკუთრება, აგრეთვე სარწმუნოება ხელშეუხლებელი უნდა დარჩეს და პატივისცემით მოპყრობას მოითხოვს (46), აკრძალულია ყოველგვარი სახის ძარცვა, ყაჩაღობა (47).

ამ წესებმა შემდგომი განვითარება პოვეს ზავის საკითხებზე 1907 წელს მოწვეულ ჰაგის მეორე კონფერენციაზე.

აღსანიშნავია, რომ კერძო საკუთრების დაცვის პრინციპი სავალდებულოდ არ იყო აღიარებული ზღვაზე, საომარი მოქმედების შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარეს შეეძლო გემების, ტვირთისა და სხვა ნადავლის ჩამორთმევა.

აქვე გაკვრით უნდა შევეხოთ სამხედრო მნიშვნელობის ნადავლის საკითხს.

თავდაპირველად ნადავლი საკუთრების შეძენის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას წარმოადგენდა. „ნაძარცვი შენ უნდა დაგრჩეს, უნდა ისარგებლო მით; ის გამოგზავნილია შენი მტრის მიერ, ციდან ჩამოგვივარდა“, —ასე წერენ ყველა ისინი, ვისაც წამთ ყოველი უსამართლო ომების სამართლიანობა. რომაელ-იურისტ გაიას თქმით, რომაელები მთელ ნადავლს თავის საკუთრებად სთვლიდნენ. მტრის ძარცვა,—ამბობს იერინგი,—ხალხის საპატიო საშუალებას წარმოადგენს საკუთრების მოპოვებისათვის[1].

მტრის გაძარცვა და ნადავლის წამოღება ანტიკური ეპოქის და შუა საუკუნეების საომარი მოქმედების უშუალო მიზანს

[1] Словарь юридических и государственных наук, т. I, стр. 2218—35, С-Петербург, 1901 г.

წარმოადგენდა. ჰუგო გროციც კი მიზანშეწონილად სთვლის მტრის ძარცვას; უფრო მეტიც, მას ძარცვა ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია [1]

ბურჟუაზიული საზოგადოების პოლიტიკური ძალაუფლების შემდგომი განვითარებისას აღიარებულ იქნა ხმელეთზე ომის დროს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპი. ხოლო, როგორც ზემოთ დავინახეთ, ზღვაზე ომის შემთხვევაში ბურჟუაზია ამ კანონმდებლობას არ იზიარებს.

საერთაშორისო სამართლის ელემენტარული საფუძვლების მოურიდებლად დარღვევის ყველაზე უფრო უხეშ ფორმებს წარმოადგენს: 1) საომარი მოქმედების დაწყება ომის გამოუცხადებლივ, 2) დამარცხებულთა საკუთრების მითვისება, 3) ოკუპირებული რაიონებიდან მოსახლეობის მასობრივად გადასახლება, 4) მშვიდობიან მცხოვრებთა ბომბარდირება, 5) სანაღმო და წყალქვეშა ომის გაშლა-გაფართოება, 6) ნეიტრალური სახელმწიფოს დროშის ბოროტად გამოყენება, 7) ფარულად შეიარაღებულ სავაჭრო გემების თავდასხმა წყალქვეშა ნავებზე, 8) სავაჭრო გემების ჩაძირვა წინასწარ გაუფრთხილებლად, 9) სამხედრო კონტრაბანდის სიებში სახალხო საკუთრების შეტანა, 10) საფოსტო კორესპონდენციის ხელში ჩაგდება, 11) ნეიტრალური ვაჭრობის წესების დარღვევა, 12) ნეიტრალურ ტერიტორიების გადაქცევა ომის ასპარეზად, 13) ნეიტრალური ტერიტორიის ბომბარდირება, 14) გადამრჩენი თვითმფრინავებისათვის სასროლი იარაღის დაშენა და სხვა.

ეჭვს გარეშეა, რომ ცალკეული ნორმები ომის წარმოების შესახებ საგრძნობლად მოძველებულია. მაგრამ სახელმწიფოთა მიერ საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის პრინციპების უგულებელყოფა სრულადაც არა ნიშნავს იმას, რომ ომის სამართალმა დღეს სრულებით დაკარგა თავისი ყოველივე მნიშვნელობა. ასეთი დასკვნებით ხელს შეუწყობდით აგრესიულად განწყობილ სახელმწიფოებს.

მოწინავე პროგრესული კაცობრიობა ჭუდამ პროტესტს გამოაცხადებს აღვირახსნილი საომარი მოქმედებათა ფორმებისა და მეთოდების წინააღმდეგ.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, საერთაშორისო სამართლის

---

[1] Словарь юридических и государственных наук, т. I, стр., 2218—35 С-Петербург, 1901 г.

ნორმები ყველაზე უფრო უხეშად დაარღვიეს ჰიტლერელებმა. აი რას ამბობდა სტალინი საკ. კ.პ. (ბ) XVIII ყრილობაზე:

„ჩვენს დროში არც ისე ადვილია ერთბაშად აიწყვიტო თავი და პირდაპირ გადაეშვა ომში ისე, რომ ანგარიში არ გაუწიო სხვადასხვაგვარ ხელშეკრულებებს, ანგარიში არ გაუწიო საზოგადოებრივ აზრს. ბურჟუაზიულმა პოლიტიკოსებმა ეს საკმაოდ კარგად იციან. იციან ეს ფაშისტმა მესვეურებმაც. ამიტომ ფაშისტმა მესვეურებმა, სანამ ისინი ომში გადაეშვებოდნენ, გადასწყვიტეს ერთგვარად დაემუშავებინათ საზოგადოებრივი აზრი, ე. ი. შეეყვანათ იგი შეცდომაში, მოეტყუებინათ იგი“ [1].

ამაზე უფრო ადრე სტალინმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, თუ როგორ უყურებენ ბურჟუაზიული სახელმწიფოები საერთაშორისო ხელშეკრულებებს, გამომუშავებულ საერთაშორისო ნორმებს და ჩვევებს.

აი რას ამბობს სტალინი:

„ლაპარაკობენ საერთაშორისო უფლებაზე, საერთაშორისო ვალდებულებებზე. რომელი საერთაშორისო უფლებების ძალით მოჰკვეთეს ბატონმა „მოკავშირეებმა“ საბჭოთა კავშირს ბესარაბია და გადასცეს ის რუმინეთის ბოიარებს? რომელი საერთაშორისო ვალდებულებათა ძალით დაესხენ საბჭოთა კავშირს საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის და იაპონიის კაპიტალისტები და მთავრობები, რა ვალდებულებათა ძალით მოაწყეს იქ ინტერვენცია, ძარცვავდნენ მას მთელი სამი წლის განმავლობაში, არბევდნენ მის მოსახლეობას? თუ ამას ეწოდება საერთაშორისო უფლება, საერთაშორისო ვალდებულება, მაშინ რასღა ეწოდება ძარცვა. განა ნათელი არ არის, რომ ამ მტაცებლური აქტების დაშვებით ბატონმა „მოკავშირეებმა“ თავის თავს წაართვეს უფლება დაეყრდნონ საერთაშორისო უფლებას და საერთაშორისო ვალდებულებებს“? [2]

ომის დაწყება და მისი შედეგები

ომის კანონების ყველაზე უფრო უხეშ დარღვევებს შორის ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ საომარი მოქმედების დაწყება გაუფრთხილებლივ. ასეთი შემთხვევების მაგალითი უთვალავია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში.

XX საუკუნის დასაწყისს ასეთმა შემთხვევებმა გამოიწვიეს სათანადო კონვენციის აუცილებლობა. 1907 წლის ჰაგის მე-3 კონვენციით აღნიშნულ იქნა, რომ ორ სახელმწიფოთა შორის საო-

[1] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გამ. მე-11, გვ. 705.
[2] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გამ. მე-2, გვ. 665.

მარი მოქმედების დაწყება აუცილებლივ წინასწარი გაფრთხილებით უნდა ხდებოდეს. ამავე დროს ამ გაფრთხილებას ორჭოფული ხასიათი არ უნდა ჰქონდეს. გარდა ამისა, ზემოხსენებული კონვენცია სავალდებულოდ აღიარებს, რომ გაფრთხილება, რომელსაც უგზავნის სახელმწიფო მოწინააღმდეგე მხარეს საომარი მოქმედების დაწყების შესახებ, ომის გამოცხადების დასაბუთებას უნდა შეიცავდეს ან მას ულტიმატუმის ფორმა უნდა ჰქონდეს. ამავე დროს ომის წამომწყები სახელმწიფო დაუყოვნებლივ ყველა ნეიტრალურ სახელმწიფოს აუწყებს ამის შესახებ.

საგულისხმოა, რომ ამ კონვენციას ხელს აწერდა გერმანიის სახელმწიფოც; აქის მიუხედავად, გერმანიამ არა ერთხელ დაარღვია 1907 წ. ჰააგის მე-3 კონვენცია.

საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული გერმანიის 1941 წლის 22 ივნისის თავდასხმა ყველაზე უფრო ვერაგულ და გამცემლურ აქტს წარმოადგენდა კაცობრიობის განვითარების ისტორიის მთელს მანძილზე.

„ეს გაუგონარი თავდასხმა ჩვენს ქვეყანაზე წარმოადგენს ცივილიზებულ ხალხთა ისტორიაში უმაგალითო მუხანათობას. ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმა მოხდა მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის დადებულია ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ და საბჭოთა მთავრობა მთელი კეთილსინდისიერებით ასრულებდა ამ ხელშეკრულების ყველა პირობას. ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმა მოხდა მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი დროის განმავლობაში გერმანიის მთავრობას ერთხელაც არ შეეძლო წარედგინა სსრ კავშირისათვის არცერთი პრეტენზია ხელშეკრულების შესრულების მხრივ. მთელი პასუხისმგებლობა საბჭოთა კავშირზე ამ ყაჩაღური თავდასხმისათვის მთლიანად და სავსებით ეკისრებათ გერმანიის ფაშისტ მმართველებს“ [1].

ცნობილია, რომ ჰიტლერული გერმანიის ომი სსრ კავშირის ხალხთა და მშვიდობიანობისმოყვარულ სხვა ხალხთა წინააღმდეგ მტაცებლური იყო საერთო მიზნების მიხედვითაც (ტერიტორიის დაპყრობა, ხალხების დამონება, მსოფლიოზე ბატონობა და სხვა), ომის ხასიათის მხრივაც („ტოტალური ომი“) და, ბოლოს, ომის წარმოების მეთოდებითაც (არგაგონილი უხეში დარღვევა და აბუჩად აგდება ომის ყველა კანონის, წესებისა და ადათების).

[1] მოლოტოვის გამოსვლა რადიოთი. 1941 წ. 22 ივნისს.

საკითხი იმის შესახებ, თუ ვის კომპეტენციას შეადგენს ომის გამოცხადება, ცალკეულ სახელმწიფოთა კონსტიტუციების მიხედვით წყდება.

კერძოდ, სსრ კავშირის გამოცხადება ომის მდგომარეობაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომპეტენციას შეადგენს.

ჩვენი კონსტიტუციის 49-ე მუხლის „კ" პუნქტში წერია.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიათა შორის პერიოდში აცხადებს ომის მდგომარეობას სსრ კავშირზე სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, როცა აუცილებელია აგრესიისაგან ურთიერთი თავდაცვის შესახებ საერთაშორისო სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება".

ამხანაგი სტალინი საკ. კპ. (ბ) XVII ყრილობაზე ამბობდა:

„ჩვენი საგარეო პოლიტიკა ნათელია. იგი არის მშვიდობიანობის შენარჩუნებისა და ყველა ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერების პოლიტიკა. სსრ კავშირს აზრად არა აქვს დაემუქროს ვისმე და—მით უმეტეს—თავს დაესხას ვისმე. ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიანობას და ვიცავთ მშვიდობიანობის საქმეს. მაგრამ ჩვენ არ გვეშინია მუქარისა და მზადა ვართ დარტყმით ვუპასუხოთ ომის გამჩაღებლების დარტყმას. ვისაც სურს მშვიდობიანობა და ვინც ეძებს საქმიან ურთიერთობას ჩვენთან, ჩვენ მას ყოველთვის მხარს დავუჭერთ. ხოლო ისინი, ვინც შეეცდება თავს დაესხას ჩვენ ქვეყანას,—გამანადგურებელ პასუხს მიიღებენ, რათა შემდეგში მათ დაეკარგოთ ხალისი შემოსჩაონ თავისი ღორული დინგი ჩვენს საბჭოთა ბოსტანში" [1].

გამართლდა დიდი სტალინის გენიალური წინასწარმეტყველება. ჰიტლერულმა გერმანიამ ომში სწორედ გამანადგურებელი პასუხი მიიღო.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ სსრ კავშირის საომარ მდგომარეობაში ყოფნა შეიძლება გამოწვეული იყოს მხოლოდ ორი მიზეზით: 1. სსრ კავშირზე სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში და 2. როცა აუცილებელია აგრესიისაგან ურთიერთთავდაცვის შესახებ საერთაშორისო სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება.

ამრიგად, სსრ კავშირის საომარი მოქმედება განხილულ უნდა იქნას როგორც სამართლიანი ომი.

---

[1] ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, გამ. XI, გვ. 546—547.

ცხადია, რომ სსრ კავშირი მომავლისათვის გარანტირებული არ არის ომისაგან იმ საერთაშორისო ვითარების გამო, რაც შესაძლოა შეიქმნას მომავალში.

ცხადია, რომ სსრ კავშირი არასოდეს არ აწარმოებს მტაცებლურ ომს და არც მიიღებს მონაწილეობას იმ სახელმწიფოთა მხარეზე რომლებიც ასეთ ომს აწარმოებენ.

„დავიცვათ სიფრთხილე და საშუალება არ მივცეთ ომის პროვოკატორებს, რომლებიც მიჩვეული არიან სხვისი ხელით ნარის გლეჯას, კონფლიქტებში ჩაითრიონ ჩვენი ქვეყანა“. [1]

ომის დაწყება, უპირველეს ყოვლისა, იწვევს სახელმწიფოთა შორის დიპლომატიურ და საკონსულო ურთიერთობის შეწყვეტას. ასეთ შემთხვევაში მოწინააღმდეგე სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლებს და საკონსულოებს უფლება ენიჭებათ დაუბრკოლებლივ დასტოვონ იმ სახელმწიფოს ტერიტორია, რომელშიც წარგზავნილი არიან.

მაგრამ ადვილად შესაძლოა, რომ ამ ოფიციალურ წარმომადგენლებს გარდა, ომის გამოცხადების მომენტში მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ტერიტორიაზე იყვნენ ომში მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქენი, რომლებიც იქ რაიმე სპეციალური ხასიათის დავალებებს ასრულებდნენ; ამიტომ ჩვენ გვაინტერესებს საკითხი, თუ რა ემართებათ ამ მოქალაქეებს. ყველა იმ მოქალაქის მიმართ, რომელნიც მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე რჩებიან ომის გამოცხადების შემდეგ, მზრუნველობას კისრულობს რომელიმე ნეიტრალური სახელმწიფოს წარმომადგენლობა. მაგ., მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე შვეიცის სახელმწიფომ იკისრა მზრუნველობა გერმანიის სახელმწიფოს ტერიტორიაზე დარჩენილი ჩვენი მოქალაქეების და სსრ კავშირში დარჩენილი გერმანელი მოქალაქეების მიმართ.

ომის დაწყება უშუალოდ მოქმედებს არა მარტო იმ საერთაშორისო ხასიათის ხელშეკრულებებზე, რომლებიც არსებობს ეგომარ სახელმწიფოთა შორის, არამედ გარკვეული მხრივ მოქმედებს იმ ხელშეკრულებებზედაც, რომლებიც დადებულია ომში მყოფ სახელმწიფოთა და მესამე სახელმწიფოთა შორის.

---

[1] ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, გამ. XI, გვ. 712.

იმ ხელშეკრულებათაგან, რომლებიც დადებულია მეომარ სახელმწიფოთა შორის, შესაძლოა იყოს პოლიტიკური, ეკონომიური ხასიათის ხელშეკრულებები; ამ ხელშეკრულებათა მოქმედება სავსებით წყდება; აგრეთვე სხვა ხელშეკრულებებიც (მაგ., მრავალმხრივი ხელშეკრულებები სპეციალური საკითხების ირგვლივ— საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა) თავიანთ მოქმედებას წყვეტენ ომის მთელ მანძილზე, ხოლო საომარი მოქმედების რეგულირების საკითხებზე დადებული ხელშეკრულებები (მაგ., ომის კანონები და ადათები) მოქმედებას იწყებენ.

ომში მონაწილე სახელმწიფოთა და ომში არამონაწილე სახელმწიფოთა შორის მოქმედებას იწყებს ნეიტრალიტეტის საკითხების ირგვლივ დადებული ხელშეკრულებები (როგორც მრავალმხრივი, ისე ორმხრივი).

მტრული სახელმწიფოს მთელ ქონებას, გარდა იმ ქონებისა, რომელიც ეკუთვნის დიპლომატიურ კორპუს, კონფისკაცია ექმნება.

რაც შეეხება სავაჭრო ხასიათის გარიგებებს, ისინი იკრძალებიან მეომარ სახელმწიფოთა იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მიმართ.

1943 წლის 15 იანვრის დეკლარაციაში, რომელშიაც 18 სახელმწიფო იღებდა მონაწილეობას, მოცემული იყო გაფრთხილება ყველას მიმართ, ვინც შეეცდებოდა მიეთვისებინა მეომარ სახელმწიფოთა კუთვნილი ქონება, თუ ეს უკანასკნელი ომში არამონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე იყო.

ომის სამართლის საერთო საწყისები

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ საკითხი, თუ რა ითვლება ომის მოქმედების ასპარეზად? ომის მოქმედების ასპარეზად ითვლება ხმელეთის, ზღვისა და საჰაერო სივრცე, რომელზედაც წარმოებს საომარი მოქმედება.

საომარი მოქმედების ასპარეზის გადაწყვეტის დროს მთავარი საკითხია ის, რომ ნეიტრალურ სახელმწიფოთა ტერიტორია ომში მონაწილე არცერთი სახელმწიფოს მიერ არ იყოს გამოყენებული ომის წარმოების არედ.

ყველაზე უფრო თვალსაჩინო და უხეშ დარღვევას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ გერმანიამ 1914 წლის ომში და

1940 წელს დაწყებულ ომშიაც, დაარღვია ეს საერთაშორისო პრინციპი და საომარი მოქმედებისათვის გამოიყენა ნეიტრალურ სახელმწიფოთა — ბელგიისა და ლუქსემბურგის ტერიტორია.

მიღებულია, რომ ომი გარკვეულ დამოკიდებულებას ქმნის სახელმწიფოთა შორის; ეს იმას ნიშნავს, რომ საომარი მოქმედება უნდა წარმოებდეს მხოლოდ და მხოლოდ შეიარაღებული ჯარების მიმართ და არამცდაარამც არ უნდა წარმოებდეს მშვიდობიან მცხოვრებთა წინააღმდეგ.

ცნობილია აგრეთვე, რომ ამ ელემენტარულ მოთხოვნილებასაც უხეშად არღვევდა ჰიტლერული გერმანია.

„გერმანიის ჰიტლერული მთავრობა, რომელიც ვერაგულათ დაესხა თავს საბჭოთა კავშირს, ომში ანგარიშს არ უწევს საერთაშორისო სამართლის არავითარ ნორმას, ადამიანის მორალის არავითარ მოთხოვნას. იგი, უწინარეს ყოვლისა, ომს ეწევა მშვიდობიანი და უიარაღო მოსახლეობის წინააღმდეგ, ქალების, ბავშვების, მოხუცების წინააღმდეგ, რითაც ამჟღავნებს თავის საზიზღარ ყაჩაღურ ბუნებას [1].

ამრიგად, ფაშისტური გერმანია, რომელიც თავს დაესხა სსრ კავშირს, ანგარიშს არ უწევდა არცერთ საერთაშორისო ხელშეკრულებას; იგი პირველ რიგში აწარმოებდა ომს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მის გასანადგურებლად. სწორედ ამიტომ იყო, რომ ამხანაგმა სტალინმა 1941 წ. 3 ივლისის გამოსვლაში რადიოთი აღნიშნა:

„ფაშისტურ გერმანიასთან ომი ჩვეულებრივ ომად არ შეიძლება ჩაითვალოს. იგი არა მარტო ორი არმიის ომია იგი ამასთან ერთად არის მთელი საბჭოთა ხალხის დიდი ომი გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ. ფაშისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ამ საყოველთაო-სახალხო სამამულო ომის მიზანია არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის შექმნილი საფრთხის ლიკვიდაცია, არამედ ისიც, რომ დაეხმაროს ევროპის ყველა ხალხს, რომელნიც გერმანიის ფაშიზმის უღელქვეშ გმინავენ“ [2].

* * *

1907 წლის ჰაგის კონვენცია განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც უნდა შედიოდნენ ცალკეულ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში [3].

---

[1] მ ო ლ ო ტ ო ვ ი, ნოტა საგარეო საქმეთა სახ. კომისრისა, 1942 წ. 6 იანვარს. სახელგამი, 1942 წ. გვ. 31.

[2] თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის გამოსვლა რადიოთი 4941 წ. 3 ივლისს, სახელგამი, 1941 წ., გვ. 14.

[3] Законы и обычаи войны, Юридическое издательство НКЮ СССР, Москва, 1942 г.

მოწინააღმდეგე მხარეების შეიარაღებული ძალები შეიძლება ორგვარი იყოს: პირველი—იმ პირთაგან შემდგარი, რომლებიც უშუალოდ აწარმოებენ საომარ მოქმედებას (კომბატანტები), და მეორე—ის პირები, რომლებიც საომარ მოქმედებას არ აწარმოებენ (არა-კომბატანტები).

ამ მხრივ ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ მოკლედ განვიხილავთ უმთავრესი ევროპული ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალთა (კომბატანტების) შემადგენლობას და მათი გაწვევის ზოგიერთ წესს.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი. საფრანგეთში საყოველთაო-სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის დაწესებულია ასაკი 20—50 წლამდე. იქ არ არსებობს არავითარი განთავისუფლება სავალდებულო სამსახურიდან. სავალდებულო სამხედრო სამსახურის საერთო ვადა 20 წელიწადს უდრის, აქედან ნამდვილი სამსახურის ვადაა წელიწადნახევარი; ამის შემდეგ ორი წლის განმავლობაში პიროვნება სამხედრო სამინისტროს სპეციალურ აღრიცხვაზე იმყოფება, ე. ი. იგი შესაძლოა გაწვეულ იქნას სამხედრო მინისტრის უშუალო განკარგულებით, ხოლო შემდეგი $16^1/_2$ წლის განმავლობაში რეზერვში ირიცხება. ჯარის ნაწილების დაკომპლექტება ტერიტორიულ პრინციპზეა აგებული. საფრანგეთს ერთიანი ანუ ნაციონალური არმია ჰყავს.

ი ნ გ ლ ი ს ი. ინგლისში სავალდებულო სახის სამხედრო სამსახური არ არსებობდა უკანასკნელ ომამდე. ამ ომის დროს კი მიღებულ იქნა კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურისა. ჯარი შედგებოდა სამხედრო სამსახურში ნებაყოფლობით შესულ 18—25 წლის ასაკის პირთაგან. ჯარში ნებაყოფლობით შესულნი ვალდებული არიან იმსახურონ არა ნაკლები 12 წლისა, ხოლო უშუალოდ ჯარის ნაწილებში უნდა დაჰყონ 3—9 წელიწადს, რის შემდეგ სათადარიგო ნაწილებში ითვლებიან.

ყ ო ფ ი ლ ი ფ ა შ ი ს ტ უ რ ი გ ე რ მ ა ნ ი ა. არსებობდა მუდმივი არმია—რაიხსვერი, საიდუმლო შეიარაღებული ჯარის ნაწილები—პოლიციის სახით, ყოფილ ოფიცრებისა და სალდათების სამხედრო ორგანიზაციები, ფაშისტთა სამხედრო ძალები—ბურჟუაზიის თავდაცვის საჭიროებისათვის. ამ ნაწილების დაკომპლექტება ტერიტორიული პრინციპით წარმოებდა. წლოვანება უმცროს შემადგენლობისათვის დადგენილი იყო 17—23 წლამდე, სამსახურის ვადა—12 წელი, ფაშისტური გერმანია გან-

საკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სამხედრო ნაწილების პოლიტიკურ აღზრდას; არმიის, განსაკუთრებით ფარული შეიარაღებული ნაწილების, დაკომპლექტება კლასობრივი პრინციპის დაცვით წარმოებდა. ძირითად კონტიგენტს შეადგენდნენ მემამულეები, ოფიცრები, მოხელეები, წვრილი ბურჟუაზიის ყველაზე უფრო საიმედო ელემენტები და დეკლასირებულ პირთა დიდი ნაწილი.

ამერიკის შეერთებული შტატები. შეიარაღებული ძალები შედგება: რეგულარული არმიისაგან, რომლის მოვალეობაა ამერიკის შეერთებული შტატების დაცვა; ნაციონალური გვარდიისაგან, რომელიც მეორეხარისხოვანი ჯარის ნაწილებს წარმოადგენს; ამ ნაწილების ფორმირება ცალკეულ შტატებში ხდება და გაწვევაც მხოლოდ სასწავლო მიზნით წარმოებს; დასასრულ, ორგანიზებული რეზერვისაგან, რომლის გაწვევაც მხოლოდ აუცილებელი საჭიროების გამო ხდება. ზემოჩამოთვლილ ჯარის ნაწილებში სამსახურის ვადა განსაზღვრულია არა უმეტეს 20 წლით, აქედან 1—3 წლამდე გაწვეულის სურვილის მიხედვით, ხოლო რეგულარულ არმიაში და ორგანიზებულ რეზერვში—3—5 წლამდე.

ცნობილია, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის 132 და 133 მუხლი ამბობს: „საყოველთაო სამხედრო ვალდებულება წარმოადგენს კანონს".

133 მუხ. „სამშობლოს დაცვა არის სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის წმინდათა-წმინდა მოვალეობა. სამშობლოს ღალატი: ფიცის გატეხა, მტრის მხარეზე გადასვლა, სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებისათვის ზიანის მიყენება ჯაშუშობა—ისჯება მთელი სისასტიკით, როგორც ყველაზე მძიმე ბოროტმოქმედება".

ცხადი ხდება, რომ ჩვენი არმია ორგანიზაციით, მისი შინაარსით და მიზანდასახულებით ძირფესვიანად განსხვავდება ბურჟუაზიული არმიებისაგან.

წითელი არმიის შემადგენლობაში ასახულია დიადი ქვეყანა, რომელმაც მოსპო ექსპლოატატორული კლასები, ქვეყანა, სადაც შექმნილია საბჭოთა ხალხის ურღვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

ამ ერთიანობით არის ძლიერი წითელი არმია, ამით არის იგი გამსჭვალული თავიდან ბოლომდე.

წითელი არმიის მებრძოლნი, მეთაურები, მაღალი სამხედრო თანამდებობის პირნი სამხედრო ცოდნით ჩინებულად აღჭურვილი ადამიანები არიან, ისინი უსაზღვროდ ერთგულნი არიან თავიანთი სამშობლოსი.

წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობა ხალხის ღვიძლი შვილია, მისი სისხლი და ხორცია. იგი არის მშვენება ხალხისა, მისი საუკეთესო, უერთგულესი და უნიჭიერესი წარმომადგენელი.

ომის კანონები და ადათები შეეხება არა მარტო ომში მონაწილე სახელმწიფოთა რეგულარულ არმიებს, არამედ აგრეთვე მოლაშქრე ნაწილებსა და მოხალისეთა რაზმებს (პარტიზანებს).

მოლაშქრეები და პარტიზანები ვალდებული არიან დააკმაყოფილონ გარკვეული მოთხოვნილებანი:

1. იყოლიონ სათავეში პიროვნება, რომელიც პასუხისმგებელია თავისი ნაწილის, რაზმის პირადი შემადგენლობისათვის,
2. იქონიონ თავიანთი ნიშანი,
3. იქონიონ და თავისუფლად ატარონ იარაღი,
4. თავიანთ საბრძოლო მოქმედებაში დაიცვან საომარ მოქმედების ყველა წესი და კანონი.

ცნობილია, რომ ჰიტლერული სამხედრო სარდლობა ამ მხრივაც არღვევდა ყველა წესს და ვერაგულად ექცეოდა ჩვენს პარტიზანებს, რისთვისაც მან კანონის მთელი სიმკაცრით უნდა აგოს პასუხი მშვიდობიანობის მოყვარულ ხალხთა წინაშე.

კომბატანტები გათანაბრებული არიან მტრის მიერ დაუპყრობელი ტერიტორიის მოსახლეობასთან, რომელიც მტრის მოახლოებასთან დაკავშირებით ქმნის მოხალისეთა რაზმებს და წინააღმდეგობას უწევს მტერს; ეს მოსახლეობა ვალდებულია აგრეთვე დაემორჩილოს ომის კანონებს და ატარებდეს იარაღს.

არაკომბატანტებთან გათანაბრებული არიან ის პირნი, რომლებიც მომსახურებას უწევენ მოქმედ არმიებს და ეკუთვნიან მათ, მაგრამ უშუალო მონაწილეობას არ იღებენ საბრძოლო ოპერაციებში. ასეთნი არიან: სანიტარული პერსონალი, საინტენდატო ნაწილების მსახურნი, სამხედრო-იურიდიული შემადგენლობა და სხვ.

არაკომბატანტებს ეკუთვნიან აგრეთვე ის პირნი, რომლებიც იმყოფებიან რომელიმე მოქმედ ჯარის ნაწილში, მხოლოდ თვითონ მონაწილეობას არ იღებენ საბრძოლო მოქმედებაში, მაგ., კორესპონდენტები, რეპორტიორები, მარკიტანტები[1], მომმარაგებლები. ყველა ეს პირნი იმ შემთხვევაში, თუ ხელში ჩაუვარდებიან მტერს, ტყვეების უფლებებით სარგებლობენ. მხოლოდ მათ თან უნდა ჰქონდეთ სათანადო საბუთი, რომლითაც დაამტკიცებენ, რომ ნამდვილად მიწერილი იყვნენ ამა თუ იმ ჯარის ნაწილზე[2].

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომბატანტები და არაკომბატანტები სამხედრო ტყვეების უფლებებით სარგებლობენ.

ომის საშუალებანი

ომის საშუალებანი ორ ჯგუფად იყოფა: ის საშუალებანი, რომლებიც დაშვებულია ომიანობის დროს, და ისეთნი, რომელთა ხმარებაც აკრძალულია და არ დაიშვება.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალით დადგენილია, რომ ომში მონაწილე სახელმწიფოები არ უნდა გადასცილდნენ თავიანთ ძირითად მიზანს,—დაამარცხონ მოწინააღმდეგე, ხოლო ამ მიზნის მისაღწევად ნებადართული საომარი საშუალებანი განსაზღვრულია.

1907 წლის ჰაგის კონვენციამ აღნიშნა, რომ ომში მონაწილე სახელმწიფოები თავისუფალი არ არიან მოწინააღმდეგისათვის ზიანის მისაყენებლად საომარ საშუალებათა არჩევაში.

ზემოხსენებული კონვენცია კრძალავს: 1) საწამლავ ნივთიერებათა გამოყენებას იარაღის მოწამლისათვის; 2) მშვიდობიან მცხოვრებთა ხოცვას; 3) მოკვლას ან ჭრილობის მიყენებას იმ პირისათვის, რომელმაც იარაღი დაჰყარა და დანებდა მოწინააღმდეგეს; 4) ისეთი იარაღების ან წამლების ხმარებას, რაც

---

[1] მარკიტანტებს უწოდებენ ისეთ პიროვნებას, რომელიც სურსათით ვაჭრობას აწარმოებენ ჯარის ნაწილებში.

[2] Ф. И. Кажевников, Учебное пособие по международному публичному праву, выпуск IV.

დიდ ტანჯვას მოუტანს ჯარსა და მოსახლეობას; 5) პარლამენტიორისადმი უკანონო მოქცევას.

აკრძალულია აგრეთვე მოწინააღმდეგის ტყვეების იძულება იარაღით მიიღონ მონაწილეობა თავიანთი სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ, წინასწარ გაუფრთხილებლად იერიშის მიტანა დასახლებულ ტერიტორიაზე და სხვა.

ომიანობაში დაშვებულ საშუალებად ითვლება: დაშენა, დაჭრა, ტყვედ წაყვანა, საჭირო ცნობების მიღება მოწინააღმდეგის სამხედრო ძლიერებაზე, მის განლაგებაზე, არმიათა რაოდენობაზე და სხვა.

როგორ იცავდნენ ჰიტლერული ბარბაროსები ამ საერთაშორისო სამართლით დადგენილ წესებს?

ფაშისტ ბოროტმოქმედებმა, რომელნიც მტაცებლურ ომს ამზადებდნენ და ყოველგვარი საშუალებით ახორციელებდნენ თავიანთი ძირითად მიზანს, უდიდესი დანაშაული ჩაიდინეს კაცობრიობის წინაშე. ეს იყო მსოფლიოს დაპყრობის ერთიანი მხეცური გეგმის შედეგი. მათ ომი დაიწყეს პოლონეთის, დიდ ბრიტანეთის, საფრანგეთის, დანიის, ნორვეგიის, ბელგიის, ნიდერლანდის, ლუქსემბურგის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, სსრკ კავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ, დაიმონეს ოკუპირებული ტერიტორიების მცხოვრებნი, დაიწყეს მათი ხოცვა-ჟლეტა, ოკუპირებული ტერიტორიების გერმანიზაცია და სხვ.

ფაშისტურ აგრესიას თან სდევდა არნახული სამხედრო მნიშვნელობის დანაშაული. ჰიტლერული კაციჭამიები ვერაგულად არღვევდნენ ომის წარმოების ყველა კანონსა და ადათს, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. ნაცისტმა ბარბაროსებმა მარტო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გაანადგურეს ან საშინლად დააზიანეს 1.700 ქალაქი, 70.000-ზე მეტი სოფელი, უსახლკაროდ დასტოვეს 25 მილიონზე მეტი მოქალაქე. კაცობრიობის წინააღმდეგ მათ მიერ გაჩაღებული ბრძოლის შედეგი იყო მრავალი უდანაშაულო ადამიანის მკვლელობა, განადგურება, გადასახლება, მოსახლეობის მიმართ არაადამიანური მოქმედება როგორც ომის დაწყებამდე, ისე საომარ მოქმედების პროცესში, პოლიტიკური, რასობრივი და რელიგიური მოტივებით მშვიდობიან მოქალაქეთა დევნა.

ნათელია გერმანული ფაშიზმის მხეცური არსი, მისი თეორია, პრაქტიკა და პოლიტიკა, ამ სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის დანაშაულებრივი კავშირი.

ფაშისტმა ბანდიტებმა თავიანთი ბოდვითი გეგმების განხორციელების გზა სახრჩობელითა და სულისმხუთავი კამერებით დაფარეს.

სამხედრო ტყვეების შესახებ

სამხედრო ტყვეობა ითვალისწინებს პიროვნების დროებით ყოფნას ტყვედ წამყვან სახელმწიფოს ხელში — ერთი აუცილებელი პირობის დაცვით, რომ ტყვე ხელშეუხებელი უნდა იყოს მთელი ტყვეობის განმავლობაში.

სამხედრო ტყვეობის ინსტიტუტი ისტორიულად ნელა ვითარდებოდა; ამ ინსტიტუტს ჩვენ ჯერ კიდევ ანტიკურ ქვეყნებში ვხვდებით. მაგალითად, დატყვევებულთა სიკვდილით დასჯა, რასაც ბარბაროსული ხალხები მისდევდნენ უძველესი დროიდან, ტყვეების გამოსყიდვით შეიცვალა (ამ წესს განსაკუთრებით საბერძნეთში მისდევდნენ ქალაქ — სახელმწიფოების ერთმანეთთან ომიანობის დროს. ფულად გამოყიდვისას, ერთ ტყვეში, ერთ მინას[1] აძლევდნენ); მიღებული იყო ტყვეების „დახურდავებაც“ (გაცვლა), როგორც საერთაშორისო ურთიერთობის აქტი.

გაცილებით უფრო გვიან, რომაელები განასხვავებდნენ სამხედრო ტყვეს იმ მოქალაქისაგან, რომელიც მათ უვარდებოდათ ხელში ტერიტორიის დაპყრობასთან ერთად. პირველნი ანუ სამხედრო ტყვეები გასასყიდ ნივთს წარმოადგენდნენ, როგორც ყმები. თუ ტყვე გაქცევას მოახერხებდა, რომაელები მას ტყვეობისაგან განთავისუფლებულად სთვლიდნენ და ყველა თავის წინანდელ უფლებებში აღადგენდნენ ხოლმე (jus postleminii).

ზემოხსენებული ტყვეობის ინსტიტუტები თითქმის არ განიცდიან განვითარებას ე. წ. შუა საუკუნეების ადრინდელ პერიოდის პირველ ხანაში (V — XI), რადგან ტყვეობა ადამიანის დამორჩილების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა გაბატონებულ კლასის ინტერესებისათვის უფასო შრომის გამოსაყენებლად.

---

[1] უძველესი საბერძნეთის ფულის ერთეული, რომელიც დაახლოებით 24 მან. უდრის ოქროთი.

თანამედროვე პირობებში სამხედრო ტყვეების უფლებრივი რეჟიმის რეგლამენტაცია ორი საერთაშორისო მნიშვნელობის აქტის საფუძველზე წარმოებს. ეს აქტებია: 1907 წლის ჰააგის IV კონვენციის დანართი და 1929 წლის ჟენევის კონვენცია. ორივე ეს აქტი ერთმანეთის მსგავსია. ჟენევის კონვენცია მხოლოდ დეტალიზაციას უკეთებს ჰააგის კონვენციის დანართის ზოგიერთ ნაწილს.

აღვნიშნოთ ჰააგის კონვენციის დანართის ძირითადი დამახასიათებელი მუხლები. სამხედრო ტყვე იმყოფება ტყვედ არა ცალკე პიროვნებათა ან ჯარის ნაწილების განკარგულებაში, არამედ მისი წამყვანი სახელმწიფოს ხელისუფლების ხელში ყველაფერი, რაც კი რამ ეკუთვნის ტყვედწაყვანილ პირს, გარდა საომარი საჭურვლისა, ცხენისა და სამხედრო შინაარსის საბუთებისა, მის საკუთრებას შეადგენს და მათი ჩამორთმევა აკრძალულია.

ტყვე შეიძლება მოთავსებულ იქნას ქალაქში, ციხე სიმაგრეში, სათანადო ბანაკში, საიდანაც გასვლა მას ეკრძალება.

ტყვეების დაპატიმრება შესაძლოა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ ამას მოითხოვოს შექმნილი პირობები. სამხედრო ტყვეების (გარდა ოფიცერთა შემადგენლობისა) სამუშაოზე გაწვევა შეიძლება, მაგრამ ეს სამუშაო არამცდაარამც არ უნდა უქმნიდეს ტყვედწაყვანილ პირს აუტანელ პირობებს. საომარ მოქმედებაში ტყვეების გამოყენება აკრძალულია.

ტყვე შესრულებულ სამუშაოში ფულად ჯილდოს უნდა იღებდეს, მხოლოდ არა უმეტეს იმისა, რასაც იღებს ტყვედ წამყვანი სახელმწიფოს სამხედრო უმცროსი შემადგენლობა.

ხელფასის ნაწილი მათ თავიანთი პირობების გასაუჯობესებლად ეძლევათ, ხოლო დანარჩენ თანხას ტყვეობიდან განთავისუფლების დროს იღებენ.

შუა საუკუნეების შუა წლებიდან (XI—XV), როდესაც ჯერ კიდევ ხშირი იყო ტყვეებისადმი არაადამიანური მოპყრობის შემთხვევები, სარწმუნოების, ეკლესიის, რაინდობისა და ქრისტიანულ სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების შედეგად, გარკვეული შემსუბუქება ემჩნევა დატყვევებულთა მდგომარეობას. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ რომის იმპერიამ განსაკუთრებული როლი შეასრულა, რადგან პირველად იქ შემუშავდა

შეხედულება იმის შესახებ, რომ ტყვედწაყვანილი პიროვნება ხელშეუხებელი უნდა იყოს მთელი ტყვეობის განმავლობაში. ამის მიუხედავად, შუა საუკუნეებში ტყვე წარმოადგენდა დროებით საკუთრებაში მყოფ პიროვნებას მხოლოდ ტყვედ წამყვანი პიროვნებისათვის და არა სახელმწიფოსათვის. ასეთი შეხედულება თანდათან ისპობა აბსოლუტიზმის დროისათვის (XVI—XVIII). აქ უკვე ტყვეთა გამოსყიდვის ადგილს იჭერს მათი გაცვლა, ხოლო უფრო გვიან—ტყვეების სავსებით განთავისუფლება ხდება სახელმწიფოთა შორის საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ.

XVIII საუკუნის დამლევს ტყვეთა რეჟიმი საგრძნობლად იცვლება, მათი პირობები უმჯობესდება; ეს მდგომარეობა გამოწვეული იყო იმით, რომ ამავე პერიოდში იცვლება შეხედულებანი საერთოდ ომზე და მის კანონებზედაც მაშინდელ რევოლუციურ ბურჟუაზიის აზროვნებაში. ყველა ეს ახალი შეხედულება მკაფიოდ არის გამოსახული 1785 წლის პრუსია-ამერიკის ხელშეკრულებაში, რომელიც დადებულ იქნა სამხედრო ტყვეების მდგომარეობის საკითხებზე.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ხელშეკრულებათა შორის, რომლებიც დადებულ იქნა XIX საუკუნეში ტყვეობის საკითხებზე, აღსანიშნავია: 1874 წლის ბრიუსელის საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული დეკლარაციის 23—34 მუხლები, თუმცა ხსენებულ დეკლარაცია რატიფიცირებული არ იყო.

1899 წლის ჰააგის მსოფლიო კონვენციის დანართის 3—20 მუხლები; ამავე საკითხებზე შედარებით ყველაზე უფრო ადრე გამოცემულ კანონთა შორის (სახელმწიფოს შიგნით) აღსანიშნავია რუსეთში 1854 და 1877 წწ. გამოცემული დებულებანი, რაც გამოწვეული იყო თურქეთთან საომარი მდგომარეობით.

უფრო გვიან, ტყვეთა პირობების გათვალისწინებას ვხვდებით ამერიკის შეერთებული შტატების 1863 წელს მიღებულ საველე წესდებებში და საფრანგეთის რეგლამენტში სამხედრო ტყვეების შესახებ, რომელიც 1893 წელს გამოიცა.

კერძო ხასიათის საკოდიფიკაციო მასალის მიხედვით, ტყვეთა რეგლამენტაციას ვხვდებით 1874 წელს; ეს რეგლამენტაცია მოწონებულ იქნა 1880 წლის ოქსფორდის სესიის მიერ და გამოიცა 1881 წელს.

ტყვეების შენახვა სახელმწიფოს ეკისრება, სამხედრო ტყვეები სარგებლობენ უფლებით მიიღონ იგივე სურსათ-სანოვაგე იმ ნორმით, რაც ეძლევა სახელმწიფოს ჯარის ნაწილებს.

სამხედრო ტყვეებისადმი იძულებითი ფორმების გამოყენება მხოლოდ ტყვედ წაყვანის დროს ხდება, ყველა სხვა შემთხვევაში ტყვედ მყოფი სამხედრო პირი ისეთსავე პირობებში უნდა იყოს, როგორშიაც იქნება ტყვედ წამყვანი სახელმწიფოს სამხედრო პირი. ტყვეები ვალდებული არიან დაემორჩილონ უფროსების ბრძანებებს, განკარგულებებს, სამხედრო წესდებებს. ამ მხრივ მათ მიმართ ყოველგვარი დაუმორჩილებლობა შესაფერისი სანქციის გამოყენებას გამოიწვევს. ტყვეობიდან გაქცევა ისჯება, თუ გაქცეული ტყვე დაკავებულ იქნა; ხოლო თუ ტყვე ხელმეორედ გაიქცევა და კვლავ ტყვედ ვარდება, ტყვეობიდან გაქცევისათვის არ ისჯება.

როგორც ომში მონაწილე სახელმწიფოთა, ისე ნეიტრალურ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე არსდება ცნობათა ბიუროები სპეციალურად დატყვევებულთა შესახებ საჭირო ცნობების მიწოდებისათვის; ამ ცნობების გაცემა განთავისუფლებულია ყოველგვარი ადგილობრივი გადასახადისაგან.

ტყვეებს ნება ეძლევათ ბანაკში აირჩიონ თავიანთი წარმომადგენლები ხელფასის გაცემის დროს დასასწრებლად, ნება ეძლევათ აგრეთვე ჩამოაყალიბონ წრეები საყოფაცხოვრებო საკითხების მოსაგვარებლად.

სამხედრო ტყვეთა განთავისუფლება დაწესებული საბუთების მიხედვით ხდება, რომლებიც ტყვეს ხელზე მიეცემა სამხედრო სარდლობის მიერ ან მისი რწმუნებით.

დატყვევებულთა კორესპონდენციები (წერილები, დეპეშები), ანანათები, ფულადი გადარიცხვები ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადისაგან თავისუფალია და უფასოდ იგზავნება.

ტყვეობის შესახებ დაწესებული ასეთი საერთაშორისო ნორმების მიუხედავად, ფაშისტმა მტარვალებმა ასიათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს ფიზიკურად.

აი რას ამბობს ფაშისტი კოხი: „ტყვეების, ისევე როგორც შშვიდობიანი მოსახლეობის, დახვრეტის დროს პირველ 3—5 კაცს მე თვითონ ვხვრეტდი, რათა მეჩვენებინა ჩემი ჯარისკაცებისათვის, თუ როგორი უნდა იყოს გესტაპოელი. მე ნაცისტი ვიყავი, და ეს მკვლელობანი ჩემი მუშაობის შემადგენელ

ნაწილს წარმოადგენდა, რითაც პრაქტიკულად ვახორციელებდი რასობრივ თეორიას“ [1].

ეს სიტყვები ნათელჰყოფენ იმას, თუ როგორ ექცეოდა ჰიტლერული გერმანია სამხედრო ტყვეებს და რამდენად ასრულებდა ის საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დაჭრილთა და ავადმყოფთა რეჟიმი

დაჭრილთა და ავადმყოფთა რეჟიმი ძირითადად 1929 წლის 27 ივლისის ჟენევის კონვენციით განისაზღვრება. ამ კონვენციის საფუძველზე ყოველი დაჭრილი ან ავადმყოფი ჯარისკაცი და ოფიცერი შესაფერისი მკურნალობით სარგებლობს, განურჩევლად ეროვნებისა. ომში მონაწილე სახელმწიფოს, თუ იგი შექმნილი მდგომარეობის გამო იძულებულია მტრის ტერიტორიაზე დასტოვოს დაჭრილი ან ავადმყოფი, კონკრეტულ პირობათა გათვალისწინებით შეუძლია დასტოვოს მედიკამენტები და სამედიცინო პერსონალი. მტრის მიერ ტყვედწაყვანილი დაჭრილები და ავადმყოფები ტყვეების ყველა იმ უფლებებით სარგებლობენ, რომლებიც ზემოთ გვქონდა ჩამოთვლილი.

ყოველივე საბრძოლო მოქმედების შემდეგ ომში მონაწილე მხარეები ვალდებული არიან მიიღონ საჭირო ზომები დაჭრილების ან დაღუპულების მოსაძებნად, რათა უკანასკნელნი დაცულ იქნენ გაძარცვის ან რაიმე შეურაცხყოფისაგან.

გარდა ამისა, ომში მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, რაც შეიძლება მოკლე დროის განმავლობაში აცნობონ ერთმანეთს დაღუპულთა და დაჭრილთა ვინაობა და გადაუგზავნონ პირადი დანიშნულების ნივთები, რომლებიც მათ აღმოაჩნდებათ ან ნაპოვნი იქნება ბრძოლის ველზე. მხარეები აგრეთვე ვალდებული არიან დამარხვამდე ან დაწვამდე მოახდინონ მოკლულთა გვამების წინასწარი სამედიცინო შემოწმება. დაკრძალვა პატივისცემით უნდა მოხდეს, საფლავები არ უნდა ითელებოდეს და ისეთ წესრიგში უნდა იყოს, რომ მათი მოძებნა სიძნელეს არ იწვევდეს.

ჟენევის კონვენციამ აგრეთვე დააწესაა, რომ სანიტარული ფორმირებანი ან მუდმივად მოქმედი სანიტარული დაწესებუ-

---

[1] Журнал, „Новое время“ 1946 г.

ლებანი მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მხრივ დაცვის უფლებით სარგებლობენ. ეს დაწესებულებები აღნიშნულ უფლებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში კარგავენ, თუ მათი საქმიანობა მათ პირდაპირ დანიშნულებას არ შეესაბამება.

ის პირნი, რომლებიც ასეთი სახის დაწესებულებათა პირად შემადგენლობაში შედიან, მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მფარველობის უფლებით სარგებლობენ. იმ შემთხვევაში, თუ ეს პირები ხელში ჩაუვარდებიან მტერს, მას უფლება არა აქვს ისე მოექცეს მათ, როგორც ტყვეებს. ამავე უფლებებით სარგებლობენ ყველა სხვა სახის თავისუფალი საზოგადოებანი, რომლებიც ასეთსავე ფუნქციებს ასრულებენ.

მოწინააღმდეგე, რომელსაც ასეთი პირები ხელში ჩაუვარდებიან, ვალდებულია დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს და თავიანთ ნაწილებში გაუშვას, თუ განთავისუფლებას რაიმე სხვა სამხედრო მნიშვნელობის მდგომარეობა არ უშლის ხელს.

სანიტარული ხასიათის შენობები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა რაიმე დანიშნულებისათვის, სანამ მასში მოთავსებული არიან ავადმყოფები ან დაჭრილები.

სამხედრო-სასანიტარო საჰაერო ტრანსპორტი აგრეთვე დაცული უნდა იყოს. ყველა სახის ტრანსპორტს, რომელიც სანიტარულ სამსახურს ასრულებს, უნდა ჰქონდეს სპეციალური ნიშნები—თეთრ ტილოზე წითელი ჯვრის გამოსახულება.

ასეთია ძირითადად ჟენევის კონვენციის შინაარსი.

ჩვენთვის ცნობილია, თუ რამდენად „სცემდა პატივს“ ფაშისტური გერმანია ამ წესებს; ეს ნათლად არის გამოსახული საბჭოთა კავშირის 1946 წლის 25 ნოემბრის სპეციალურ ნოტაში [1].

სამხედრო ოკუპაცია

თავდაპირველად ოკუპაცია თავისი შედეგებით არ განსხვავდებოდა ანექსიისაგან [2], ომში მონაწილე სახელმწიფო ოკუპირებულ ტერიტორიას თავისად სთვლიდა; გარდა ამისა, იგი

---

[1] Внешняя политика СССР в период отечественной войны, огиз, 1944 г.

[2] ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის ძალით დაპყრობა.

უფლებამოსილი იყო გამოეცა კანონები, დაეწესებინა სამოქალაქო ადმინისტრაცია, იძულებულეყო მოსახლეობას ფიცი მიეცა, შეეკრიბა სამხედრო ძალები და სხვა. ჯერ კიდევ 1808 წელს ალექსანდრე I ფინეთის სამხედრო ოკუპაციის დროს აიძულა ფინელები დაედოთ მეფისადმი ერთგულების ფიცი იმის მიუხედავად, რომ მაშინდელი ფინეთი იურიდიულად შვეციის სახელმწიფოს ნაწილს შეადგენდა.

XIX საუკუნეში მომხდარ ეკონომიურ და პოლიტიკურ ცვლილებათა გამო თხვს იჩენს ოკუპაციისა და ანექსიის გაგებათა განსხვავება.

ამ განსხვავებას ჩვენ ვამჩნევთ ჰეფტერის ნაწერებში ჯერ კიდევ 1844 წელს, ხოლო XIX საუკუნის დამლევს ეს სხვაობა ფიქსირებულია 1907 წ. ჰააგის კონვენციის 42—56 მუხლებში.

როგორც აღვნიშნეთ, სამხედრო ოკუპაციის რეჟიმი იმ ტერიტორიაზე, რომელიც ფაქტიურად მოწინააღმდეგის ხელშია, 1907 წლის ჰააგის კონვენციით განისაზღვრება. მოწინააღმდეგე სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ყოველივე ზომები, რათა უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური პირობები. მას უფლება არა აქვს აიძულოს ოკუპირებული ტერიტორიის მცხოვრებნი მიაწოდონ სამხედრო მნიშვნელობის ცნობები თავიანთი სამხედრო ძალების საკითხებზე.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაცული უნდა იყოს ოჯახის, სარწმუნოების და ყველა სხვა წესი იმ კანონების მიხედვით, რაც აქ არსებობდა ოკუპაციამდე.

კონტრიბუცია დასაშვებია მხოლოდ უფროსი გენერლის წერილობითი განკარგულებით და მისი პასუხისმგებლობით. კონტრიბუციის გადამხდელს სარდლობამ სათანადო ხელწერილები უნდა აძლიოს, რაც შეეხება რეკვიზიციას ნატურით ან სხვა რაიმე სახით, ეს შეიძლება მოთხოვნილი იყოს მხოლოდ სამხედრო ჯარების საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

ოკუპაციო ჯარებს ნება ეძლევათ დაეუფლონ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილ ფულებს, საწყობებს, ყოველივე სამხედრო მარაგს, სატრანსპორტო საშუალებებს და ყველა სხვა სახის საკუთრებას, რომელიც მანამდე მტრის სახელმწიფოს ეკუთვნოდა და ახლა ოკუპირებულ ზონაში მოექცა.

ოკუპანტს ნება აქვს აგრეთვე დაეუფლოს და საჭირო შემთხვევაში გაანადგუროს კიდევაც წყალქვეშა კაბელები, რომ-

ლებიც ოკუპირებულ ტერიტორიას აერთიანებენ მტრის სახელმწიფოსთან. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მეომარ სახელმწიფოთა შორის საზავო ხელშეკრულება დაიდება, ყოფილი ოკუპანტი ვალდებულია შესაბამი საფასური გადაუხადოს მიყენებული ზიანისათვის ან მოახდინოს აღდგენა ზიანის პირვანდელი მდგომარეობისა.

რაც შეეხება საზოგადოებრივი მნიშვნელობის შენობებს, სხვა სახის უძრავ ქონებას და სასოფლო-სამეურნეო სიმდიდრეს, ოკუპანტს მათი მოხმარების უფლება აქვს, ოხოლოდ დაცული უნდა იყოს აუცილებელი პირობა, რომ ამ სიმდიდრეს ძირითადი მნიშვნელობა არ დაეკარგოს. ეკლესიების, მეცნიერულ დაწესებულებათა, სამხატვრო, განათლების დარგის საკუთრება დაცული უნდა იყოს; მათი დანგრევა, განადგურება, გატანა, დაშლა აკრძალულია.

ასეთია მოკლედ სამხედრო ოკუპაციის თანამედროვე რეჟიმი.

გულისტკივილისა და უდიდესი გულისწყრომის გრძნობით წაიკითხეს საბჭოთა ადამიანებმა საგანგებო სახელმწიფო კომისიის ცნობები იმ ბოროტმოქმედების შესახებ, რაც გერმანელმა ფაშისტებმა ჩაიდინეს მთელ რიგ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

ეს დოკუმენტები ნათლად ასახავენ ჰიტლერულ ყაჩაღთა მიერ საბჭოთა ქალაქებსა და სოფლებში ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედობას, ამ დოკუმენტებმა მკაფიოდ გამოავლინეს მტრის საზიზღარი სახე.

ისტორიამ ჯერ არ იცის ადამიანთა ისეთი მასობრივი ჟლეტა, როგორსაც ჩადიოდნენ ფაშისტი დამპყრობლები; მათთვის უცნობი იყო სიბრალულისა და ლმობიერების გრძნობა. ისინი საშინელი სიმკაცრით იგდებდნენ აბუჩად უმწეო ბავშვებსა და მოხუცებს. მათ არ აჩერებდა არც დედათა ცრემლი, არც შებრალებისა და დახმარების შესახებ ვედრებით გაწვდილი ბავშვთა ხელები. ჰიტლერის მიერ აღზრდილი გერმანელთა არმია აწამებდა და ხოცავდა ყველას, ვინც გერმანელებს არ ესაჭიროებოდა, ხოლო ვისაც შეეძლო მათთვის ემუშავნა, იმათ პირუტყსავით მიერეკებოდნენ გერმანიაში, მონათა ბაზრებში.

ჰიტლერელებმა თავიანთ უფლებრივ ნორმად უკანონობა გამოაცხადეს. ჯალათის საზიზღარი ფუნქცია მათ მაღალ პროფესიად გაიხადეს.

ჰიტლერელმა არამზადებმა,—ამბობდა ამხანაგი სტალინი,— წესად შემოიღეს აწამონ, ათასობით ხოცონ საბჭოთა სამხედრო ტყვეები, შიმშილით სიკვდილი არგუნონ ათასობით მათგანს.

ისინი ძალადობას ხმარობდნენ ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიების სამოქალაქო მოსახლეობის—მამაკაცებისა და ქალების, ბავშვებისა და მოხუცების, ჩვენი ძმებისა და დების მიმართ და ხოცავდნენ შათ. მათ მიზნად დაისახეს მონად ექციათ ან გაეძლიტათ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა.

მხოლოდ ყოველგვარ ღირსებასა და პირუტყვის მდგომარეობამდე დაცემულ საზიზღარ ადამიანებსა და არამზადებს შეეძლოთ ნება მიეცათ თავიანთი თავისათვის ჩაედინათ ასეთი უმსგავსოებანი უდანაშაულო, უიარაღო ხალხის მიმართ.

თვითონ ფაშისტმა დამრბევლებმა აღბეჭდეს სურათებზე სახრჩობელები, ადამიანთა ცემა და ხოცვა ოკუპირებულ ქალაქებსა და სოფლებში. კაცობრიობის ისტორიის ფურცლებზე ოდესმე აღბეჭდილი ყველაზე შავბნელი ტრაგიკული ამბებიც კი აღარაფრად ეოსჩანან ჰიტლერულ მახინჯთა მხეცობასთან შედარებით.

ჰიტლერელთა ურდოები ცეცხლითა და მახვილით მიდიოდნენ მათ მიერ დროებით ოკუპირებულ მიწა-წყალზე.

„ჩვენს მოკავშირეებთან ერთად, ჩვენ... 3) ზომები უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ ყველა ფაშისტი დამნაშავენი, ვისაც კი ბრალი მიუძღვის ახლანდელ ომში და ხალხთა ტანჯვაში, რა ქვეყანაშიც უნდა იმალებოდნენ ისინი, სასტიკად დაისაჯონ და მისაზღვ�ველი მიიღონ მათ მიერ ჩადენილი ყველა ბოროტმოქმედებისათვის“,—ამბობდა დიდი სტალინი თავის მოხსენებაში 1943 წლის 6 ნოემბერს.

ამ მიზნით 1945 წლის 8 აგვისტოს, ქალაქ ლონდონში, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის სამეფოს და საფრანგეთის მთავრობათა შორის დადებულ იქნა შეთანხმება ევროპაში ფაშისტურ სახელმწიფოთა მთავარი სამხედრო დამნაშავეების წინააღმდეგ სასამართლო დევნისა და დასჯის აუცილებლობის შესახებ.

ამავე შეთანხმების საფუძველზე სამხედრო დამნაშავეთა გასამართლებისათვის დაწესდა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი.

საზღვაო ომის სამართალი

აღსანიშნავია, რომ საზღვაო ომის სამართალი დღემდე მნიშვნელოვნად ემყარება ადათს. ომის სამართლის ძირი-

თადი საწყისები საზღვაო ომზედაც ვრცელდება. 1907 წლის ჰააგის II კონფერენციის დასკვნითი აქტი სურვილს გამოთქვამდა, რომ ზღვაზე ომის წარმოების დროს გამოყენებული ყოფილიყო ყველა ის კანონი და ადათები, რაც დაწესებულია ხმელეთზე საომარი მოქმედების წარმოებისათვის.

ამიტომ ჩვენს მიზანს შეადგენს შევისწავლოთ მხოლოდ ის უფლებრივი მდგომარეობა, რომელიც შეეხება საზღვაო ომის თავისებურებებს.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ საზღვაო ძალებს ეკუთვნის ომში მონაწილე სახელმწიფოთა სამხედრო ფლოტი.

1856 წლის პარიზის დეკლარაციით აკრძალული იყო კერძო პირთა კუთვნილი შეიარაღებული სავაჭრო გემების თავდასხმა მოწინააღმდეგე სახელმწიფოს დროშით, მონაოსნე საზღვაო ტრანსპორტზე.

ეს გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ სავაჭრო მნიშვნელობის გემები, რომლებიც ვითომდა თავდაცვის მიზნით იარაღდებოდნენ, ხშირად ამ შეიარაღებას ბოროტად იყენებდნენ. რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, რომ სავაჭრო მნიშვნელობის გემები საჭირო შემთხვევაში გადაკეთებული ყოფილიყო სამხედრო მნიშვნელობის გემებად, სავალდებულო წესების დაცვით, ეს გათვალისწინებული იყოს 1907 წ. ჰააგის VII კონვენციით. ასეთი გადაკეთების შემთხვევისათვის დაწესებულია შემდეგი პირობები:

1. გადაკეთებული გემი უნდა ემორჩილებოდეს იმ სახელმწიფოს ხელისუფლებას, რომლის დროშითაც აწარმოებს ზღვაზე ნაოსნობას.

2. აუცილებელია, რომ ასეთმა გემმა იქონიოს ყველა ის გარეგანი ნიშანი, რაც სავალდებულოა ნაციონალურ სამხედრო გემებისათვის.

3. ასეთი გემის უფროსს ნიშნავს მთავრობა; მისი ვინაობა შეტანილ უნდა იქნას სახელმწიფოს საზღვაო ოფიცერთა საერთო სიაში.

4. თავის მოქმედების დროს გემი ვალდებულია დაემორჩილოს ომის ყველა კანონსა და ადათს, ხოლო მისი პირადი შემადგენლობა—სამხედრო დისციპლინის წესებს.

1907 წ. ჰაეგის VIII კონვენციით, გემებს აკრძალული აქვთ თან იქონიონ ისეთი ფეთქებადი ნივთიერებანი, რომლებიც ნაღმების შეხებით ფეთქდებიან.

ზემოხსენებული კონვენცია კრძალავს აგრეთვე ავტომატურად ამაფეთქებელ სხვა სახის სამხედრო იარაღების ტარებას ან მათ გამოყენებას ფარული სახით, თვითმოძრავი ნაღმების ხმარებას და სხვა.

ამავე წლის ჰაეგის IX კონვენციამ აკრძალა დაუცველი ნავსადგურების, ქალაქების, სოფლებისა და ნაგებობათა ბომბარდირება სამხედრო-საზღვაო ძალებით. ეს გადაწყვეტილება არ ვრცელდება სამხედრო მნიშვნელობისა და ხასიათის სიმაგრეებზე და მოწყობილობაზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მოწინააღმდეგის მიმართ. კონვენცია არ ვრცელდება აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება წინასწარ გაფრთხილებულია, რომ იგი ვალდებულია მიაწოდოს გემს რაიმე საჭირო სურსათ-სანოვაგე, და არ შეასრულებს თავის დაპირებას.

საზღვაო ძალებით ბომბარდირების დროს უფროსს ვალდებულება ეკისრებოდა შესაძლებლობისამებრ მიეღო ყოველგვარი ღონისძიება, რათა არ დანგრეულიყო ისტორიული ძეგლები, კულტურული ღირებულების დაწესებულებანი, წითელი ჯვრის ნიშნიანი შენობები და სხვა.

ქალაქის მაცხოვრებლებს ევალებოდათ წინასწარ გაეკეთებინათ ასეთი სახის შენობებზე საჭირო ნიშნები (მყარი ნივთიერების დიდი სწორკუთხედი, რომელიც დიაგონალით გაყოფილია ორ სამკუთხედად; ზედა სამკუთხედი შეღებილია შავად, ხოლო ქვედა სამკუთხედი—თეთრად).

საზღვაო ბლოკადა, რომელიც ითვალისწინებდა მოწინააღმდეგის საზღვაო-სამხედრო ძალებისათვის თავდაცვის პირობების შექმნას, რათა მოწინააღმდეგის გემს შესაძლებლობა არ ჰქონოდა მიახლოებოდა ნავსადგურს, რეგლამენტირებულია 1909 წლის ლონდონის დეკლარაციით.

ხსენებული დეკლარაცია რატიფიცირებული არ იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, არსებითად დეკლარაცია საფუძვლად დაედო საერთაშორისო სამართალს და მიღებულია ყველა სახელმწიფოს მიერ.

რაში მდგომარეობს ბლოკადის ძირითადი დებულებები?

1. ბლოკადა უნდა წარმოადგენდეს რეალურ ძალას, რომელიც ხელს შეუშლის მოწინააღმდეგის სამხედრო-საზღვაო ძალებს მიუახლოვდნენ სახელმწიფოს საზღვაო ნაპირს.

2. გამოყენებულ უნდა იქნას განურჩევლად ყველა ბაირაღის მიმართ.

3. სავალდებულო უნდა იყოს ბლოკადის შესახებ განცხადება ან ცნობის გამოქვეყნება.

4. ბლოკადის განმცხადებელი ან მისი სახელით მოქმედი რომელიმე სხვა სახელმწიფო ვალდებულია გამოაცხადოს: ა) ბლოკადის დაწყების დრო, ბ) ბლოკირებული საზღვაო ნაპირის გეოგრაფიული საზღვრები, გ) ნეიტრალური გემებისათვის ნავსადგურიდან გასვლის ვადის დაწესება.

5. ბლოკადის გამოცხადების შესახებ ეცნობებათ: ა) ნეიტრალურ სახელმწიფოებს, ბ) ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელმაც თავის მხრივ რაც შეიძლება მოკლე ვადაში უნდა აცნობოს ამის შესახებ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს.

6. ბლოკადის დარღვევის ცდა იწვევს გემისა და მთელი მისი ტვირთის კონფისკაციას.

ზღვაზე საომარი მოქმედების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წყალქვეშა ნავებს.

1937 წ. ლონდონის წესების საფუძველზე, რომლებიც გამომუშავებულია წყალქვეშა ნავებისათვის, უკანასკნელნი ვალდებული არიან დაემორჩილონ იმ წესებს, რაც არსებობს ზღვაზე მონაოსნე გემებისათვის (მხოლოდ სავაჭრო მნიშვნელობის გემებისათვის).

ზღვაზე ომის წარმოების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპის უარყოფა.

საზღვაო ომის დროს ნადავლად შეიძლება ჩაითვალოს:

1. მოწინააღმდეგის სავაჭრო გემები.

2. ნეიტრალურ სახელმწიფოთა სავაჭრო გემები იმ შემთხვევაში, როდესაც: ა) ბლოკადას არღვევენ, ბ) სამხედრო მნიშვნელობის კონტრაბანდა გადააქვთ, გ) ხელს უწყობენ მოწინააღმდეგეს.

ა რ ჩ ა მ ო ი რ თ მ ე ვ ა: ა) წვრილი თევზსაჭერი ნავები, ბ) ნავები, რომლებიც საჭიროა ადგილობრივი ნაოსნობისათვის, გ) გემები, რომლებიც მეცნიერული, რელიგიური ან ფილან-

ტროპიული ხასიათის საქმიანობას ეწევიან (1907 წ. ჰაგის XI კონვენცია), დ) გემები, რომლებიც ომის დაწყებამდე არიან გასული ზღვაში და რომელთაც არ იცოდნენ საომარი მოქმედების დაწყების შესახებ, ასეთი გემების დაკავება ან რეკვიზიცია მხოლოდ საომარი მოქმედების დამთავრებამდე შეიძლება, ე) გემები, რომლებიც მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ეკუთვნიან და ომის გამოცხადების მომენტისათვის მის წყლის ტერიტორიაზე იმყოფებიან. ასეთივე წესი არსებობს აგრეთვე იმ საქონელზე, რომელიც ამ გემებზეა. აკრძალულია ნეიტრალური სახელმწიფოს ბაირაღის გამოყენება მოწინააღმდეგის საქონლის, ისევე როგორც სამხედრო კონტრაბანდის გადაზიდვისას. არ შეიძლება ჩამორთმეულ იქნას საფოსტო კორესპონდენცია იმ შემთხვევაშიაც, როდესაც იგი მოწინააღმდეგის მისამართით იგზავნება (1907 წლის ჰაგის XI კონვენცია).

გემის ნაციონალური კუთვნილება ბაირაღით განისაზღვრება. გემზე მყოფი საქონლის კუთვნილება პრაქტიკულად სასამართლოს გადაწყვეტილებით განისაზღვრება.

ამ წესის გამოყენება და მისი კანონმდებლობა სხვადასხვანაირია ცალკეულ სახელმწიფოებში. ასეთი სასამართლოები შეიძლება ორი ინსტანციისა იყოს: 1. საბაზო (სანავსადგურო) სასამართლო და 2. უმაღლესი საპრიზო სასამართლო.

ამ საკითხების გადასაწყვეტად საერთაშორისო ხასიათის სასამართლოს შექმნის ყოველგვარი ცდა (1907 წ. ჰაგის XII კონვენცია) უშედეგოდ დამთავრდა.

1909 წლის ლონდონის დეკლარაცია (თავი IV) კრძალავს ნეიტრალური გემების მოსპობას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ნეიტრალური გემი წინააღმდეგობას გაუწევს ჩხრეკას ან გასინჯვას, შესაძლებელია მისი მოსპობა, ამასთან უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ გემზე მყოფ ადამიანთა სიცოცხლე.

რაც შეეხება ზღვაზე ომის დროს ტყვეების, დაჭრილთა და ავადმყოფთა რეჟიმის საკითხს, ეს რეჟიმი პრინციპულად არ უნდა განსხვავდებოდეს ხმელეთზე საომარი მოქმედებისათვის ამ საკითხზე არსებული წესებისაგან.

უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება ომში დაჭრილებსა და ავადმყოფებს.

1907 წლის ჰაგის X კონვენცია საზღვაო ომზე ჟენევის კონვენციით გათვალისწინებულ წესებს ავრცელებს.

საჰოსპიტლო მნიშვნელობის გემებს განსაზღვრული ფერი უნდა ჰქონდეთ:

1. სახელმწიფო გემებს—თეთრი ფერი, მწვანე ზოლით გარშემორტყმული.

2. კერძო გემებს—მათ შორის ნეიტრალურ გემებსაც—თეთრი ფერი წითელი ზოლებით. ომში მონაწილე სახელმწიფოთა საჰოსპიტლო გემები ვალდებული არიან აღმართონ ორი ბაირაღი—ნაციონალური და ჟენევისა, ნეიტრალურ სახელმწიფოთა გემები კი სამი ბაირაღს აღმართავენ: შესაფერისი ნეიტრალური სახელმწიფოსას, ჟენევისას და ომში მონაწილე იმ სახელმწიფოსას, რომლის განკარგულებაშიც იმყოფებიან.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ფაშისტურმა გერმანიამ არცერთი ზემოხსენებული წესი არ დაიცვა.

საჰაერო ომის საკითხი

საომარი მოქმედების სპეციალურ საკითხს, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებული ნორმების დაწესებას, წარმოადგენს ომში საჰაერო ფლოტის გამოყენების საკითხი. როგორც ცნობილია, საჰაერო ფლოტის გამოყენება ორი მიზნით შეიძლება: როდესაც საჭირო ხდება მოწინააღმდეგის შორეულ მანძილზე მდებარე სამხედრო კომუნიკაციების დაბომბვა და როდესაც ავიაცია მონაწილეობას იღებს საერთო საომარი მოქმედების ოპერაციაში.

საომარ მოქმედებაში მფრინავი აპარატების გამოყენების შემთხვევას პირველად 1911 წლის ტრიპოლიტანიის ომში ვხვდებით. ყოველ შემთხვევაში, როდესაც ლაპარაკი გვაქვს საჰაერო საომარ მოქმედებაზე, რასაკვირველია, პირველ რიგში მხედველობაში უნდა ვიქონიოთ პირველი მსოფლიო ომი, რომელშიაც საჰაერო ბრძოლამ ფართო ხასიათი მიიღო.

ჰაგის პირველი კონფერენციის მოწვევის დროისათვის საჭირო იყო სამხედრო ავიაციის რეალური მნიშვნელობის გათვალისწინება; ამიტომ სახელმწიფოებმა, რომლებმაც 1899 წლის 29 ივლისს მოაწერეს ხელი დეკლარაციას ფეთქებად ნივთიერებათა ჰაერიდან ტყორცნის აკრძალვაზე, ვადა ხუთი წლით განსაზღვრეს.

მეორე კონფერენციის მოწვევისათვის უკვე ყველა დიდი სახელმწიფო ზრუნავდა იმისათვის, რომ საგრძნობლად გაეძლიე-

რებინა თავისი სამხედრო-საჰაერო ფლოტი. ამიტომ 1899 წლის დეკლარაციის მონაწილე 40 სახელმწიფოდან ხსენებული დეკლარაციის განახლებას ხელი მოაწერა მხოლოდ 17 სახელმწიფომ. აღსანიშნავია, რომ ამ დეკლარაციის ხელისმომწერთა შორის, გარდა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატებისა, არცერთი დიდი სახელმწიფო არ იყო.

ამის ნაცვლად „ხმელეთზე ომის წესების“ 25 მუხლს შემდეგი სიტყვები ჩაუმატეს: „რა საშუალებითაც უნდა ხდებოდეს“ („აკრძალულია, რა საშუალებითაც უნდა ხდებოდეს იერიშის მიტანა ან ბომბარდირება ისეთი ქალაქების, სოფლების, საცხოვრებელი ადგილებისა ან ნაგებობათა, რომლებიც სათანადოდ არ არის დაცული“). ამრიგად, საჰაერო ბომბარდირება გარკვეულ პირობებში დასაშვები შეიქნა; ხოლო ბომბარდირების ხერხები უნდა შეეფარდებოდეს იმ საერთო წესებს, რაც 1907 წლის ჰააგის კონვენციამ გამოიმუშავა ხმელეთზე საომარი მოქმედებისათვის. ცხადია, რომ საჰაერო ომისათვის ამ წესებს არავითარი რეალური მნიშვნელობა არა ჰქონდა. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ პირველ მსოფლიო ომში მონაწილე სახელმწიფოები ერთმანეთს აბრალებდნენ ამ ნორმათა დარღვევას.

როგორც დავრწმუნდით, საჰაერო ომმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა იმის მიუხედავად, რომ დღემდე მან ვერ მიიღო გარკვეული განსაზღვრა. ცხადია, ყველა ის კანონი, ადათი და წესი, რომლებიც საერთაშორისო სამართალში არსებობს, გავრცელებულ უნდა იქნას ამ სახის საომარ მოქმედებაზედაც.

იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა რაოდენობა, რომლებიც საჰაერო ომის სპეციფიკას განსაზღვრავენ, მცირეა.

1907 წლის ჰაგის IV კონვენციის დანართის 29 მუხლში წერია: „ყველა ის პირნი, რომლებიც საჰაერო წესით იგზავნებიან დეპეშების გასაგზავნად ან რაიმე ცნობებით, ჯაშუშებად არ ჩაითვლებიან“.

როგორც უკვე ცნობილია, ამავე კონვენციის 25 მუხლი კრძალავს ზევიდან ყუმბარების დაშენას დაუცველ ქალაქებსა და სოფლებზე.

1909 წ. ლონდონის დეკლარაციის 24-ე მუხლის. ძალით, ყველა სახის ხელსაწყო, რაც კი საჭიროა ფრენისათვის, „სამხედრო კონტრაბანდად“ ითვლება.

სანიტარული თვითმფრინავების რეჟიმი განსაზღვრულია 1929 წლის ჟენევის კონვენციით. ამ კონვენციის 18 მუხლი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჰაერო მანქანები, რომლებიც სასანიტარო ტრანსპორტის მნიშვნელობით იხმარება, დაცულ უნდა იქნას იმ დრომდე, სანამ სანიტარულ მომსახურებას ეწევიან.

ასეთი დანიშნულების თვითმფრინავებისათვისაც დადგენილია სპეციალური ფერები, მაგ., თეთრი, და მკაფიოდ გამოსახული განმასხვავებელი ნიშანი, რაც გათვალისწინებულია ზემოხსენებული კონვენციის 19-ე მუხლით; ნიშნები თვითმფრინავს ორივე ფრთის ზედა და ქვედა ნაწილებზე უნდა ეკეთოს.

საჰაერო სანიტარული თვითმფრინავები ვაღდებული არიან პირველი მოთხოვნისთანავე დაეშვან მიწაზე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მნიშვნელობის თვითმფრინავი მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე დაეშვება სხვადასხვა ტექნიკურ მიზეზების გამო, მთელი შემადგენლობა, ვინც კი თვითმფრინავზე იმყოფება, პრივილეგიური უფლებებით სარგებლობს.

ნეიტრალიტეტი

ნეიტრალიტეტის გაგება უმთავრესად ახალი დროის საერთაშორისო სამართალს მიეკუთვნება, რადგან ნეიტრალიტეტის ინსტიტუტი ცნობილი არ იყო არც ძველ რომში და არც შუა საუკუნეებში.

ჰუგო გროციც კი, რომელიც განირჩეოდა თავის წინაპრებისაგან, რომლებიც იცნობდნენ მხოლოდ ორ ტერმინს,—მოკავშირეები (socii) და მეგობრები (amici),—ნეიტრალიტეტის ტერმინს ორი გაგებით ხმარობდა:

1) რომ ნეიტრალიტეტის მატარებელმა სახელმწიფომ დახმარება უნდა აღმოუჩინოს მხოლოდ ომში მონაწილე იმ მხარეს, რომელიც მართალია.

2) იმ შემთხვევაში, თუ გამოურკვეველია, ომში მონაწილე რომელი სახელმწიფოა მართალი ან მტყუანი, ნეიტრალური სა-

ხელმწიფო ომში მონაწილე ორივე მხარეს ერთნაირად უნდა ექცეოდეს, ე. ი. ორივე სახელმწიფოს უნდა მისცეს საშუალება თავთავიანთი ჯარები გაატარონ ნეიტრალურ ტერიტორიაზე, ერთნაირად უნდა მოამარაგოს ორივენი და სხვა.

მხოლოდ ბინკერსგუკმა (XVIII საუკ.) უკუაგდო სამართლიანი და უსამართლო ომები; იგი ამტკიცებდა, რომ ნეიტრალური სახელმწიფო ომში მონაწილე მხარეთა მიმართ მეგობრულად უნდა იყოს განწყობილი, იგი უნდა იყოს მიუდგომელი თავისი მოქმედებით, ხოლო მისი ტერიტორია ხელშეუხებელი უნდა იყოს.

ნეიტრალიტეტის გაგების შემდგომ განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია შვეიცარიამ, რომელიც XVI საუკუნიდან თავს იკავებდა ევროპის სახელმწიფოთა შორის კონფლიქტებში ჩარევისაგან.

ნეიტრალიტეტის დაცვა დამოკიდებული იყო ომში მონაწილე სახელმწიფოთა ძალების თანაფარდობაზე; ცხადია, ასეთი შემთხვევის დროს ომში მონაწილე მხარეებისათვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ნეიტრალური სახელმწიფოს მიერ თავისი უფლებების დაცვა, რადგან ომში მონაწილე ერთერთი მხარისათვის მისი დახმარება ძალების თანაფარდობის შეცვლას იწვევს.

ახლა შევჩერდეთ ნეიტრალიტეტის თანამედროვე გაგებაზე.

იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ომის დაწყებისას საომარი მოქმედების გარეშე რჩებიან, ნეიტრალური მდგომარეობა იწყება.

ნეიტრალიტეტის გამოცხადება შესაძლოა, მაგრამ სავალდებულოდ არ ჩაითვლება.

ნეიტრალიტეტის რეალური მნიშვნელობა დამოკიდებულია კონკრეტულ ისტორიულ მდგომარეობაზე და დაწყებული ომის ხასიათზე.

მეორე მსოფლიო ომის პროცესში, რომელიც აღვირახსნილმა აგრესორებმა დაიწყეს, ნეიტრალიტეტი მთელი რიგი სახელმწიფოებისათვის საერთაშორისო დამნაშავეთა თავშესაფარს წარმოადგენდა. გარდა ამისა, ზოგიერთმა ნეიტრალურმა სახელმწიფომ თანამშრომლობაც კი დაიწყო აგრესორებთან.

ცხადია, ასეთ პირობებში ნეიტრალიტეტი ირღვევოდა, რადგან უკანასკნელი ნიშნავს ყოველგვარ ჩაურევლობას ომიანობაში.

აქ ჩვენ მოგვიხდება განვიხილოთ ნეიტრალიტეტის დაცვა ხმელეთზე, ზღვაზე და ჰაერში საომარი მოქმედების დროს.

ხმელეთზე საომარი მოქმედების დროს ნეიტრალიტეტის დაცვის საკითხი განხილულია 1907 წლის ჰააგის V კონვენციის მიერ.

უპირველეს ყოვლისა, კონვენციაში აღნიშნულია, რომ ნეიტრალურ სახელმწიფოთა ტერიტორია ხელშეუხებელია, რომ ნეიტრალურ სახელმწიფოთა ტერიტორია არ შეიძლება გამოყენებულ იქნას საომარი მოქმედების ასპარეზად. ომში მონაწილე სახელმწიფოებს ეკრძალებათ გაატარონ ნეიტრალურ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე თავიანთი ჯარის ნაწილები, საომარი საჭურველით ან სურსათ-სანოვაგით დატვირთული ტრანსპორტი. აკრძალულია ამ ტერიტორიაზე რაიმე მავთულიან ან უმავთულო ტელეგრაფის სადგურების დადგმა ან რაიმე ხელსაწყოთა მოწყობა ამავე მიზნებით. აკრძალულია აგრეთვე ნაგებობათა გამოყენება სამხედრო მიზნებისათვის.

ნეიტრალურ ტერიტორიაზე არ დაიშვება სამხედრო შენაერთების ჩამოყალიბება, სამხედრო დაწესებულებათა გახსნა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ნეიტრალური სახელმწიფო პასუხს არ აგებს იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქალაქე გარკვეულ საქმიანობას აწარმოებს ომში ჩაბმული რომელიმე სახელმწიფოს მხარეზე.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ომში მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს საჭიროებისათვის ნეიტრალურ ზონაში ჯარის ნაწილების შეგროვების საკითხზე.

ამ საკითხმა გარკვეული მნიშვნელობა მოიპოვა XIX საუკუნის მანძილზე; მან თავისი გამოსახულება პოვა ცალკეულ სახელმწიფოთა კანონმდებლობაშიც. ქვემოთ დავინახავთ, რომ ნეიტრალური სახელმწიფო პასუხს არ აგებს, თუ მისი მოქალაქე სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნის დროს ან ნეიტრალურ სახელმწიფოს ტერიტორიის დატოვებისას სამხედრო მნიშვნელობის სამსახურს გაუწევს ომში მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს.

მსჯელობამ, რომელიც ამ საკითხის ირგვლივ გაიმართა კონფერენციაზე, გამოააშკარავა, რომ კონვენცია კრძალავს მხოლოდ ბანდიტური ორგანიზაციების ჩამოყალიბებას ნეიტრალურ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ

ცალკეული მოქალაქეები ნეიტრალურ სახელმწიფოს ტერიტორიას დატოვებენ და რაიმე სამხედრო ორგანიზაციას შექმნიან ომში მონაწილე რომელიმე სახელმწიფოსათვის მხარის დასაჭერად, ნეიტრალური სახელმწიფო პასუხს არ აგებს.

ცხადია, რომ ასეთი ორჭოფული გადაწყვეტილება ხელს უხსნის ნეიტრალურ სახელმწიფოს იმ შემთხვევისათვის, თუ სურს რაიმე დახმარება აღმოუჩინოს ომში მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის ნიღაბით. და არამცთუ ხელებს უხსნის, არამედ შესაძლებლობას აძლევს სავსებით თავისუფლად ჩაიდინოს ასეთი მოქმედება, ათასობით თავის მოქალაქე გააქციოს (რაზედაც ის პასუხს არ აგებს), რათა მან სპეციალური შეიარაღებული რაზმები, ჯარის ნაწილები ჩამოაყალიბოს და ამით დახმარება აღმოუჩინოს ომში მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს.

ამიტომ საბჭოთა კავშირმა, რომელმაც წარსულში ასეთი შინაარსის ხელშეკრულებები დასდო თავის მოსაზღვრე სახელმწიფოებთან, ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო, რასაც ნაოლად მოწმობს, მაგ., ლიტვასთან დადებული ხელშეკრულების 4 მუხლი, ესტონეთთან დადებული ხელშეკრულების 7 მუხლი, მონღოლეთთან დადებული ხელშეკრულების 3 მუხლი, პოლონეთთან დადებული ხელშეკრულების 5 მუხლი.

ამ ხელშეკრულებების მიუხედავად, საბჭოთა სახელმწიფოს დიპლომატიური ბრძოლა უხდებოდა იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებიც ხელს უწყობდნენ ბანდიტთა შეიარაღებული ჯგუფების ჩამოყალიბებას იმ პირთაგან, რომლებიც ბოროტი განზრახვით გარბოდნენ ჩვენ სახელმწიფო ტერიტორიიდან. ცნობილია, რომ პოლონეთმა რიგის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ თავის ტერიტორიაზე მოუყარა თავი საბჭოთა ხელისუფლების მოსისხლე მტრებს (ბულაკ-ბალახოვიჩს, სავინკოვს, პეტლურას), ამარაგებდა მათ საომარი იარაღით და ხელს უწყობდა საბჭოთა სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავდასხმებს.

ნეიტრალური სახელმწიფო წინააღმდეგობას ვერ გაუწევს ომში მონაწილე სახელმწიფოს იმაში, რომ თავისი კუთვნილი საომარი საჭურველი გაიტანოს საომარი მოქმედების საჭიროებისათვის.

ნეიტრალური სახელმწიფო არ კისრულობს ვალდებულებას აუკრძალოს ან შეუზღუდოს ომში მონაწილე სახელმწიფოს უფლება—მოიხმაროს თავის მიზნებისათვის სატელეგრაფო ან სატელეფონო კაბელები, უმავთულო ტელეგრაფის აპარატურა, რაც ნეიტრალური სახელმწიფოს კომპანიების ან კერძო პირთა საკუთრებას შეადგენს.

ნეიტრალურ სახელმწიფოს შეუძლია მისი ნეიტრალიტეტის დარღვევის დროს შეიარაღებული ძალით დაიცვას თავისი ნეიტრალიტეტი. იმ შემთხვევაში, თუ ომში მონაწილე სახელმწიფოს ჯარებს შეუშვებს, ვალდებულია საომარი მოქმედების ადგილიდან მოშორებით მოათავსოს ეს ჯარები. ამავე დროს მას უფლება ენიჭება სპეციალურ ბანაკებში ან ციხე-სიმაგრეებში მოათავსოს სამხედრო ნაწილები, სამხედრო ტყვეები, რომლებიც აღმოჩნდებიან მის ტერიტორიაზე, ვალდებულია მოახდინოს მათი ინტერნირება.

ნეიტრალურ სახელმწიფოს უფლება აქვს თავის ტერიტორიაზე გაატაროს ომში მონაწილე სახელმწიფოთა დაჭრილები ან ავადმყოფები, ხოლო ტრანსპორტს, რომელიც ამ მიზანს ემსახურება, არ უნდა გადაჰყავდეს ან გადაჰქონდეს არც მოქმედი ჯარის ნაწილები და არც საომარი იარაღი. ამის საწინააღმდეგოდ ნეიტრალური სახელმწიფო ვალდებულია წინასწარი სიფრთხილის ზომები მიიღოს მეთვალყურეობის მიზნით.

ნეიტრალურ სახელმწიფოთა მოქალაქენი თავიანთ მოქალაქეობას კარგავენ, თუ მეომარ სახელმწიფოთა მხარეზე მუშაობენ ან ქირით ემსახურებიან მათ რაიმე სამხედრო მნიშვნელობის დავალებათა შესასრულებლად.

არ ეწინააღმდეგება ნეიტრალიტეტს: ა) ომში მონაწილე სახელმწიფოსათვის საგნების მიწოდება ან სესხის მიცემა, მხოლოდ მიმწოდებელი და სესხის მიმცემი არ უნდა ცხოვრობდეს არც ამ სახელმწიფოს და არც მის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, და მიწოდების საგნები ზემოხსენებული ტერიტორიებიდან წაღებული არ უნდა იყოს.

ბ) მომსახურება პოლიციით ან სხვა სამოქალაქო მმართველობით. რკინიგზის ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობა, რომელიც ნეიტრალურ სახელმწიფოთა ტერიტორიებზეა და

სხვა სახელმწიფოებს ან კერძო პირებს ეკუთვნის, სასწრაფოდ უნდა გაიგზავნოს ამ სახელმწიფოებში.

საჭირო შემთხვევაში ნეიტრალურ სახელმწიფოს შეუძლია დააკავოს ან ექსპლოატაცია გაუწიოს რკინიგზის მოძრავ შემადგენლობას, რომელიც ომში მონაწილე სახელმწიფოებს ეკუთვნის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სარკინიგზო შემადგენლობა მის ტერიტორიაზე აღმოჩნდება, სათანადო გადასახადს უხდის მხარეს ექსპლოატაციისათვის.

რაც შეეხება საზღვაო ომის პერიოდში ნეიტრალიტეტის საკითხს, იგი რეგლამენტირებულია 1907 წლის ჰაგის XIII კონვენციით.

კონვენციის თანახმად ომში მონაწილე სახელმწიფოებს ეკრძალებათ საომარი მოქმედების წარმოება ნეიტრალურ წყლებში; გარდა ამისა, კონვენცია კრძალავს ნეიტრალურ წყლებში მონაოსნე გემების ჩხრეკას ან დაკავებას. ომში მონაწილე სახელმწიფოებს არ შეუძლიათ ნეიტრალური ნავსადგურების და ბაზების გამოყენება საომარი ოპერაციებისათვის, კერძოდ, ვერ მოაწყობენ რადიოგადამცემ და ტელეგრაფის სადგურებს, ყველა სხვა სახის დანადგარებს, რაც კი შესაძლოა გამოყენებული იყოს ომში მონაწილე სახელმწიფოებთან კავშირის დასამყარებლად ხმელეთსა თუ სხვა სახის ტერიტორიაზე (საზღვაო, საჰაერო).

ნეიტრალურ სახელმწიფოებს აკრძალული აქვთ პირდაპირ ან სხვათა მეშვეობით გადაცენ ომში მონაწილე სახელმწიფოებს სამხედრო ხასიათის გემები, საომარი საჭურველი ან სამხედრო მნიშვნელობის რაიმე სხვა მარაგი. ამასთან ნეიტრალური სახელმწიფო ვალდებული არ არის საჭირო შემთხვევაში თავი შეიკავოს ომში მონაწილე სახელმწიფოთა ხარჯზე სამხედრო მნიშვნელობის საქონლის გაყიდვაზე ან ისეთი მნიშვნელობის საქონლის ტრანზიტზე, რაც გამოსადეგი იქნება მეომარ სახელმწიფოთათვის.

ნეიტრალურმა სახელმწიფომ თავის იურისდიქციის ფარგლებში წინააღმდეგობა უნდა გასწიოს ისეთ შემთხვევებში, როდესაც მეომარი სახელმწიფოს გემები ნეიტრალურ წყლებში იარაღდებიან სამხედრო მნიშვნელობის საჭურვლით.

ნეიტრალიტეტის დარღვევად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც ომში მონაწილე სახელმწიფოების სამხედრო

გემების გასვლა ნეიტრალურ ან ნაციონალურ წყლებში სპეციალურ მომსახურებას მოითხოვს ლოცმანებით. იმ შემთხვევაში, თუ მეომარ სახელმწიფოს გემი, სხვადასხვა მიზეზების გამო, დაკავებულ იქნა ნეიტრალურ წყლებში, შესაძლებელია მისი ინტერნირება ომის დამთავრებამდე.

აღსანიშნავია, რომ ნეიტრალიტეტის რეჟიმს აკუთვნებენ აგრეთვე სამხედრო კონტრაბანდის ინსტიტუტს.

სამხედრო კონტრაბანდის წესები გამომუშავებულია 1909 წლის ლონდონის დეკლარაციის საფუძველზე.

სამხედრო კონტრაბანდას ორ ნაწილად ჰყოფენ: 1) აბსოლუტური კონტრაბანდა (მხოლოდ სამხედრო მნიშვნელობის საგნები) და 2) შედარებითი კონტრაბანდა (ომიანობისა და მშვიდობიანობის დროს საჭირო საგნები).

პირველი სახის კონტრაბანდა შეიძლება ჩამორმთეულ იქნას კონფისკაციის წესით, თუ იგი მოწინააღმდეგე სახელმწიფოში იგზავნება, ხოლო მეორე სახის კონტრაბანდის კონფისკაცია მაშინ ხდება, როდესაც დადგინდება მისი დანიშნულების ხასიათი, ე. ი. თუ მოწინააღმდეგის ჯარებისათვის ან მისი მმართველი აპარატისათვის იგზავნება.

იმ შემთხვევაში, თუ გემი კონტრაბანდით არის დატვირთული, დაკავებულ უნდა იქნას.

აბსოლუტური კონტრაბანდის დროს იხმარება ე. წ. „ერთიანი ნაოსნობის“ თეორია. საგნები კონფისკაციის წესით უნდა იქნას ჩამორთმეული იმის მიუხედავად, უშუალოდ წყლის ტრანსპორტის საშუალებით ხდება მათი გადაგზავნა, თუ დანიშნულ ადგილზე მისასვლელად საჭიროა სახმელეთო ტრანსპორტზე გადატვირთვა. შედარებით კონტრაბანდას ეს თეორია არ შეეფარდება.

აბსოლუტური და შედარებითი კონტრაბანდის საგნების სია აღნუსხულია 1909 წლის ლონდონის დეკლარაციის 45 და 46 მუხლებში. სამხედრო კონტრაბანდისათვის ნეიტრალური სახელმწიფოს გემის კონფისკაცია შესაძლებელია:

1) როდესაც იგი ნაოსნობას სპეციალურად კონტრაბანდის სახით ტვირთის გადატანის მიზნით აწარმოებს, და ისეთი მგზავრების გადაყვანის შემთხვევაში, რომელნიც მეომარი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს ეკუთვნიან.

2) როდესაც გემის მესაკუთრის ან გემის ფრახტის გადამ-ხდელი პირის სურვილით ან უშუალოდ გემის კაპიტნის ნებადართვით გადაჰყავს მოწინააღმდეგის ჯარები, თუნდაც რამდენიმე სამხედრო პირი, რომლებიც მოწინააღმდეგე სახელმწიფოს დახმარებას უწევენ საომარ მოქმედებაში. ნეიტრალური გემი ყველა ასეთ შემთხვევაში უთანაბრდება სავაჭრო გემებს, რომლებიც:

ა) უშუალო მონაწილეობას იღებენ საომარ მოქმედებაში;

ბ) გემზე ამყოფებენ მოწინააღმდეგე სახელმწიფოს სამხედრო პირს, ვის განკარგულებაშიაც არის ამ შემთხვევაში ეს გემი;

გ) მთლიანად დაფრახტულია მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მიერ;

დ) მოწინააღმდეგე სახელმწიფოს სხვა რაიმე სამხედრო მნიშვნელობის დავალებას ასრულებენ.

საჰაერო ომის ნეიტრალიტეტი, რომელიც ჩვენ განვიხილეთ, იმავე წესებს უნდა ემორჩილებოდეს, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, როდესაც ლაპარაკი გვქონდა ხმელეთზე და ზღვაზე საომარი მოქმედების დროს ნეიტრალიტეტის დაცვაზე.

საჰაერო ნეიტრალიტეტის ძირითადი რეჟიმი იმაში მდგომარეობს, რომ დარღვეული არ უნდა იქნას ნეიტრალური სახელმწიფოს საჰაერო სივრცე, ე. ი. სახელმწიფოს საჰაერო ტერიტორია.

სამამულო ომის პერიოდში აგრესიული სახელმწიფოები სისტემატურად არღვევდნენ ნეიტრალიტეტს; ამის დამამტკიცებელი მაგალითი უამრავი მოგვეპოვება. ამ საკითხზე დაწერილებით შევჩერდებით სპეციალური თემის განხილვის დროს.

საომარი მოქმედების შეწყვეტა და ომის დამთავრების საკითხი

მოწინააღმდეგეთა შორის საომარი მოქმედების შეწყვეტა შესაძლებელია: დროებითი ან საბოლოო. პირველი შემთხვევის დროს, ე. ი. როდესაც საქმე გვაქვს მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა შორის საომარი მოქმედების დროებით შეწყვეტასთან (განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით), უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთ პირობებში სახელმწიფოთა შორის საომარი დამოკიდებულება არ სწყდება.

რაც შეეხება მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა შორის საბრძოლო მოქმედების საბოლოოდ შეწყვეტას, ე. ი. როდესაც სახელმწიფოები აღარ იმყოფებიან საომარ მდგომარეობაში, ომი დამთავრებულად ჩაითვლება მხოლოდ საზავო ხელშეკრულების დადების შედეგად.

საბრძოლო მოქმედების დროებითი შეწყვეტა შეიძლება იყოს ნაწილობრივი ან სრული. დროებით შეწყვეტა ხდება: პარლამენტიორების, კარტელური გემების ანუ იმ გემების ეკიპაჟის მიმართ, რომლებიც პარლამენტიორების ბაირაღით ნაოსნობენ; იმ პირთა მიმართ, რომლებსაც ხელთ აქვთ სათანადო სიგელი იმის შესახებ, რომ მათ ევალებათ ომში დახოცილთა დასაფლავება; ტყვეების გაცვლის ან კაპიტულაციის დროს და სხვა. ომის ასპარეზის ერთ-ერთ ნაწილზე საბრძოლო მოქმედების ასეთი სახის შეწყვეტას ადგილობრივი ხასიათის ზავი ეწოდება. ომის ასპარეზზე საბრძოლო მოქმედების საერთო შეწყვეტას, ე. ი. საბრძოლო მოქმედების დროებით შეწყვეტას დროებითი ზავი ეწოდება და ამ შემთხვევაში მას საერთო ხასიათი აქვს.

1907 წლის ჰაგის კონვენციის IV დანართი, რომელიც ბმელეთზე საომარი მოქმედების კანონებს ეხება, პარლამენტიორებად სთვლის ისეთ პირებს, რომლებიც ომში მონაწილე ერთი სახელმწიფოს სახელით აწარმოებენ მოლაპარაკებას ომში მონაწილე მეორე სახელმწიფოს წარმომადგენლებთან. პარლამენტიორები თეთრი ბაირაღით ცხადდებიან. როგორც თვით პარლამენტიორები, აგრეთვე ყველა ის პირნი, რომლებიც მათთან ახლავთ ხელშეუხებლობის უფლებით სარგებლობენ.

ჯარების უფროსი ვალდებული არ არის ყველა პირობებში მიიღოს პარლამენტიორი. მას უფლება აქვს წინააღუდგეს პარლამენტიორის სურვილს იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი შეეცდება საჭირო ცნობების შეკრებას მოწინააღმდეგე სამხედრო ძალების შესახებ. მაგალითად, თუ პარლამენტიორი ნამდვილად ცდილობს შეკრიბოს ან უკვე შეკრიბა რაიმე სამხედრო მნიშვნელობის ცნობები, ამ შემთხვევაში ჯარების უფროსს, ვისთანაც მიგზავნილი იყო პარლამენტიორი, უფლება აქვს დროებით დააპატიმროს პარლამენტიორი; ასეთ შემთხვევაში პარლამენტიორი ხელშეუხებლობის უფლებას კარგავს. ცხადია, პარლამენტიორის ასეთი ქცევის დასადასტურებლად

საჭიროა უტყუარი საბუთები. როგორც ვხედავთ, პარლამენტიორის ხელშეუხებლობის პრინციპი ეყრდნობა არა მარტო ადათს, არამედ დადასტურებულია საერთაშორისო მნიშვნელობის შეთანხმებითაც.

საბჭოთა პარლამენტიორების პროვოკაციული და არაადამიანური მკვლელობა, რაც ბუდაპეშტის რაიონში მოხდა, ისტორიაში ჯერ არნახულ უპრეცედენტო მაგალითს წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, გერმანიის ჯარებს და უნგრეთის სამხედრო ნაწილებს, რომლებიც საბჭოთა ჯარების მიერ ალყაშემორტყმული იყვნენ ბუდაპეშტში და გამოუვალ პირობებში ჩავარდნენ, განადგურება მოელოდათ. საბჭოთა სარდლობამ, რომელიც ჰუმანური მიზნებით ხელმძღვანელობდა ომის საერთაშორისო კანონების და ადათების შესაბამისად, 1944 წლის 29 დეკემბერს რკალშემორტყმულ მოწინააღმდეგეთა ჯარების სარდლობას პარლამენტიორები გაუგზავნა შესაფერისი ულტიმატუმის გადასაცემად. საბჭოთა სარდლობას ამით უნდოდა თავიდან აეცილებინა ზედმეტი სისხლისღვრა, გადაერჩინა მშვიდობიანი მოსახლეობა ტანჯვისა და ზედმეტი მსხვერპლისაგან, აეცდინა უნგრეთის ისტორიული დედაქალაქის, მისი კულტურისა და ხელოვნების ძეგლების ნგრევა.

გერმანიის სარდლობას ეცნობა საბჭოთა პარლამენტიორების გამგზავრება, ეცნობა აგრეთვე პარლამენტიორების მისვლის დრო და მარშრუტი. ჩვენმა ჯარებმა ამ მიმართულებით სროლა შესწყვიტეს. ამის მიუხედავად, როდესაც საბჭოთა ოფიცერი, რომელსაც ხელში ეჭირა დიდი თეთრი ბაირაღი და მსუბუქი ავტომანქანით უახლოვდებოდა გერმანიის ჯარების ცეცხლის ხაზს, გერმანელებმა საშინელი სროლა აუტეხეს და მოჰკლეს იგი. ერთდროულად მეორე საბჭოთა ოფიცერი, თარჯიმანთან ერთად, გაგზავნილი იყო ფრონტის მეორე მიმართულებით. ეს ოფიცერი გერმანელებმა თავიანთ შტაბში შეუშვეს, ხოლო იქიდან გამოსვლის შემდეგ ზურგიდან ატეხეს სროლა და ჩვენი ოფიცერი მოჰკლეს, ხოლო თარჯიმანი, სრულიად შემთხვევით, ცოცხალი გადარჩა.

საბჭოთა პარლამენტიორებისადმი ამ უმსგავსო და არაადამიანური საქციელის გამო, საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ 1944 წლის 31 დეკემბერს განაცხადა: „ომის ისტორიას მსგავსი მოვლენა არ ახსოვს. პარლამენტიორები უხსოვარი დროიდ

დან სარგებლობენ ხელშეუხებლობის უფლებით. ეს უფლებანათლად არის მოცემული ტრადიციაში. იგი შეტანილია 1907 წლის ჰააგის კონვენციაში „ხმელეთზე ომის კანონებისა და ადათების შესახებ". ჰიტლერულმა კაციჭამიებმა ერთხელ კიდევ დაანახვეს მთელ მსოფლიოს, რომ მათთვის არავითარი კანონი არ არსებობს. ისინი უდიერად ექცევიან ყველა საერთაშორისო კონვენციასა და ხელშეკრულებას, რომლებზედაც ხელი მოწერილი აქვს თვით გერმანიის სახელმწიფოს" [1]...

სამხედრო ხასიათის შეთანხმებებს, რომლებიც მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა შორის იდება ომში დაღუპულთა დაკრძალვის, დაჭრილთა გაყვანის, ტყვეების გაცვლის, კაპიტულაციის შესახებ, კარტელები ეწოდება. ასეთი სახის ხელშეკრულებები ჩვეულებრივად სამხედრო სარდლობათა შორის იდება და არ მოითხოვს შემდგომ რატიფიკაციას სახელმწიფო ხელისუფლების მიერ.

1907 წლის ჰააგის კონვენციის 35 მუხლის თანახმად, კაპიტულაციის შესახებ ხელშეკრულების დადების დროს დაცული უნდა იყოს სამხედრო პატივისცემა. კაპიტულაციის პროცედურა დაცული უნდა იყოს ორივე მხარის მიერ.

საბჭოთა კანონმდებლობა დაუშვებლად აღიარებს კაპიტულაციას, რადგან იგი ეწინააღმდეგება საბჭოთა არმიის ღირსებას. მართლაც, პრაქტიკაში არ გვახსოვს საბჭოთა ჯარების კაპიტულაციის არცერთი შემთხვევა.

1907 წლის ჰააგის კონვენციის IV დანართის V თავის თანახმად, დროებითი ზავი ითვალისწინებს საომარი მოქმედების შეწყვეტას გარკვეული დროით. იმ შემთხვევაში, თუ დროებითი შეწყვეტის ვადა გათვალისწინებული არ არის, მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს შეუძლიათ განაახლონ თავიანთი საბრძოლო მოქმედება, მაგრამ ერთი სავალდებულო პირობის დაცვით: მოწინააღმდეგე ვალდებულია აცნობოს თავის მოწინააღმდეგეს საომარი მოქმედების დაწყების შესახებ.

საზავო ხელშეკრულების დადების დროს მოწინააღმდეგე მხარეებს უფლება აქვთ შეთანხმდნენ, თუ რა დამოკიდებულებაში იქნებიან ისინი მოსახლეობის მიმართ ყოფილი საომარი ასპარეზის ადგილზე.

---

[1] „Правда", 31 декабря 1944 г.

ერთ-ერთი მხარის მიერ დროებითი საზავო ხელშეკრულების ყოველგვარი დარღვევა უფლებას აძლევს მეორე მხარეს უარი განაცხადოს დროებით საზავო ხელშეკრულებაზე და, უკიდურეს შემთხვევაში, გაანახლოს საომარი მოქმედება. იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულებას ცალკეული პირები არღვევენ, მეორე სახელმწიფოს უფლება აქვს მოითხოვოს დამრღვევთა დასჯა და მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

ჰიტლერული აგრესიული ხასიათის ბლოკის დაშლა ევროპაში იმის შემდეგ დაიწყო, როდესაც 1943 წლის ზაფხულში წითელი არმია უმაგალითო შეტევაზე გადავიდა. ამის შედეგად 1943 წლის 3 სექტემბერს იტალია იძულებული გახდა ბლოკიდან გასულიყო და დროებითი საზავო ხელშეკრულება დაედო. ხსენებულ ხელშეკრულებას გაერთიანებული ერების სახელით (სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთის) ხელს აწერდა გენერალი ეიზენჰაუერი

წითელი არმიის და მასთან ერთად მოკავშირეთა არმიების შემდგომმა იერიშებმა გერმანიის სხვა სატელიტებიც აიძულა კაპიტულაცია მოეხდინათ.

ომის შემდეგ დადებულ იქნა დროებითი ხასიათის საზავო ხელშეკრულებები:

1) სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოს და ამერიკის შეერთებული შტატებისა, ერთი მხრივ, და რუმინეთის სახელმწიფოს, მეორეს მხრივ (1944 წლის 12 სექტემბერს);

2) სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს და ჩრდილოეთ ირლანდიისა—ფინეთთან (1944 წლის 19 სექტემბერს);

3) სსრ კავშირის, ინგლისის გაერთიანებული სამეფოს და ამერიკის შეერთებული შტატებისა—ბულგარეთთან (1944 წლის 28 სექტემბერს);

4) სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს და ჩრდილოეთ ირლანდიის და ამერიკის შეერთებული შტატებისა—უნგრეთთან (1945 წლის 20 იანვარს);

ყველა ზემოხსენებული დროებითი სახის საზავო ხელშეკრულება, თავისი ფორმითა და შინაარსით, მეორე მსოფლიო ომის თავისებურებებს გამოსახავს.

მაგალითად, თავიანთი ფორმის მიხედვით, ზემოხსენებული ხელშეკრულებები მოკავშირეთა მიერ დადებულია გაერთიანებული ერების სახელით. საზავო პირობები ძალაში რჩება გერმანიასთან საომარი მოქმედების დამთავრებამდე და საზავო ხელშეკრულების დადებამდე.

დაარსდა მოკავშირეთა საკონტროლო კომისიები, რომლებიც საზავო ხელშეკრულების დადებამდე თვალყურს ადევნებენ და კონტროლს გაუწევენ დროებით საზავო ხელშეკრულებათა შესრულებას.

თავიანთი შინაარსის მიხედვით ზოგიერთი ხელშეკრულება საზავო ხელშეკრულებას უახლოვდება, რომელთა ცალკეული-მუხლები შეიძლება შეტანილ იქნას საზავო ხელშეკრულებაში.

ომის დამთავრება

საომარი მოქმედების შეწყვეტა უმრავლეს შემთხვევაში საზავო ხელშეკრულებათა საფუძველზე ხდება. საზავო ხელშეკრულებები შეიძლება იყოს; 1) პრელიმინარული (წინასწარი) და 2) საბოლოო.

პირველი სახის საზავო ხელშეკრულება უდავოდ შეიცავს მომავალი საბოლოო საზავო ხელშეკრულების მთელ რიგ ძირითად მუხლებს, მაგრამ, თუ საჭიროდ იქნება მიჩნეული, შესაძლოა საბოლოო საზავო ხელშეკრულების ტექსტის შედგენის დროს შეტანილ იქნას არსებითი ცვლილებებიც.

საბოლოოდ დადგენილი და ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულება წყვეტს საბრძოლო მოქმედებას.

იმ შემთხვევაში, თუ საზავო ხელშეკრულებაში რამდენიმე სახელმწიფო მონაწილეობს, მაშინ ხელშეკრულება შეიძლება იყოს საერთო და სეპარატული. უკანასკნელ შემთხვევაში ხელშეკრულება იდება ომში მონაწილე ერთ-ერთ სახელმწიფოსთან ან მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა კოალიციის წევრებთ, მხოლოდ ორ სახელმწიფოს შორის.

ჩვეულებრივად, სათანადო პოლიტიკურ შეთანხმებათა მონაწილენი ვალდებულებას კისრულობენ არ დასდონ სეპარატული ხელშეკრულებები მტრულ სახელმწიფოსთან. სახელმწიფოები, რომლებიც მონაწილეობდნენ 1942 წლის 1 იანვრის ვაშინგტონის დეკლარაციაში, შეთანხმდნენ „არ დასდონ მტერ-

თან არც სეპარატული ხელშეკრულება და არც საზავო ხელშეკრულება“ [1]. სსრ კავშირი და დიდი ბრიტანეთი აგრეთვე შეთანხმდნენ მოკავშირეობის ხელშეკრულებით (1942 წლის 26 მაისი), რათა „არ აწარმოონ რაიმე მოლაპარაკება გერმანიის ჰიტლერულ ან სხვა რომელიმე ხელისუფლებასთან, რომელიც მთლიანად არ უარჰყოფს აგრესიულ პოლიტიკას და განზრახვებს; ამავე დროს არ უნდა წარმოებდეს რაიმე სახის მოლაპარაკება საზავო ხელშეკრულების დადების საკითხებზე არც გერმანიასთან და არც მასთან კავშირში მყოფ სხვა სახელმწიფოებთან“ [2]...

თავისი არსებითი შინაარსის მხრივ ასეთივე ხასიათისაა მეგობრობის ურთიერთდახმარების და ომის შემდგომ პერიოდში თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც დადებულია სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიას შორის (1943 წლის 12 დეკემბერს), აგრეთვე ხელშეკრულება, რომელიც დაიდო სსრ კავშირისა და საფრანგეთს შორის (1943 წლის 10 დეკემბერს) სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის (1945 წლის 21 აპრილს).

საზავო ხელშეკრულებები ძირითადად შემდეგ საკითხებს შეიცავენ: სამომავლო მოქმედების საბოლოო შეწყვეტას, სამხედრო ტყვეების დაბრუნებას, ხელშეკრულებათა აღდგენას, კონტრიბუციის ან სამხედრო ხარჯების ანაზღაურებას, სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილის დათმობას, ხელშეკრულების შესრულების გარანტიას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სამხედრო დამნაშავეთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნის აღძვრის საკითხი. 1945 წლის 18 ოქტომბერს ქალაქ ნიურენბერგში გაიხსნა სხდომა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალისა, რომელიც ასამართლებს გერმანელ ფაშისტ სახელმწიფო ხელმძღვანელთა მთავარ ჯგუფს.

საბრალმდებო დასკვნა, რომელიც ოთხი ნაწილისაგან შედგება, ითვალისწინებს ყველა იმ ბოროტმოქმედებას, რასაც ითვალისწინებს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა წ ი ლ ი „საერთო გეგმა ან შეთქმულება“.

---

[1] Внешняя политика Советского Союза в период Отечественной войны, т. I, стр. 71.

[2] Там же, стр. 236—237

ბოროტმოქმედნი ამზადებდნენ და ახორციელებდნენ თავიანთ ძირითად მიზანს; კაცობრიობის წინაშე მათ ჩაიდინეს სამხედრო დანაშაული. ყოველივე ეს ერთიანი მზეცური გეგმის—მსოფლიოს დაპყრობის გეგმის შედეგი იყო.

ყველა, ვინც ბრალდებულის სკამზე ზის, აქტიურად მონაწილეობდა ამ „საერთო გეგმის“ შედგენაში, რის შედეგადაც დაიწყო ომი.

საბრალმდებო დასკვნის მეორე ნაწილი აღნიშნავს მსოფლიოს წინააღმდეგ დანაშაულს და მოყვანილია თარიღები, როცა ფაშისტურმა გერმანიამ დაიწყო აგრესიული მოქმედებანი.

მესამე ნაწილში მოცემულია სამხედრო მნიშვნელობის დანაშაულებანი.

განსაკუთრებულ პირობებში იხილავს საერთაშორისო ტრიბუნალი უფროსის ბრძანებით ჩადენილ სამხედრო მნიშვნელობის დანაშაულს.

ტრიბუნალის წესდების 8 მუხლში წერია, რომ უფროსის ბრძანება გათვალისწინებულ იქნება ტრიბუნალის მიერ, როგორც შემამსუბუქებელი მდგომარეობა, თუ თვით ტრიბუნალი ამას საჭიროდ დაინახავს. ამით აიხსნება ის, რომ ბრალდებულნი პროცესზე ამტკიცებენ, თითქოს ისინი ჰიტლერის ბრძანებათა უბრალო შემსრულებელი იყვნენ. ასეთი განცხადება პასუხისმგებლობისაგან ვერ იხსნის მათ და ვერ შეუმსუბუქებს მდგომარეობას, რადგან ბრალდებულნი ჰიტლერის ერთგული თანამოაზრენი იყვნენ. ამის გამო საერთაშორისო ტრიბუნალი თავის წესდების 8 მუხლს ვერ გამოიყენებს მათ მიმართ.

ფაშისტურ აგრესიას მუდამ თან სდევდა არნახული სამხედრო მნიშვნელობის დანაშაული; ჰიტლერული კაცისჭამიები ომის წარმოების ყველა კანონსა და ადათს არღვევდნენ.

საბრალმდებო დასკვნის მეოთხე ნაწილი შეიცავს ბრალდებას—„კაცობრიობის წინააღმდეგ ბრძოლა“, რაზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა უფრო დაწვრილებით ლაპარაკი.

აი რად სხედან საბრალმდებო სკამზე გერმანიის ხელმძღვანელნი, აი რისთვის აგებენ პასუხს განადგურებული ფაშისტური სახელმწიფოს მესვეურნი—გერინგი, რიბენტროპი, ჰესი, კალტენბრუნერი, როზენბერგი, ზაუკელი, ფუნკი, შახტი, პაპენი, კრუპი, ნეირატი, შირანი, ზეის-ინკვარტი, იოდლი, რედერი, დენიცი და სხვ.

საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი ჩვეულებრივი ტრიბუნალი არ არის. ეს სასამართლო განსაკუთრებული დანიშნულებისაა. ცნობილია, რომ თითოეულ სასამართლო პროცესს თავისი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი, თუ სასამართლო ამა თუ იმ ფაქტს დადასტურებულად ჩათვლის, შეუძლია შეწყვიტოს სასამართლო გამოძიება და გადავიდეს განაჩენზე.

ნიურენბერგში ასეთი რამ არ შეიძლება მოხდეს, რადგან აქ სასამართლო ვერ იხელმძღვანელებს პრინციპით—„სასამართლოსათვის ყველაფერი გამორკვეულია". საერთაშორისო ტრიბუნალში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მხარეთა თანასწორუფლებიანობას და თანაბარუფლებიანობას. მხარეებს შეუძლიათ ყველა ფაქტი თავიანთი თვალსაზრისით გააშუქონ. ამიტომ ოთხი სახელმწიფოს ბრალმდებელნი ერთ და იმავე საკითხზე ლაპარაკობენ, ერთ და იმავე ფაქტებს აშუქებენ, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა სასამართლოსათვის რომელიმე საკითხი სავსებით გარკვეული იყოს. ასეთი პროცედურა გათვალისწინებულია საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების 24 მუხლით.

როგორც ცნობილია, ტრიბუნალმა არა მარტო უნდა გამოიტანოს თავისი განაჩენი იმ პირთა მიმართ, რომლებიც ამ შემთხვევაში საბრალმდებლო სკამზე სხედან, არამედ მისი განაჩენი უნდა შეეხოს მთელ რიგ ორგანიზაციებსაც, რომლებსაც ბრალდება ბოროტმოქმედებად ჩათვლის (მაგ., CC, გესტაპო და სხვა).

ტრიბუნალის წესდების 21 მუხლი იხილავს იმ დოკუმენტების დამამტკიცებელ ძალას, რომლებიც შედგენილია ცალკეულ სახელმწიფოთა საგანგებო კომისიების მიერ გერმანელ ფაშისტთა მხეცობის შესახებ.

ნიურენბერგის პროცესის პოლიტიკური მნიშვნელობა მეტად დიდია. ამ პროცესის მიზანს მარტო ბრალდებულთა დასჯა არ წარმოადგენს. იგი უაღრესად დიდ ამოცანას ასრულებს და მოწოდებულია ერთხელ კიდევ ნათელჰყოს მთელ მსოფლიოს წინაშე გერმანული ფაშიზმის მხეცური არსი, მისი თეორია, პრაქტიკა და პოლიტიკა, ამ სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის დანაშაულებრივი კავშირი.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ბევრი ჰიტლერული კაციჭამია აფარებს თავს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ამ არამზადებს

სურთ გაექცნენ კანონიერ დამსახურებულ სასჯელს. სწორედ ამის გამო, სსრ კავშირმა, სხვა მოკავშირე სახელმწიფოებთან ერთად, სპეციალურად მიმართა ყველა სახელმწიფოს იმის შესახებ, რომ ჰიტლერულ დამნაშავეებს არცერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არ მიეცეთ თავშესაფარი [1].

სსრ კავშირის დამოკიდებულება ომის კანონებისა და ადათებისადმი

ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XVIII ყრილობაზე აღნიშნა:

„1. ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიანობის და საქმიანი კავშირის განმტკიცებას ყველა ქვეყანასთან, ვდგევართ და ვიდგებით ამ პოზიციაზე, რამდენადაც ეს ქვეყნები ასეთსავე ურთიერთობაში იქნებიან საბჭოთა კავშირთან, რამდენადაც ისინი არ შეეცდებიან დაარღვიონ ჩვენი ქვეყნის ინტერესები.

2. ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიან, ახლობელ და კეთილმეზობლურ ურთიერთობას ყველა მეზობელ ქვეყანასთან, რომელთაც სსრ კავშირთან საერთო საზღვარი აქვთ, ვდგევართ და ვიდგებით ამ პოზიციაზე, რამდენადაც ეს ქვეყნები ასეთსავე ურთიერთობაში იქნებიან საბჭოთა კავშირთან, რამდენადაც ისინი არ შეეცდებიან დაარღვიონ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრების მთლიანობისა და ხელშეუხებლობის ინტერესები“ [2].

საბჭოთა კავშირმა თავის არსებობის მანძილზე თანამიმდევრულად და საქმით დაამტკიცა ასეთი დამოკიდებულება უცხო სახელმწიფოებისადმი. ცხადია, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა ანგარიშ უწევს ყველა იმ ამოცანებს, რომლებსაც აყენებდნენ ჩვენს წინაშე ევროპის სახელმწიფოები, რადგან საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკამ უნდა ასახოს საერთაშორისო ვითარებაში მომხდარი ცვლილებანი და სსრ კავშირის, როგორც მშვიდობიანობის მძლავრი ფაქტორის, გაზრდილი როლი.

„ზედმეტია იმის მტკიცება, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა ძირფესვიანად მშვიდობისმოყვარულია და აგრესიის წინააღმდეგ არის მიმართული“ [3].

---

[1] „Правда“ от 13 II 1945 г., № 38 (9309).

[2] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გამ. XI, გვ. 711.

[3] მოლოტოვი, სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა და საგარეო პოლიტიკა, სახელგამი, 1939 წ., გვ. 18—19.

საბჭოთა კავშირის ხალხები გმირულ ბრძოლას აწარმობდნენ მთელი კაცობრიობის ბედნიერებისათვის. საბჭოთა ქვეყანას არ უნდა სხვისი მიწა-წყალი, არ უნდა ომი. ჩვენი მთავრობა განუხრელად ატარებს ქვეყნიერების ყველა ხალხთან მშვიდობიანობის პოლიტიკას.

მან დასდო მთელი რიგი სამშვიდობო ხელშეკრულებები მრავალ ქვეყნებთან. მშვიდობიანობის განსამტკიცებლად სსრ კავშირი ერთა ლიგაში შევიდა, რომელიც ჯერ კიდევ 1919 წელს იყო დაარსებული. სსრ კავშირს,—ამბობდა სტალინი,—

„აზრად არა აქვს დამუქროს ვისმე და—მით უმეტეს—თავს დაესხას ვისმე. ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიანობას და ვიცავთ მშვიდობიანობის საქმეს. მაგრამ ჩვენ არ გვეშინია მუქარისა და მზადა ვართ დარტყმით ვუპასუხოთ ომის გამჩაღებლების დარტყმას“ [1].

ომის ეს გამჩაღებლები იყვნენ ფაშისტები—ყველა მშრომელის უბოროტესი მტრები. ფაშისტები სდევნიდნენ ყველას, ვინც მათთან არ იყო. ამასთან ყველაზე მეტად სძულდათ ფაშისტებს ჩვენი ქვეყანა, სოციალიზმის ქვეყანა, მთელი კაცობრიობის მშვიდობიანობის, თავისუფლებისა და ბედნიერების მძლავრი დასაყრდენი.

ცნობილია, რომ იაპონიის ფაშისტურმა ოფიცრობამ ხელთ იგდო მანჯურია და ჩინეთის სხვა მიწები. იგი ხშირად მოსინჯავდა ხოლმე ჩვენი საზღვრების სიმტკიცეს შორეულ აღმოსავლეთში და ყოველთვის პასუხად ღებულობდა ენერგიულ დარტყმას.

საბჭოთა კავშირი მტკიცე და ძლიერია, ძლიერია თავისი წითელი არმიით, რომელიც შეიარაღებულია ტექნიკისა და მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ის სახელოვანია თავისი მეთაურებით, თავისი გმირი მეომრებით—წითელარმიელებით; კიდევ უფრო ძლიერია იმით, რომ მთელი ხალხი, უკლებლივ ქალი და კაცი, ახალგაზრდა და მოხუცი მკერდით იცავდა მას, და, თუ საჭირო იქნება, კვლავაც დაიცავს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე თავის საყვარელ და ძვირფას სამშობლოს.

---

[1] ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, გამ. XI, გვ. 546—547

ძლსანიშნავია, რომ რუსი ხალხის ისტორიული წარსული მდიდარია ისეთი მაგალითებით, რომლებიც ნათლად ადასტურებენ, რომ იგი მუდამ მტკიცედ იცავს ომის კანონებსა და ადათებს.

რუსმა ხალხმა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში შეითვისა, რომ არ შეიძლება ვერაგული თავდასხმა მეზობელ სახელმწიფოებზე. სანამ საომარი მოქმედება დაიწყებოდა, რუსი ხალხი ყველა ფორმალობას ასრულებდა, რაც კი დაკავშირებული იყო ომის გამოცხადებასთან. ცნობილია, რომ ოლეგის შემდეგ კიევის მთავრად იყო სვიატოსლავი. სვიატოსლავმა მთელი თავისი სიცოცხლე ლაშქრობაში გაატარა. ლაშქრობის დროს იგი მიწაზე ცეცხლის პირას საფენს გაიშლიდა, თავქვეშ უნაგირს დაიდებდა, და ასე ეძინა ცისქვეშ. სვიატოსლავი უშიშარი ადამიანი იყო და გალაშქრებამდე აფრთხილებდა მოწინააღმდეგეს, შეუთვლიდა ხოლმე: „მოვდივარ თქვენზეო“ [1].

XVII საუკუნეს მოსკოვის სახელმწიფოში ომის გამოცხადება განსაკუთრებული მანიფესტით ხდებოდა. მაგალითად, 1654 წ. ალექსი მეფემ მიძინების ტაძარში გამოაცხადა, რომ მიდის თავის მტრის (არა მოყვარის)—მეფე კაზიმირის წინააღმდეგ სალაშქროდ, რადგანაც მან დიდი უსიამოვნება მიაყენა [2].

ასევე 1700 წ. პეტრე I მანიფესტით გამოუცხადა ომი შვედებს. მანიფესტში აღნიშნული იყო, რომ შვედებმა რუსეთს წაართვეს ინგერმანლანდია და კარელია და რომ შვედების აგრესია დიდ საშიშროებას უქადის მთელ რუსეთის სამეფოს [3].

ასეთი მაგალითები ქართველ ხალხსაც მოეპოვება.

რუსეთის ლიტერატურა მდიდარია სპეციალური სამხედრო მემუარებით, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რაოდენ პატივისცემით ეპყრობოდა რუსი ხალხი ომის კანონებსა და ადათებს.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მემუარების ავტორები არიან: ბ ე ნ ი გ ს ე ნ ი (1745—1826 წწ.), იგი 1773 წელს იწყებს სამსახურს რუსის ჯარში, სადაც 1818 წლამდე რჩება; მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის მეორე ომში, სპარსეთთან ომში, საფ-

---

[1] Полное собрание русских летописей, т. I, стр. 29

[2] П. С. З. Т. I, № 111.

[3] К а ж е в н и к о в, Международное публичное право, вып. II, стр. 45.

რანგეთის წინააღმდეგ ომში (1806—1807 და 1812—1813 წწ.) და სხვა.

ერმოლოვი (1772—1861 წწ.), რომელიც სუვოროვის ხელმძღვანელობით მუშაობდა, მონაწილეობას იღებდა 1805—1807 წწ. ომებში, 1812 წ. ბოროდინოს ბრძოლაში, 1817 წ. დაინიშნა მხედართმთავრად საქართველოში. აქ ყოფნის დროს ერმოლოვმა დაამუშავა გეგმა, რომლის საფუძველზედაც რუსეთთან შეერთებულ იქნა აფხაზეთი, ყარაბაღისა და შირვანის სახანოები.

პასკევიჩი (1782—1856 წწ) აგვიწერს მთელ რიგ საომარ მოქმედებებს, ომიანობის დროს არსებულ წესების დაცვის პირობებსა და მათი დარღვევის შემთხვევებს[1].

ასეთი სახის მემუარებრ და მონოგრაფიები თავმოყრილია, მაგ., კეჩენევსკის წიგნში (1855 წ. გამოცემა), სადაც იგი იძლევა ომის სამართლის საკითხების განმარტებას, აგრეთვე მარტენსის წიგნში „კერძო საკუთრების უფლება ომიანობის დროს“ (1869 წ. გამოც.) და სხვა ავტორების შრომებში.

ამრიგად, ჩვენ დავინახეთ, რომ ყოველივე ომი უშუალოდ დაკავშირებულია კლასობრივ საზოგადოებასთან. კაპიტალისტურ საზოგადოებაში გაბატონებული კლასები ომებს აწარმოებდნენ საკუთარი ბატონობის გასამტკიცებლად, ჩაგრული კლასი კი ზარბაზნის ხორცს წარმოადგენდა ამ ომებში. კაპიტალისტური სამყარო ფატალურად მიუძღვის ომებს, მას არ შეუძლია თავი დააღწიოს ომს.

მარქსისტული სწავლება ომის შესახებ ძირფესვიანად განსხვავდება პაციფისტურ სოციალ-დემოკრატიულ სწავლებისაგან. ცნობილია, რომ პაციფიზმი ბურჟუაზიული მილიტარიზმის განუყრელ დამატებას წარმოადგენს.

პასუხისმგებლობის საკითხი საერთაშორისო სამართლის მეცნიერებაში[2]

სახელმწიფოს მიერ ჩადენილი რაიმე საერთაშორისო დელიქტის გამო პასუხისმგებლობის პრინციპი ერთ-ერთ მთავარ

[1] Источниковедение истории СССР, т. II, стр. 129—136.

[2] ავტორმა ისარგებლა დ. ბ. ლევინის წერილით, რომელიც მოთავსებულია სსრ კავშირის აკადემიის მოამბეში № 2, მოსკოვი, 1946 წელი.

საკითხს წარმოადგენს და საერთაშორისო სამართლის ძირითად პრობლემებს ეკუთვნის.

ჩვენ ვიცით, რომ პასუხისმგებლობის გაგება ცნობილია სამართლის სხვა დარგებისათვის. ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი საკმარისად დამუშავებულია, მაგალითად, სამოქალაქო სამართალში, სისხლის სამართალში და სხვ.

ამ საკითხში სამართლის ცალკეული დარგები გარკვეული სპეციფიკურობითა და თავისებურებებით განირჩევიან, რომლებიც ამ სამართლის უფლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობენ.

ცხადია, რომ მართებული არ იქნებოდა მექანიკურად გადაგვეტანა სამართლის ერთ დარგში მოცემული პასუხისმგებლობა სამართლის მეორე დარგში.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ საერთაშორისო სამართალში ლაპარაკია პირველ რიგში სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ ურთიერთობაზე [1]. საერთაშორისო სამართლის ძველი რიგი სპეციალისტები, რომლებიც სათანადოდ ვერ აფასებდნენ ამ სპეციფიკურობას სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულების საკითხში, ცდილობდნენ სხვა სამართლებრივი დარგებით აეხსნათ საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული პასუხისმგებლობა.

საერთაშორისო სამართლის ნორმები პირველ მსოფლიო ომამდე არსებობდა და ის თვით ამ სამართლის სუბიექტებს უნდა დაეცვათ, თუმცა არ არსებობდა ამ მხრივ არც საერთო კანონმდებლობა და არც დასჯის სანქციათა სისტემა. საერთაშორისო სამართალში პასუხისმგებლობის თეორიას ანალოგიით იყენებდნენ, ისე როგორც ცალკეულ მოქალაქეთა პასუხისმგებლობას სამოქალაქო სამართალში.

საერთაშორისო სამართალში სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი პირველად ჰუგო გროციმ გადმოიტანა. მან თავის შესანიშნავ ნაწარმოებში „ომისა და ზავის სამართალი" განასხვავა სახელმწიფოების ვალდებულებათა საკითხი, რომლებიც ხელშეკრულებებზე და დელიქტებზე, ე. ი. პასუხისმგებლობის წესით აღმოცენდებიან. დელიქტს ჩვენ ვუწოდებთ ყოველივე ბრალს,—წერდა იგი,—რაც შეიძლება გამოი-

---

[1] დაწვრილებით იხ. ნაკვეთი I.

ხატოს მოქმედებით და უმოქმედობით. იმ შემთხვევაში, თუ მიყენებულია ზარალი, ცხადია, რომ აქ აღმოცენდება ზარალანაზღაურების ვალდებულების საკითხი. გროციის შემდეგ საერთაშორისო სამართლის მცოდნეთა უმრავლესობა პასუხისმგებლობის საკითხში მაინც სამოქალაქო სამართლის კატეგორიებით სარგებლობდა. ამ მხრივ ყველაზე უფრო რელიეფური გამოხატულება ამ საკითხმა ჰეფტერის ნაწერებში პოვა; ჰეფტერი საერთაშორისო ვალდებულებას ორ კატეგორიად ჰყოფდა: ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებად და ხელშეკრულების გარეშე ვალდებულებად; ამ უკანასკნელს ის კიდევ ორ ჯგუფად ჰყოფდა: ვალდებულებად, რომელიც აღმოცენებულია ნებადართულ მოქმედებაზე, და ვალდებულებად, რომელიც აღმოცენებულია ნებადაურთველ მოქმედებაზე. „საერთაშორისო სამართალი,—წერდა ჰეფტერი,—არ იცნობს დანაშაულს სისხლის სამართლის გაგებით, ე. ი. მოქმედებას ან უმოქმედობას, რაც აკრძალულია სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

მარტენსმა ჰეფტერის ამ თეორიის შესახებ შენიშნა, რომ იგი სრულყოფილი არ არის, რადგან აქ სამოქალაქო სამართალი არეულია საერთაშორისო სამართალთან.

იმის საფუძველზე, რომ საერთაშორისო სამართალში გადატანილი იყო ცივილისტური კონსტრუქციები სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ, შეიქმნა კლასიკური დოქტრინა. ამ დოქტრინის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წარმომადგენლებად ითვლებოდნენ ოპენჰაიმი და ლისტი.

ახლა მოკლედ შევჩერდეთ, თუ როგორ უყურებდა კლასიკური დოქტრინა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხს საერთაშორისო სამართალში. ამ დოქტრინის მიხედვით, საერთაშორისო პასუხისმგებლობის სუბიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო. „საერთაშორისო სამართლის დელიქტის სუბიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო,—ამბობდა ლისტი,—მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფო პასუხისმგებელია თავის ქვეშემრდომთა მოქმედებისთვის". ისეთ ცალკეულ პირებს, რომლებიც სახელმწიფოს არ ეკუთვნიან, შეუძლიათ საერთაშორისო დელიქტი შექმნან თავიანთი მოქმედებით; აგებენ თუ არა სახელმწიფოები პასუხს მათ მოქმედებაზე ამ შემთხვევაში? ამ საკითხის შესახებ დაძუშავებულ იქნა თეორია, რომელიც ოპენჰაიმს ეკუთვნის. იგი წერდა: „ძირითა-

დი“ („original“) პასუხისმგებლობად სახელმწიფოს მიმართ მიმაჩნია ხელისუფლების, ან მისი აგენტების, ან იმ კერძო პირების მოქმედება, რომლებმაც ჩაიდინეს ეს დელიქტი სახელმწიფოს ნებართვით. ამავე დროს სახელმწიფოებმა პასუხისმგებლობა უნდა იკისრონ იმ შემთხვევაშიაც, თუ სხვა სახელმწიფოს მოქალაქენი კანონის საწინააღმდეგო მოქმედებას ჩაიდენენ მაშინ, როდესაც მის ტერიტორიაზე იმყოფებიან. ასეთ მოქმედებას მე ვუწოდებ „შემცვლელ“ („vicarious“) პასუხისმგებლობას.

ასეთ თეორიას, რომელიც პასუხისმგებლობას ძირითადად და შემცვლელად ჰყოფდა, თითქმის ყველა საერთაშორისო სამართლის მცოდნენი იზარებდნენ. ზოგი მათგანი მხოლოდ ტერმინს ცვლიდა, შინაარსი კი იგივე რჩებოდა. მაგ., ზოგი ლაპარაკობდა პირდაპირ პასუხისმგებლობაზე (ლისტი), სხვები პირდაპირ და არაპირდაპირ პასუხისმგებლობას (ფოშელი) ხმარობდნენ. უთანხმოებას იწვევდა მხოლოდ პასუხისმგებლობის მოცულობის საკითხი. მაგ., ლისტის შეხედულებით, სახელმწიფო პასუხისმგებელია მხოლოდ თავის სახელმწიფოს ორგანოთა წარმომადგენლების მოქმედებაში, ე. ი. ისეთი ორგანოების პასუხისმგებლობაში, რომლებსაც სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობის საკითხები აკისრიათ. სახელმწიფო მხოლოდ სხვა სახელმწიფოს ორგანოთა და თანამდებობის პირთა ქცევაზე აგებს პასუხს არაუშუალოდ.

ოპენჰაიმის შეხედულებით, სახელმწიფო პასუხისმგებელია მხოლოდ იმ მოქმედებაზე (თავისი ორგანოებისა და მოქალაქეებისა), თუ ისინი სახელმწიფოს დავალებას ასრულებენ; რაც შეეხება ისეთ მოქმედებას, რომელიც სახელმწიფოს უშუალო დავალებიდან არ გამომდინარეობს, სახელმწიფო აგებს პასუხს მხოლოდ „შემცვლელი“ წესით.

ანცილოტი, ბევრად აფართოებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ცნებას და სთვლის, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია თავის ორგანოთა და ცალკეულ მოქალაქეთა ყველა მოქმედებაზე. როგორიც უნდა იყოს უთანხმოება თანამდებობრივ პირთა მოქმედებაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხის ირგვლივ, ყველა ავტორი ერთ დასკვნამდე მიდის, რომ ცალკეული თანამდებობის პირნი საერთაშორისო პერსონალურ პასუხს არ აგებენ სხვა სახელმწიფოს წინაშე რაიმე ქმედებისა-

თვის, რომ ამ შემთხვევაში პასუხისმგებელია მხოლოდ თვით სახელმწიფო, ვისაც ეკუთვნის ის პირი, რომელიც თავისი სახელმწიფოს სახელით მოქმედებს.

კერძო პირების მოქმედებაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ცნობილი იყო როგორც შემცვლელი პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მოქმედება საანქციონირებული არ იყო სახელმწიფოს მიერ და თუ ეს კერძო პირები არ არღვევდნენ თავიანთ მოვალეობას კერძო პირთა გაფრთხილების შესახებ მათ დასჯაზე ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც საერთაშორისო დელიქტს შეადგენდა. სახელმწიფოს მოვალეობაა გააფრთხილოს თანამდებობისა და კერძო პირები, რომ ისინი დასჯილ იქნებიან კანონის საწინააღმდეგო რაიმე მოქმედების ჩადენის შემთხვევაში. ამ საკითხის ირგვლივ არსებობს მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებები, მაგ., 1906 წლის ჟენევის კონვენცია მოქმედ არმიებში დაჭრილთა და ავადმყოფთა პირობების გაუმჯობესების შესახებ (მუხ. 27—28), 1907 წლის ჰაგის მე-4 კონვენციის დამატება (მუხ. 28—30), 1929 წლის ჟენევის კონვენცია (მუხ. 3—9) და სხვა[1].

ამ შემთხვევებში დამნაშავენი თავიანთ ნაციონალური კანონმდებლობის მიხედვით ისჯებოდნენ; საერთაშორისო პასუხისმგებლობის სუბიექტად კი მხოლოდ სახელმწიფო ითვლებოდა, რადგან უკანასკნელი სათანადო კონვენციებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს არ ასრულებდა.

ძველი დოქტრინა საერთაშორისო დელიქტს სამართლის დარღვევის ფორმალური კრიტერიუმის მიხედვით განსაზღვრავდა, არ ხედავდი არავითარ განსხვავებას დელიქტების ცალკეულ კატეგორიებსა და სახელმწიფოს ბრალს შორის, არასაკმაოდ აფასებდა მოქმედებათა ხასიათს, არ უწევდა ანგარიშს, თუ რამდენად წარმოადგენს ეს დელიქტი საშიშროებას ცალკეული სახელმწიფოსათვის ან მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობისათვის და სხვა. „ყოველგვარი დარღვევა იმ ინტერესებისა, რომლებსაც იცავს საერთაშორისო სამართალი,

---

[1] Известия Академии наук, отделение „Экономики и права" № 2, 1946 г.

[2] იქვე

დელიქტს წარმოადგენს,—ამბობდა ლისტი,—ამიტომ არ არსებობს განსაკუთრებული სადელიქტო ვალდებულებანი“ [1].

„საერთაშორისო სამართლის ბუნება, როგორც სუვერენულ სახელმწიფოთა შორის სამართლისა, გამორიცხავს სახელმწიფოთა დასჯას საერთაშორისო დელიქტის შემთხვევაში“ [2]... (ოპენჰაიმი).

მოქმედება ან უმოქმედება, რომელიც შეადგენს დელიქტს, სახელმწიფოს ბრალის შედეგს წარმოადგენს. ამრიგად, საერთაშორისო დელიქტი განისაზღვრება, როგორც სახელმწიფოს მოქმედება ან უმოქმედობა საგარეო მმართველობის დარგში, რაც საერთაშორისო სამართალს არღვევს. ასეთ განსაზღვრას იძლეოდნენ: ფოშელი, დე ვიშერი, დიენა, აკჩოლი, ხილლი, იგლტონი და სხვები.

საერთაშორისო დელიქტის კონკრეტული სახეები საერთოდ არ არის დაწესებული. ამის საჭიროება არც იყო, რადგან დელიქტების ცალკეულ კატეგორიებს შორის არ არსებობს განსხვავება. ყველაზე უფრო დიდ ყურადღებას იპყრობდა საკითხი სახელმწიფოს პასუხისმგებლობისა იმ ზარალისათვის, რომელიც მიყენებულია უცხო მოქალაქეთათვის სახელმწიფოს შინაგან არეულობით და სამოქალაქო ომებით. ხსენებულმა საკითხმა მრავალი კაზუსი წარმოშვა, განსაკუთრებით ლათინურ-ამერიკაში, რაც საფუძვლად დაედო საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მიერ ჩაურევლობის სესიის მოწვევას 1900 წელს.

მეორე საკითხი, რომელიც აგრეთვე იწვევდა საერთაშორისო სამართლის მცოდნე თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების ყურადღებას, იყო საკითხი სახელმწიფოს პასუხისმგებლობისა უცხო მოქალაქეთათვის მართლმსაჯულებაზე უარის თქმის დროს. ყველა ამ საკითხზე სპეციალურ თემაში გვექნება ლაპარაკი. რაც შეეხება საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხს, ამაზე ლაპარაკი გვქონდა, როცა 1907 წ. ჰაგის მე-4 კონვენციის შინაარს ვიხილავდით.

შემდეგი ძირითადი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობასთან, არის

---

[1] Известия Академии наук, Отделение „Экономики и права“ № 2, 1946 г.

[2] იქვე

პასუხისმგებლობის ფორმების საკითხი. ამ მხრივ საერთაშორისო სამართლის წინა დოქტრინები არჩევდნენ სამ ფორმას: რ ე ს ტ ი ტ უ ც ი ა ს, რ ე პ ა რ ა ც ი ა ს და ს ა ტ ი ს ფ ა ქ ც ი ა ს. რესტიტუცია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას ნიშნავს. უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევები, რომ რესტიტუციის საფუძველზე ხდებოდეს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

პრაქტიკაში ყველაზე უფრო ხშირად იხმარება რ ე პ ა რ ა ც ი ა, ე. ი. მატერიალური ზარალის ანაზღაურება. პრინციპში ზარალის ანაზღაურება საერთაშორისო დელიქტით მიყენებულ ზარალს უნდა შეეფარდებოდეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო სამართლის სფეროში აქამდე არ არსებობს საერთო ნორმები ამ საკითხის შესახებ, გარდა ამისა, არ არსებობს აგრეთვე ერთიანი ინსტანცია, რომელიც მიყენებული ზარალის ანაზღაურების ნორმებს აწესებდეს.

ს ა ტ ი ს ფ ა ქ ც ი ა ითვალისწინებს განსაკუთრებულ აქტებს — ბოდიშის მოხდას, დამნაშავეთა დასჯას ან რაიმე პოლიტიკურ კომპენსაციებს. ამ საკითხში საერთაშორისო სამართლის პრაქტიკამ ვერ შექმნა სატისფაქციის მზა ფორმები, იგი ღამოკიდებული იყო თითოეულ ცალკე შემთხვევაზე და, პირველ რიგში, სახელმწიფოთა ძალების თანაფარდობაზე. სატისფაქცია მძლავრ სახელმწიფოთა ხელში ხშირად იმის საშუალებას წარმოადგენდა, რომ რაიმე პოლიტიკური პრიორიტეტი მიეღოთ სუსტი სახელმწიფოსაგან.

დასასრულ, შევჩერდეთ უკანასკნელ საკითხზე — საერთაშორისო მნიშვნელობის გარანტიებზე, რომლებიც უზრუნველჰყოფენ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ზემოხსენებულ ფორმებს.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოები, რომლებიც დაზარალებული იყვნენ საერთაშორისო დელიქტის გამო, დიპლომატიურ მოლაპარაკებას მიმართავდნენ იმ სახელმწიფოებთან, რომლებმაც მათ ზარალი მიაყენეს. იმ შემთხვევაში, თუ ეს მოლაპარაკება შედეგს არ იძლეოდა, მაშინ სახელმწიფო მედიაციას ან არბიტრაჟს მიმართავდა. უმრავლეს შემთხვევაში კი სახელმწიფოები თავიანთ მიზნებს აღწევდნენ სხვა არაორგანიზებული იძულებითი ზომების საშუალებით, დაწყებული რეპრესალიებითა და დამთავრებული ომით.

ძველი დოქტრინა ამ ზომებს იხილავდა, როგორც იურიდიულ გარანტიას, რომელიც რეგლამენტირებულ იძულების საგარანტიო ფორმებს სცვლიდა. ასეთ იძულების ფორმებს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა როგორც პირველ იმპერიალისტურ ომამდე, აგრეთვე ომის შემდგომაც.

ჰიტლერულ დამპყრობელთა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ჩადენილი ბოროტმოქმედებანი წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის დარღვევის ისეთ მაგალითებს, რომელთა მსგავსი ჯერ არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას.

დემოკრატიული სახელმწიფოები, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში აცხადებდნენ თავიანთ დეკლარაციებში, მთავრობათა განცხადებებში და გამოსვლებში, რომ სამხედრო დამნაშავეთა დასჯა და ომით მიყენებული ზარალის ანაზღაურება აუცილებელია (1942 წ. 13 იანვრის გერმანიის მიერ ოკუპირებულ სახელმწიფოთა დეკლარაცია. 1943 წ. 30 ოქტომბრის სსრ კავშირის, ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის დეკლარაცია; სსრ კავშირის 1942 წ. 14 ოქტომბრის განცხადება; ამხანაგ მოლოტოვის—1941, 1942 1943 წწ. ნოტები; 1943 წ. მარტის თვის ამერიკის კონგრესის რეზოლუცია; 1945 წ. თებერვლის ყირიმის დეკლარაცია და სხვა).

ომის დამთავრებასთან დაკავშირებით, სამმა მოკავშირე სახელმწიფომ (1945 წლის 17 ივლისი—2 აგვისტო)[1] ბერლინის კონფერენციაზე მიღებულ დეკლარაციაში „გერმანიის შესახებ“ განსაზღვრეს თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიური პრინციპები გერმანიის მიმართ, ხოლო „სამხედრო დამნაშავეთა“ დეკლარაციით გადაწყვიტეს, რომ სამხედრო დამნაშავენი მიცემულ იქნან პასუხისგებაში.

1945 წლის 8 აგვისტოს ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, აგრეთვე საფრანგეთმა, ხელი მოაწერეს „მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სასამართლო დევნისა და დასჯის“ დეკლარაციას, რომელსაც თან ერთვოდა „საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდება“.

ამ საგანზე განსაკუთრებული ლაპარაკი გვექნება შესაფერ თემაში.

---

[1] რეპრესოლია ნიშნავს იმ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც ჩაიდინა რაიმე კანონსაწინააღმდეგო მოვლენა. რეპრესოლია იხმარება აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთა მიმართაც.

საერთაშორისო შეიარაღებული ძალები

საერთაშორისო შეიარაღებულ ძალებად, ფართო გაგებით, იგულისხმება მუდმივად მოქმედი ორი გაერთიანება—არმია და პოლიცია, ამავე დროს ისეთი საერთაშორისო სამხედრო გაერთიანებაც, როგორიც არის ნაციონალური შეიარაღებული ძალთა საერთაშორისო თანამშრომლობა, როდესაც ამ ძალებმა ურთიერთკავშირში უნდა იმოქმედონ საერთაშორისო ფარგლებში.

ნაციონალურ შეიარაღებული ძალების გაერთიანებას შესაძლოა სხვადასხვა ფორმები ჰქონდეს, მაგ., ერთ-ერთი ბურჟუაზიული მეცნიერი რესეგიე შემდეგნაირად განსაზღვრავდა საერთაშორისო სამხედრო სანქციათა განვითარების საფეხურებს: 1. ნაციონალური არმიების სისტემა; 2. საერთაშორისო კონტიგენტების ორგანიზაციის სისტემა (effectif international); 3. საერთაშორისო შეიარაღებული ძალების წესდების გავრცელება ნაციონალურ შეიარაღებულ ძალებზე; 4. საერთაშორისო ლეგიონის ჩამოყალიბება, რომელსაც უნდა ევალებოდეს უშიშროების დაცვა მსოფლიოში.

თუ დავუკვირდებით რესეგიეს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ შეხედულებებს, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ზოგიერთი მათგანი უახლოვდება მუდმივად მოქმედ საერთაშორისო შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების პრინციპს.

ამასვე უნდა მივაკუთვნოთ ნაციონალური შეიარაღებული ძალებიდან სპეციალური კონტიგენტის გამოყოფის საკითხი, ეს კონტიგენტი შესაფერ საერთაშორისო ხელშეკრულებათა საფუძველზე უნდა იმყოფებოდეს საერთაშორისო ორგანიზაციის განკარგულებაში.

სწორი არ იქნებოდა, რომ საერთაშორისო შეიარაღებული ძალების სისტემა ისე გავიგოთ, როგორც ე. წ. „შეიარაღებული მანდატის“ (mandat arme) სისტემა, ე. ი. შეიარაღებული ძალების გამოყენება საერთაშორისო ორგანიზაციის დავალებით მხოლოდ ერთი რომელიმე ნაციონალური არმიის საშუალებით, რადგანაც შეიარაღებული სანქციის გამოყენება ამ

შემთხვევაში მხოლოდ ნაციონალური არმიის ფარგლებშია მოცემული და არ წარმოადგენს საერთაშორისო შეიარაღებული ძალების გაერთიანებას.

სწორი არ იქნებოდა აგრეთვე, რომ საერთაშორისო შეიარაღებულ ძალებად გაგვეგო მოკავშირე სახელმწიფოთა ისეთი შეიარაღებული ძალები, რომლებიც ავტორიტეტული უნივერსალური მსოფლიო ორგანიზაციის კონტროლს დაქვემდებარებული არ იქნებიან და გაერთიანებულ სახელმწიფოთა ერთი ჯგუფის ინტერესებს დაიცავენ.

საერთაშორისო შეიარაღებული ძალები შეიძლება არსებობდეს საერთაშორისო შეიარაღებული არმიებისა და საერთაშორისო პოლიციის სახით. აქვე აღსანიშნავია, რომ ბურჟუაზიულ საერთაშორისო სამართლის ლიტერატურაში ამ ორ შეიარაღებულ საერთაშორისო ძალებს (არმია და პოლიციას) შორის არა ხედავენ რაიმე განსხვავებას და ხშირად ერთმანეთშიაც ურევენ. ამ ორი გაგების ერთმანეთში არევა დაუწვებელია. მათ შორის არსებული განსხვავება შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს.

საერთაშორისო პოლიციის ვალდებულებას უნდა შეადგენდეს: საერთაშორისო ნავსადგურების და მდინარეთა დაცვა, საერთაშორისო მნიშვნელობის სასამართლოების გადაწყვეტილებათა იძულებითი წესით აღსრულება საერთოდ და, როგორც წესი, საერთაშორისო უფლებრივ ნორმათა ინდივიდუალურად დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლა; ცალკეული აგრესორი სახელმწიფოს წინააღმდეგ იძულებითი ზომების მიღება, მის მიმართ შეიარაღებული სანქციის გამოყენება, საომარი მოქმედების თავიდან აცილება და მისი ლოკალიზაცია, აგრესიის აღკვეთა და ბრძოლა საერთაშორისო სამართლის ნორმათა დამრღვევ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთი მასშტაბით და ხასიათით არმიის ყველა სახეობათა გამოყენებას მოითხოვენ, საერთაშორისო არმიას უნდა მიენდოს.

საერთაშორისო შეიარაღებული ძალების საკითხს დათმობილი ჰქონდა ადგილი მთელ რიგ პროექტებში, იყო ცდა ამ ძალების საშუალებით შეექმნათ გარკვეული გარანტია ომის წარმოების კანონების, წესების და ადათების დაცვისათვის, რაზედაც ჩვენ ვრცლად გვქონდა საუბარი წინა ნაკვეთში.

იყო ისეთი წინადადებებიც, რომლებიც მოითხოვდნენ ომის წარმოების დარგში ყველა არსებული წესის დარღვევის შემთხვევაში შეიარაღებული სანქციის გამოყენებას და სხვა. მაგ., ვან ფოლენჰოფენმა 1910 წ. სექტემბრის ჰაგის მე-3 მსოფლიო კონფერენციის მოწვევის წინ შეიტანა საერთაშორისო სამხედრო ფლოტის დაარსების პროექტი, პროექტის თანახმად საერთაშორისო სამხედრო ფლოტი გამოყენებული უნდა ყოფილიყო ომში მონაწილე იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც დაარღვევდა სათანადო კონვენციებით და ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ნეიტრალურ სახელმწიფოთა მიმართ.

ცოტა უფრო გვიან 1916 წ. ვალტერ შუკინგმა სავსებით გაიზიარა ფოლენჰოფენის მიერ წარმოდგენილი პროექტი; მან მოითხოვა შექმნილიყო ზღვაზე საერთაშორისო მშვიდობიანობის შეიარაღებული ძალა, რომელსაც შესაძლებლობა მიეცემოდა დაეცვა ყველა არსებული წესი ზღვაზე ომიანობის შემთხვევაში.

ორი წლის შემდეგ შუკინგმა განავითარა თავისი იდეა ღია ზღვის ინტერნაციონალიზაციის შესახებ, და მოითხოვა საერთაშორისო პოლიციის შექმნა მის დასაცავად.

თანამედროვე ვითარებაში გაცილებით უფრო მეტ ინტერესს იწვევს ისეთი საერთაშორისო შეიარაღებული ძალის შექმნის საკითხი, რომლის ძირითად დანიშნულებას უნდა შეადგენდეს მოსალოდნელი აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა, საერთაშორისო ნორმების და მსოფლიო უშიშროების დაცვა.

გამორიცხული არ არის იმის შესაძლებლობა, რომ მომავლისათვის გაერთიანებულმა ერებმა შექმნან მშვიდობიანობის შეიარაღებული პოლიციაც, რადგანაც საერთაშორისო პოლიციის შექმნის საკითხი მეორე ხარისხოვანია, ამიტომ მის შესწავლას გაცილებით უფრო ცოტა ადგილს დავუთმობთ. საერთაშორისო სამხედრო მნიშვნელობის იძულებითი აპარატის შექმნის საკითხს დიდი ისტორია აქვს საერთაშორისო სამართლის ლიტერატურაში და სახელმწიფოთა ურთიერთობის პრაქტიკაში.

ასეთი აპარატის შექმნის აუცილებლობას ჯერ კიდევ XVII საუკუნის დასაწყისიდან საფრანგეთის და ინგლისის მწერლები აღიარებდნენ.

პასკალი აცხადებდა, რომ მართლმსაჯულება შეიარაღებული ძალის გარეშე უძლურია; გოტსი ამტკიცებდა, რომ საერთაშორისო პაქტები შესაფერისი მახვილის გარეშე ცარიელ სიტყვებს წარმოადგენენ.

რუსო ოცნებობდა ისეთი საერთაშორისო შეიარაღებული ლიგის შექმნაზე, რომელსაც შესაძლებლობა ექნებოდა აელაგმა ყველა, ვინც არ შეასრულებდა საერთაშორისო წესებს.

გასული საუკუნის ზოგიერთი ავტორი სპეციალურად იხილავდა ამ საკითხს (მაგ., პენი) და მოითხოვდა საერთაშორისო შეიარაღებულ ძალთა კოოპერირებას, ერების შეიარაღებული კონტიგენტებისაგან შემდგარ ძალას ad hoc, ე. ი. გარკვეული შემთხვევისათვის.

სხვა ავტორები გაცილებით უფრო შორს მიდიოდნენ და მოითხოვდნენ მუდმივი საერთაშორისო შეიარაღებული ძალის დაარსებას; ამ უკანასკნელი იდეის დამცველთა პირველ რიგებში იდგა ჯონ ბელერსი, რომელიც მოითხოვდა ნაციონალური არმიების გაუქმებას და მათ ნაცვლად საერთაშორისო ევროპული არმიის შექმნას.

1782—1787 წწ. გამოქვეყნდა ორი ანონიმური პროექტი, რომელთა ავტორებმა დაწვრილებით აღწერეს მუდმივი საერთაშორისო შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის მეთოდები და ფორმები.

ლილიენფელდი, რომელიც იზიარებდა ზოგიერთი ავტორის შეხედულებებს ამ საკითხში, სვამდა კითხვას იმის შესახებ, რომ მოკავშირე სახელმწიფოების გაერთიანებული არმიის შესაქმნელად ნაციონალურმა არმიებმა უნდა აღმოუჩინონ დახმარება.

იძულება შეიარაღებული ძალის საშუალებით, რომელსაც უპირატესი ადგილი უჭირავს სახელმწიფოთა ურთიერთობაში, სანქციის ფორმას ატარებს; ამას უკავშირებენ აგრეთვე ეკონომიურ სანქციასაც.

ხშირია შემთხვევა, როდესაც სანქციის საკითხის გადაჭრისას, ზოგიერთი ავტორი უშიშროების, არბიტრაჟის და განიარაღების პრობლემების ღრმა შესწავლას მიმართავს. გაცილებით უფრო გვიან დიდი დისკუსია გამოიწვია ფოლენჰოფენის პროექტმა პირველ რიგში საზღვაო საერთაშორისო შეიარაღებული ძალების შექმნის შესახებ.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გამოტანილ იქნა დასკვნა, რომ საჭიროა შეიქმნას აგრეთვე საერთაშორისო სახმელეთო შეიარაღებული ძალები, რომელთა მოვალეობას უნდა შეადგენდეს საერთაშორისო სამართლის ნორმების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლა და საერთაშორისო მნიშვნელობის სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულების წესით სისრულეში მოყვანა.

პირველ მსოფლიო ომის წინ, საერთაშორისო შეიარაღებული ძალების შექმნაზე დადებითი აზრი გამოთქვა ამერიკის სოციალისტურმა პარტიამ 1914 წ. 26 დეკემბერს მიღებულ რეზოლუციაში.

1915 წ. 28 თებერვალს ამ აზრს მხარი დაუჭირა ამერიკის საზოგადოებამ „ნაციონალური მშვიდობიანობის ასოციაციამ“.

ამ საკითხთან დაკავშირებით ყველაზე უფრო დიდ აგიტაციას ეწეოდა „მტკიცე მშვიდობიანობის ცენტრალური ორგანიზაცია“, რომელმაც 1915 წ. თავის პროგრამაში ერთ-ერთ მთავარ თეზისად საერთაშორისო შეიარაღებული ძალის ჩამოყალიბების აუცილებლობა მოითხოვა; ამასვე მიემხრნენ „მშვიდობიანობის ლიგა“ და სხვა ორგანიზაციები.

პირველ მსოფლიო ომის დამლევს და განსაკუთრებით ამ ომის შემდგომ საერთაშორისო შეიარაღებული ძალების შექმნის პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დაისვა.

საერთაშორისო შეიარაღებული ძალების შექმნისათვის ყველაზე უფრო თავგამოდებით იბრძოდა საფრანგეთი.

ცხადია, რომ ამ საკითხში საფრანგეთის აქტიური ბრძოლის მიზანი იყო არა ის, რომ ერთა ლიგა მშვიდობიანობისათვის ბრძოლის იარაღად გადაქცეულიყო, არამედ საფრანგეთს სწადდა შეენარჩუნებინა თავისი სამხედრო პრიორიტეტი გერმანიის მიმართ და თავისი სამხედრო უპირატესობა ევროპულ სახელმწიფოთა შორის[1]. საფრანგეთს სურდა საერთაშორისო არმიის შექმნა მუდმივად მოქმედი სამხედრო შტაბით, რომელშიაც უპირატესობა უნდა ჰქონოდათ საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებს და მის სარდლობას.

ამერიკა და ინგლისი საფრანგეთის ამ პროექტს ეწინააღმდეგებოდნენ, რადგან ეშინოდათ, რომ საფრანგეთი საერთა-

[1] „История Дипломатии“, т. III, стр. 31—32.

შორისო შეიარაღებულ ძალასა და მის შტაბს თავისი ინტერესებისათვის გამოიყენებდა[1].

ერთა ლიგის პაქტის ფრანგული პროექტი, რომელიც შეტანილი იქნა ლეონ ბურჟუას მიერ, ითვალისწინებდა სამხედრო სანქციის გამოყენების ორ გზას: 1) საერთაშორისო დავალების სისტემას, „მანდატს“ ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოსათვის, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ხელშეკრულებაში და 2) საერთაშორისო არმიის ორგანიზაციას, რომელიც ერთა ლიგის ოპერატიულ კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა. გათვალისწინებული იყო აგრეთვე საერთაშორისო გენერალური შტაბის შექმნა, რათა შტაბს მშვიდობიანობის დროს ეწარმოებინა ყველა მოსამზადებელი სამუშაო, რაც კი საჭირო იქნებოდა სამხედრო სანქციის გამოყენების შემთხვევისათვის. ამ პროექტის თანახმად, შტაბის უფროსი და მისი მოადგილე დანიშნული უნდა ყოფილიყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სამი წლის ვადით იმ კანდიდატთა სიის მიხედვით, რომელსაც შეადგენდნენ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები.

საომარი მოქმედების დაწყების შემთხვევაში პროექტი ითვალისწინებდა იმავე საერთაშორისო ორგანოს მიერ მთავარსარდლის დანიშვნას; თავის მხრივ მთავარსარდალი დანიშნავდა გენერალური შტაბის უფროსს და თავის უშუალო მოადგილეებს. საერთაშორისო საბჭოს უნდა განესაზღვრა აგრეთვე მთავარსარდლის რწმუნების საზღვრები.

საფრანგეთის ამ პროექტმა სათანადო გამოძახილი ვერ პოვა სხვა სახელმწიფოთა შორის, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ პროექტის განხილვაში.

პრეზიდენტმა ვილსონმა და ინგლისის დელეგატმა რობერტ სესილმა 1919 წ. 6 თებერვლის სხდომაზე უარი სთქვეს ნაციონალურ მილიტარიზმის მსოფლიო მილიტარიზმად შეცვლის იდეაზე და დაუპირისპირეს მას „მსოფლიო საზოგადოების აზრის“ მორალური ზეგავლენის ინგლის-საქსონური კონცეფცია, როგორც საერთაშორისო სანქციის უკეთესი მეთოდი.

---

[1] Б. Штейн, Из истории деятельности Лиги наций, „Большевик“, 1944, № 23—24, стр. 35.

ისინი დათანხმდნენ მხოლოდ იმაზე, რომ საერთაშორისო შეიარაღებული ძალები თითოეული ცალკე შემთხვევისათვის შექმნილიყო კომპეტენტური საერთაშორისო ორგანოების დადგენილებით.

1919 წ. 14 თებერვალს პლენარულ სხდომაზე საფრანგეთის დელეგატმა ლეონ ბურჟუამ შეიტანა კომპრომისული ხასიათის წინადადება.

თანამედროვე ომი,—ამბობდა ის,—რომელშიაც მონაწილეობენ ტერიტორიულად ერთმანეთს დაშორებული სახელმწიფოები, იმპროვიზაციებს არ ითმენს. ამიტომ საჭიროა დროულად იყოს აღკვეთილი აგრესიის ყოველივე ცდა, სადაც უნდა იჩინოს თავი ამ აგრესიამ.

ამის შესაბამისად ბურჟუამ შეიტანა წინადადება, რომ ერთა ლიგასთან დაარსებულიყო მუდმივად მოქმედი ორგანო, რომელიც თვალყურს ადევნებდა პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ (1919 წ. 28 აპრილს) საფრანგეთის დელეგატი იძულებული გახდა უარი ეთქვა ამ უკანასკნელ წინადადებაზედაც.

ერთა ლიგის პაქტი, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, თავის საბოლოო რედაქციით ეხებოდა შეიარაღებულ ძალის გამოყენებას იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებიც დაარღვევდნენ ნაკისრ ვალდებულებებს. კერძოდ, ამ პაქტის მე-16 მუხლის მე-2 პარაგრაფი, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სახელმწიფო საომარ მოქმედებას დაიწყებდა, რწმუნებას აძლევდა ერთა ლიგის საბჭოს ცალკეულ დაინტერესებული სახელმწიფოებისათვის წინადადება მიეცა მონაწილეობა მიეღო თავისი შეიარაღებული ძალებით კოლექტიურ სამხედრო აქციაში. თუმცა იგივე მუხლი ვალდებულად არა ხდიდა ერთა-ლიგის წევრებს მონაწილეობა მიეღოთ კოლექტიურ ბრძოლაში ყველა იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომელნიც ომს დაიწყებდნენ.

ამ საკითხთან დაკავშირებული იყო აგრეთვე პაქტის მე-11 მუხლიც, რომელიც ვალდებულად სთვლიდა ერთა ლიგას ომის დაწყების შემთხვევაში ან ომის გარკვეული საშიშროების გამო, მიეღო ეფექტური ღონისძიებანი მშვიდობიანობის დაცვისათვის და ემოქმედნა ომში ჩაბმულ სახელმწიფოთა წინააღ-

მდეგ, იმის მიუხედავად, ისახავდა თუ არა ომში მონაწილე სახელმწიფო აგრესიულ მიზნებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო სანქციათა პრაქტიკულად გამოყენებას ეწინააღმდეგებოდნენ არა მარტო ინგლისი და ამერიკა, არამედ ყველა ის სახელმწიფოებიც, რომლებიც „ნეიტრალიტეტს“ იცავდნენ პირველ მსოფლიო ომში.

ვერც ერთი ღონისძიება, რომლებიც ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ, რეალურად განხორციელებული ვერ იქნა. უშედეგო გამოდგა აგრეთვე ყველა შემდეგი ცდა, დაეზუსტებინათ საერთაშორისო შეიარაღებული სანქციის საკითხი.

საერთაშორისო შეიარაღებული ძალების შექმნის შესახებ ჩვენ ვხვდებით მთელი რიგი სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ დამუშავებულ პროექტებს. ერთა ლიგის დამოუკიდებლად.

1921 წლის ბრიუსელის მშვიდობიანობის მსოფლიო კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც იგი ერთა ლიგას მოუწოდებდა შეექმნა საერთაშორისო ძალები.

ავიატორთა საერთაშორისო ლიგამ 1929 წ. 15 აპრილს მსოფლიო განიარაღების კომისიას მიმართა წინადადებით, რათა დაარსებული ყოფილიყო საერთაშორისო საჰაერო ფლოტი მსოფლიოში მშვიდობიანობის დასაცავად და საჭირო წინააღმდეგობის გასაწევად ყველას მიმართ, ვინც დაარღვევდა არსებულ ხელშეკრულებათა საფუძვლებზე დადგენილ წესებს.

ლორდმა დევისმა შეიტანა წინადადება 1930 წელს, რათა დაარსებულიყო საერთაშორისო პოლიცია, რომელიც უნდა შემდგარიყო: 1. ყველა სახელმწიფოს[1] ნაციონალური კონტიგენტისაგან და 2. საერთაშორისო კონტიგენტისაგან.

ამ პროექტის საფუძველზე საერთაშორისო კონტიგენტისაგან შემდგარი ნაწილებში სამხედრო სამსახური უნდა დაწესებულიყო 17 წლის ასაკიდან; სამსახურის ვადა 4—20 წლამდე განისაზღვრებოდა; პროექტის თანახმად ამ კონტიგენტის მთავარი შტაბის ადგილსამყოფად გათვალისწინებული იყო პალესტინა, ხოლო შეიარაღებული ნაწილები, რომლებიც უშუალოდ ერთა ლიგის განკარგულებაში იქნებოდნენ სამანდატო ტერიტორიებზე, მცირე სახელმწიფოთა დემილიტარიზე-

[1] რომლებიც ითვლებოდნენ ერთა ლიგის წევრებად.

ბულ ზონებში უნდა განლაგებულიყვნენ, მაგ. დანციგში, ალბანეთში, მონაკოში, ლატვიაში და სხვა გარკვეულ სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტებში. გარდა ამისა, ხსენებული პროექტი მოითხოვდა, რომ საერთაშორისო კონტიგენტის შეიარაღება განსხვავებული ყოფილიყო ნაციონალური ჯარების შეიარაღებისაგან, კერძოდ, ნაციონალურ ჯარებს უფლება ეძლეოდათ შეიარაღებული ყოფილიყვნენ იმ სამხედრო საჭურვლით, რაც არსებობდა 1914 წლამდე, საერთაშორისო კონტიგენტი კი შეიარაღებული უნდა ყოფილიყო სამხედრო-საომარი მნიშვნელობის საჭურვლის უკანასკნელი ტექნიკით.

რაც შეეხება საჰაერო ფლოტს, წყალქვეშა ნავებს, მომწამვლელ ნივთიერებებს, უახლოესი გამოგონების ტიპის მძიმე არტილერიას, აგრეთვე სამხედრო მნიშვნელობის გემებს, პროექტის თანახმად, ყოველივე ეს მხოლოდ საერთაშორისო კონტიგენტის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო.

დევისმა ქალ. ლონდონში დააარსა საერთაშორისო საზოგადოება „New commonwealth" (სხვათა შორის, ამ საზოგადოების ინგლისის ფილიალის პრეზიდენტად იყო ჩერჩილი), რომელიც აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა საერთაშორისო არმიის შექმნისათვის.

ფოლენჰოფენმა გამოქვეყნებულ თავის 1932 წ. შრომაში („Du droit de la Paix") განაცხადა, რომ მხოლოდ ერთა ლიგის წესდების მე-11 მუხლის[1] სრული რეალიზაცია მოგვცემს სრულ შესაძლებლობას ომი გამოუცხადოთ ომის დამწყებთ, და რომ ამ მუხლს რეალური მნიშვნელობა ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნებოდა ხმელეთის, საზღვაო და პირველ რიგში საჰაერო საერთაშორისო შეიარაღებული ძალები. ამავე დროს ფოლენჰოფენი დასძენდა, ყველა ეს საშუალება შესაძლებლობას მოგვცემს აქტიურად ჩავატაროთ მსოფლიო განიარაღებაო.

ვებერგი, რომელმაც 1934 წ. გამოსცა მონაგრაფიები[2] საერთაშორისო პოლიციის შესახებ, აღნიშნავდა, რომ მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციის განკარგულებაში მყოფი საერთაშორისო შეიარაღებული ძალები შესძლებენ წინააღმ-

[1] იხილე წინამდებარე შრომა, გვ. 83.

[2] გამოსცა საერთაშორისო სამართლის აკადემიამ.

ბნენ ყოველგვარ აგრესიას, ლიკვიდაცია უყონ საერთაშორისო კონფლიქტებს და ძირშივე აღკვეთონ ომის დაწყების ყოველგვარი ცდაო.

საერთაშორისო შეიარაღებული ძალების ირგვლივ ხელახლად გაჩაღდა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა და მსოფლიო პროექტი დამუშავდა 1932 წლის ივნისის მსოფლიო კონფერენციის მოწვევის წინა პერიოდში [1].

ამ კონფერენციაზე საფრანგეთმა ორჯერ შეიტანა პროექტი იმის შესახებ, რომ ერთა ლიგასთან დაარსებულიყო საერთაშორისო არმია.

ხსენებული კონფერენცია იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის გამწვავებულ ურთიერთობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

საფრანგეთის ეს წინადადება იმით იყო გამოწვეული, რომ მას დიდი შიში ჰქონდა გერმანიისა, რომელიც ერთობ სწრაფი ტემპით იარაღდებოდა და აგრესიულ თავდასხმებს ამზადებდა.

კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა, რომლებსაც სრულიადაც არ სურდათ შეიარაღების შეზღუდვა, ერთსულოვნად უარყვეს საბჭოთა კავშირის წინადადებანი.

ინგლისი მხარს უჭერდა გერმანიის მიერ წამოყენებულ „შეიარაღების თანასწორუფლებიანობის“ თეზისს, [2] რათა შეექმნა ევროპაში ძალთა თანასწორობა, დაეპირისპირებინა საფრანგეთი გერმანიისათვის და შეეიარაღებინა იგი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

რამდენიმედ უფრო ვრცლად უნდა შევჩერდეთ 1932 წ. ივნისის მსოფლიო კონფერენციაზე შეტანილი პროექტის განხილვაზე.

იმ პროექტთა შორის, რომლებიც შეტანილი იყო კონფერენციაზე განსახილველად, პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ბელგიელ მფრინავ გერნერტის პროექტი.

ხსენებული პროექტი ითვალისწინებდა მსოფლიო საჰაერო ფლოტის შექმნას სპეციალიზებული კორპორაციების სახით, რომელსაც უნდა დარქმოდა „Pax“; თავისი დანიშნულების

---

[1] მსოფლიო კონფერენცია, რომელსაც მიზნად ჰქონდა მსოფლიო შეიარაღების შეზღუდვა.

[2] История дипломатии, т. III, стр. 448—451.

სწრაფად შესრულება რომ შესაძლებოდა, ხსენებულ კორპორაციას უნდა ჰქონოდა 500 ავიაბაზა, რომელნიც მოწყობილი უნდა ყოფილიყო მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას.

ამ კორპორაციის პირადი შემადგენლობა გათვალისწინებული იყო 30.000 კაცის რაოდენობით; მის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო სამხედრო მნიშვნელობის 10.000 საჰაერო აპარატი.

1932 წ. 5 თებერვალს ტარდიემ კონფერენციაზე შეიტანა პროექტი, რომლის ძალითაც უნდა მომხდარიყო სამოქალაქო მნიშვნელობის ავიაციის ინტერნაციონალიზაცია.

რაც შეეხება სამხედრო მნიშვნელობის საჰაერო ფლოტს, პროექტი მოითხოვდა დაწესებული ყოფილიყო 3 კატეგორია. ყველა ის მფრინავი აპარატები, რომლებიც თავისი ტონაჟით საამისოდ დაწესებულ ლიმიტს აღემატებოდა, გამოყენებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ საერთაშორისო სამხედრო ფლოტის მიერ. მე-2 კატეგორიის ყველა საჰაერო აპარატი, რომლებიც თავისი ტონაჟით დაწესებულ ლიმიტზე ნაკლები იყო, ნაციონალურ შეიარაღებულ ძალებს უნდა დარჩენოდა, მხოლოდ მათი გამოყენება ერთა ლიგის მე-16 მუხლის რეალიზაციასთან დაკავშირებით უნდა მომხდარიყო. ხოლო ისეთი სახის საჰაერო აპარატები, რომლებიც ტონაჟით ბევრად უფრო ნაკლები იყო დადგენილ ლიმიტზე, მთლიანად ნაციონალურ ჯარების განკარგულებაში რჩებოდა თავდაცვის საჭიროებისათვის.

ტარდიეს პროექტი ითვალისწინებდა აგრეთვე ნაციონალური შეიარაღებული ძალებისათვის მძიმე ტანკებისა და სხვა სახის არტილერიის დატოვებას, მხოლოდ იმ პირობით, რომ მათი გამოყენება შეეძლოთ მხოლოდ საერთაშორისო შეიარაღებული ძალებს, ერთა ლიგის მე-16 მუხლის საფუძველზე.

გარდა ამისა, ომის თავიდან აცილების მიზნით პროექტი მოითხოვდა ჩამოყალიბებული ყოფილიყო საერთაშორისო პოლიცია, ერთა ლიგას პაქტის მე-11 მუხ. შესაბამისად.

საერთაშორისო პოლიციის პირველ ეშალონს უნდა აღმოეჩინა შეიარაღებული დახმარება იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც აგრესიის მსხვერპლი გახდებოდა.

განხილვის დროს ამ პროექტს მხარი დაუჭირეს მხოლოდ რამდენიმე პატარა სახელმწიფოებმა (გაიტი, დანია და ბულ-

ვარეთი), ყველა სხვა მონაწილე სახელმწიფონი წინააღმდეგნი იყვნენ ტარდიეს პროექტისა.

1932 წ. 14 ნოემბერს კონფერენციაზე საფრანგეთის ახალმა მინისტრმა ერიომ შეიტანა მსოფლიო უშიშროების უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო პოლიციის შექმნის იდეა მეორეხარისხოვან საკითხად იყო აღიარებული, ხოლო მსოფლიო შეიარაღებული ძალის შექმნა ერიომ მოითხოვა მხოლოდ ევროპულ სახელმწიფოთა ბაზაზე.

როგორც ტარდიეს პროექტმა, ისე ერიოს გეგმამაც ვერ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება.

ზოგიერთი გერმანელი საერთაშორისო სამართლის მცოდნე (კაუფმანი, კელზენი) ყოველნაირად ცდილობდა გამოენახათ გასამართლებელი საფუძველი აგრესიული ომისათვის; ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ნაციონალური ომის წარმოება თავისთავად ნიშნავს საერთაშორისო შეიარაღებული ძალის გამოყენებას, და რომ ომის დამთავრება თვითონ ნათელჰყოფს, თუ ომში მონაწილე რომელი სახელმწიფო იყო მართალი და რომელი მტყუანი [1].

საერთაშორისო არმიის შექმნის პრობლემასთან დაკავშირებით, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში წამოყენებული იყო მთელი რიგი სხვა პროექტები და გეგმები, დაწყებული გაერთიანებული გენერალური შტაბის შექმნით, რომელსაც უნდა გამოემუშავებინა სამარი მოქმედების გენერალური ჯარების ერთ მსოფლიო მნიშვნელობის ორგანოს ხელში მთლიანად გადაცემით.

ჰიტლერული აგრესიის ყაჩაღურმა შინაარსმა და მეორე მსოფლიო ომის მთელმა გამოცდილებამ უდავო გახადა, რომ აუცილებელია საერთაშორისო სამხედრო სანქციების გამოყენება, ცხადია, აგრესიულად განწყობილ სახელმწიფოთა მიმართ.

ფაშისტური სახელმწიფოების განადგურების შემდეგ, დემოკრატიულ სახელმწიფოთა კავშირის ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს სამართლიანი და მტკიცე მშვიდობიანობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო სამართლის ნორმათა პატივისცემა და მოსალოდნელი ომების თავიდან აცილება მომავალში.

---

[1] ამ საკითხს ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ პროგრამით გათვალისწინებულ XI თემაში.

ამ ამოცანის წარმატებით შესრულება შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიულ სახელმწიფოთა ისეთი ორგანიზაციის ჩამოყალიბების საფუძველზე, რომელიც დაემყარება ყველა სახელმწიფოთა კოლექტიურ შეიარაღებულ ძალებს.

ამერიკის პრეზიდენტი რუზველტი ჯერ კიდევ 1944 წ. იანვარში ამბობდა: გერმანიის, იტალიისა და იაპონიის მოქმედებამ დაგვანახა, რომ რაიმე სამხედრო კონტროლის დაწესება მშვიდობიანობის დაზრღვევთა მიმართ ისევე საჭიროა, როგორც ცალკეულ ერებს შორის საზოგადოებაში, ცალკეულ მოქალაქეთა მიმართ [1].

1944 წ. ოქტომბერში რუზველტმა აღნიშნა, რომ მომავალი გაერთიანებული ერების საბჭოს ისეთი ძალა უნდა ჰქონდეს, რომლითაც უზრუნველჰყოფს მსოფლიოში მშვიდობიანობას, და, თუ საჭირო იქნება, მოიხმარს ამ ძალას მშვიდობიანობის დამრღვევთა წინააღმდეგ [2].

ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში 1944 წ. 6 ნოემბერს აღნიშნა:

„...არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მშვიდობის მოყვარე ერებს მომავალში შესაძლოა კვლავ მოუმზადებელს მოუსწროს აგრესიამ თუ. რა თქმა უნდა, მათ აჩლავე არ გამოიმუშავეს სპეციალური ღონისძიებანი, რომლებითაც შესაძლებელი იქნება აგრესიის თავიდან აცილება.

ამრიგად, რა საშუალებები მოიპოვება იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ახალი აგრესია გერმანიის მხრივ, ხოლო თუ ომი მაინც ატყდა,—დასაწყისშივე ჩავაბშოთ იგი და საშუალება არ მივცეთ გადაიქცეს დიდ ომად?

ამისათვის, გარდა აგრესიული ერების სრული განიარაღებისა, არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება: შეიქმნას მშვიდობიანობის დაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის სპეციალური ორგანიზაცია მშვიდობისმოყვარე ერების წარმომადგენელთაგან, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს განკარგულებაში გადაცემულ იქნას აგრესიის თავიდან აცილებისათვის მინიმალურად საჭირო რაოდენობა შეიარაღებული ძალებისა და დაევალოს ამ ორგანიზაციას

---

[1] „Правда" от 13 января 1944 г.

[2] „Известия" от 21 января 1944 г.

საჭიროების შემთხვევაში—დაუყოვნებლივ გამოიყენოს ეს შეიარაღებული ძალები აგრესიის თავიდან ასაცილებლად ან სალიკვიდაციოდ და აგრესიის დამნაშავეთა დასასჯელად“ [1].

ამრიგად, საერთაშორისო შეიარაღებული ძალების არსებობის განსაკუთრებული მნიშვნელობა და მისი ჩამოყალიბების აუცილებლობა მტკიცედ არის დადგენილი.

თანამედროვე ვითარებაში უცხოელი ავტორების მიერ მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობის პროექტი მუშავდება საერთაშორისო შეიარაღებული ძალის შექმნასთან დაკავშირებით.

ასეთ პროექტებს ვხვდებით ამერიკაში, ინგლისში და სხვა სახელმწიფოებში.

უნდა გვახსოვდეს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით შედგენილი პროექტი „არ უნდა იქნას განმეორება ავად მოსაგონარი ერთა ლიგისა, რომელსაც არც უფლებები მოეპოვებოდა და არც საშუალებები აგრესიის თავიდან ასაცილებლად“ [2].

საერთაშორისო შეიარაღებული ძალები უნდა იყოს სპეციალური უფლებამოსილი საერთაშორისო ორგანიზაციის ხელში—გაერთიანებული ერების ხელში; ეს ძალები მის განკარგულებაში უნდა იყოს, რომ დაიცვას მშვიდობიანობა და თავიდან აგვაცილოს ახალი აგრესია.

„შეიძლება თუ არა იმედი ვიქონიოთ, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მოქმედება საკმაოდ ეფექტური იქნება? ეს ეფექტური იქნება, თუ დიდი სახელმწიფოები, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის მთავარი სიმძიმე, კვლავაც ერთსულოვნობისა და თანხმობის სულისკვეთებით იმოქმედებენ. ის ეფექტური არ იქნება, თუ ეს აუცილებელი პირობა დაირღვევა“ [3].

როგორც ჩვენთვის ცნობილია, უშიშროების საბჭოსთან არსებული საერთაშორისო შეიარაღებული ძალების სამხედრო შტაბის პირველი სხდომა შედგა 1946 წ. 4 თებერვალს [4].

---

[1] ციტირებულია, ლენინი და სტალინი სოციალისტურ სახელმწიფოს და საბჭოთა დემოკრატიის შესახებ, 1946 წ., გვ. 156—157.

[2] იქვე, გვ. 157

[3] იქვე, გვ. 157.

[4] „Британский Союзник“ от 17 февраля 1946 г.

საპროგრამო საკითხები

ომი კლასობრივი საზოგადოების სხვადასხვა ეტაპზე. ომის აუცილებლობა კაპიტალისტურ სამყაროში. ლენინურ-სტალინური სწავლება ომის სახეებზე. ამხანაგი მოლოტოვი თანამედროვე ომების მიზეზების შესახებ. პირველი და შეორე მსოფლიო ომები, მათი გამომწვევი მიზეზები, მათი შედეგები. აგრესიის გაგება. ბურჟუაზიული პაციფიზმი. სამართლიანი და უსამართლო ომები. ომის აკრძალვის ცდები საერთაშორისო სამართალში. ერთა ლიგის სანქციები და მათი გამოყენების პრაქტიკა. ბრიან-კელოგას პაქტი (1928 წ.) და საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება მასთან. „იძულების ზომები". რეტორსია და რეპრესალიები, ემბარგო, „მშვიდობიანი ემბარგო", მათი გამოყენების შესაძლებლობა სამხედრო მიზნებისათვის.

ომის საერთაშორისო კანონები და ჩვეულებანი. 1858 წ. პარიზის დეკლარაცია. 1868 წ. პეტერბურღის დეკლარაცია. 1874 წ. ბრიუსელის პროექტი. 1899—1907 წწ. ჰაგის კონფერენციები. 1864—1906 და 1929 წწ. ჟენევის კონფერენციები. 1922 წ. ვაშინგტონის ხელშეკრულება. 1925 წ. ჟენევის ოქმი. ომის კანონებისა და ჩვეულებების დარღვევა—განსაკუთრებით ფაშისტურ სახელმწიფოთა მხრივ.

საბჭოთა კავშირის ბრძოლა ომის წარმოების ბარბაროსული ფორმების წინააღმდეგ. ომის ასპარეზი. კომბატანტები და არაკომბატანტები, კერძო საკუთრების საკითხი სახმელეთო ომში. საომარ საშუალებათა დაშვება და აკრძალვა. სამხედრო ოკუპაცია და მისი რეჟიმი. ავადმყოფების და ომში დაჭრილთა სამართლობრივი ნორმები.

სამხედრო ტყვეობა. საზღვაო ომის წესები. „სანაღმოსნო ომი". გემების ვიზიტაცია, ჩხრეკა მოწინააღმდეგის გემების და ტვირთის დაკავების შემთხვევები. სამხედრო კონტრაბანდის საკითხები. საბჭოთა კავშირის პოზიცია ამ საკითხებში. ბლოკადა. წყალქვეშა ომი. ბადრაგობა, საპრიზო გემები.

საჰაერო ომის წესები.

შერიგება. საზავო ხელშეკრულების დადება. ნეიტრალიტეტი. ნეიტრალური სახელმწიფოს უფლება-მოვალეობა, ნეიტრალიტეტის პრაქტიკა პირველ და მეორე მსოფლიო ომის დროს.

სსრ კავშირის დამოკიდებულება ომის კანონებისა და ადათებისადმი. პასუხისმგებლობის საკითხი საერთაშორისო საჯარო სამართალში. საერთაშორისო შეიარაღებული ძალა.

გამოყენებული ლიტერატურა

Маркс-Энгельс, т. IX, стр. 301—307.

ლენინი, ტ. XXX, გვ. 332—351.

სტალინი, ლენინიზმის საკითხები.

სტალინი, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის გამოსვლა რადიოთი, 1941 წ. 3 ივლისი.

მოლოტოვი, საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა, 1946 წ. 29 მარტი.

მოლოტოვი, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გამოსვლა რადიოთი, 1941 წ. 22 ივნისს.

მოლოტოვი, სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა და საგარეო პოლიტიკა, 1939 წ. 31 მაისი.

მოლოტოვი, მთავრობის საგარეო პოლიტიკა, მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიაზე, 1940 წ. 29 მარტის სხდომაზე.

მოლოტოვი, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ, მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე რიგგარეშე სესიაზე, 1939 წ. 31 ოქტომბერი.

საკ. კ. ბ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, განსაკუთრებით XI და XII თთ.

Внешняя политика Советского Союза, Огиз, 1944 г.

Кажевников, Война и международное право, 1945 г.

Лист, Грабарь, Международное право.

Документация, Многосторонние договоры, относящиеся к праву войны, сборник действующих договоров, изд. НКИД, вып. I и IX.

Правила о действиях подводных лодок ССЗ СССР 1937 г., отд. II, № 25, стр. 170),

Ноты Народного Комиссара иностранных дел тов. В. М. Молотова 26 ноября 1941 г., 6 января 1942 г., 27 апреля 1942 г., 11 мая 1943 г.

Заявление Советского Правительства об ответственности гитлеровских захватчиков от 14 октября 1942 г. и Указ Президиума Верховного Совета СССР от 2 ноября 1942 г.

Законы и обычаи войны, Юриздат НКЮ СССР, Москва, 1942 г.

რედაქტორი ი. ტალახაძე

გადაეცა წარმოებას 18/VII 46 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/VIII 46 წ. ტირაჟი 3000. ანაწყობის ზომა $5^1/_2 \times 9^1/_2$. ნაბეჭდი თაბახი 5,75, საღრ.-საგამომც. თაბახი 4,97. უე 08682. სტამბის შეკვ. № 190. გამომც. შეკვეთა № 28.

სტალინის სახ. თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის გამ. სტამბა, მარის ქ., 1

ᲛᲐᲚᲘᲐ ᲒᲐᲒᲘᲫᲔ.

На правах рукописи

Ш. ГВАТУА

МЕЖДУНАРОДНОЕ ПУБЛИЧНОЕ ПРАВО

Вып. II

(на грузинском языке)

ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО
ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА
имени СТАЛИНА

ТБИЛИСИ — 1946